



# ისტორიული მემკვიდრეობა

სამათებერო-კონფლიქტის შურალი, 2013 წ. ივნისი, №6 (35), ფასი 3 ლარი



**«ტყვიერს ქართველიდან  
მხოლოდ უც მიარ გაკეთებული  
სიკათა თუ გამოგიყვანს»**

იური ოზეროვი:

**7** როგა  
ბახეტი  
სტალინის  
გრიშაში  
ჯარის ნიც  
გავატარეთ...  
მევდრებითი  
აღმდგარი  
სტალინი  
ეპონი

ქრისტენიციე  
გამსახურდის  
— 120.  
**ნარევის ლი**  
**9** ქვალი

გალილეის  
მასების  
მართვა  
აღვილი  
**10** არ არის

მერაბ  
შათრიშვილი:  
საქართველოში  
გაიღმძეა  
ჩატარება და  
ერთსევერია  
ერადიცების  
დაშვება  
**14** ილავას,  
რომ აქ  
დასრულდა  
მართლადი-  
დებული  
საჩემებება

**17** ვახტაც  
ერევანის  
ეთაერო-  
ეავლები  
აუსათში

XIX საუკანის  
გამოჩენილი  
ერთვის ლი  
ენერეტიკი  
**25** და  
საზოგადო  
მოდვანევაში  
აფეხურის  
ეასახა



క. క్రిష్ణగాంధీ — „శర్మాత్తసు ఆశోసిపాశల్ని ఇంజపొల్చుకో“ (భారతదేశములో)

# სარჩვი

■ ვეტერანი	
თეატრი ეგანა: ტუვის ქართველი და მეობრივ გაც ეირ გაკათაგული სიკათა თუ გამოგიყვას	4
■ თარიღი	
იური რზერვი: რომა გაცემი სტალინის გრიმით ჯარის წილი გავატარეთ... მკვდარი აღმაღები სტალინი ეპონათ	7
■ ეავლივილი	
კოსტატივი გამსახურდია – 120. ნარკოლი კვალი	9
■ გაცოლება	
გაცოლებული მასების მართვა აზიტი არ არის	10
■ ნილი ლილი ცაგვილი სახლი	13
■ აქცუალური ინტერიერი	
მარაბ უათირიშვილი: საქართველოში გაიაღმიანის ჩატარება და ერთსესასიათი ქორწინების დაუვარა ციფრი, რომ აյ დასრულდა მართლავაზიანული სართულება	14
■ ქართველი რუსები	
პორის ადრენინგული – ვასტაციის გთამომავლები აუსათავი	17
■ ისტორია	
XIX საუკუნის გამოჩეული ქართველი მეცნიერებები და საზოგადო მოღვაწეობი აფხაზების გასახებ	25
XIX საუკუნის აფხაზი საზოგადო მოღვაწეობი და მეცნიერებები და საქართველო. გრიგორ გარეუშიძე	30
■ ღილი ხელოვანი	
სიკო ღოლიძე	34
■ საორგანიზაციები	
ცერტვათის არმა ჩაქა ვარსკვლავი, მაშინ ვარება დასრულდა დიღი... 36	36
■ თაღისის ისტორია	
თბილისის კულტურული გაცილებები XVIII საუკუნეში	40
■ პრესის არქივიდან	
სიზიუს რსტატი	45
■ ზოოფონიური	
მარინა თბილი	48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი დარეპან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95



**ტერენტი ხუბუა:**

# ტყვიაბის ქართველიზან მეობრივ გან მიარ გაკათაგული სიკათა თუ გამოგიყვანე

მეორე მსოფლიო ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. მან უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბედზე. გერმანია, იტალია და იაპონია გამოეთიშნენ მსოფლიოს, როგორც ძლიერი სახელმწიფოები. ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო (დღდამინის მოსახლეობის 80%).

ბრძოლები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

შეიარაღებულ ძალებში მობილიზებულ იქნა 110 მლნ. კაცი.

დაიღუა 62 მლნ. კაცი (სსრკ — 27 მლნ., გერმანია — 5,25 მლნ., პოლონეთი — 4,5-6 მლნ., იუგოსლავია — 1,7 მლნ., იაპონია — 1,8 მლნ., აშშ — 318.000, დიდი ბრიტანეთი — 386.000, საფრანგეთი — 810.000, იტალია — 330.000, რუმინეთი — 378.000, უნგრეთი — 420 000, ფინეთი — 84 000), სამხედრო ხარჯები და ზარალი 4 ტრილიონ დოლარს შეადგენდა.

ომს თან სდევდა საშინელი ნგრევა. განადგურდა ათიათასობით ქალაქი და სოფელი, უბედურება თავს დაატყდა ათეულობით მლნ ადამიანს. ამ ომში საბოლოოდ განადგურდა ფაშიზმი, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის დამკარგელი ძალა. ომმა ცხადყო სოციალიზმისა და სსრკ-ის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს უძლეველობა. ანტიპიტლერული კოალიციის

გადამწყვეტმა გამარჯვებამ ხელი შეუწყო რევოლუციურ

გარდაქმნებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა გააადვილა და დაჩქარა მთელ რიგ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების გამარჯვება. სოციალიზმის გზას დაადგა ევროპის ქვეყნები (100 მლნ. კაცი). კაპიტალისტურ სისტემას ჩამოსცილდა აზის სახელმწიფოები (1 მლნ. კაცი), სოციალიზმი იქცა მსოფლიო სისტემად.

კაპიტალისტურ ქვეყნებში დაჩქარდა ხალხის მასების

გარევოლუციურების პროცესი, გაიზარდა კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენა, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა ავიდა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. სსრკ-მა გადამწყვეტი როლი ითამაშა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში. დიდი სამამულო ომი წმიდათანმიდა იყო თითოეული საბჭოთა ჯარისკაცისათვის.

96 წლის კურსკის ბრძოლის გმირის — ტერენტი ხუბუას

ისტორია იმითაა საინტერესო, რომ იგი ერთ-ერთია იმ 10 კაციდან, რომლებიც კურსკის ბრძოლის დროს სრული საარტილერიო ბატალიონიდან ცოცხალი გადარჩნენ. ტერენტი ხუბუა დიდი სამამულო ომის ვეტერანი და აფხაზეთიდან დევნილია. აი, რა გვიამბო მან:

— ომში წასვლამდე სოფელ გუდავაში სკოლის დირექტორი გახლდით, 1939 წელს სამხედრო სამსახურში გამინვიეს და საარტილერიო სკოლაში გამამწესეს. იმ დროს ჯარი ითხოვდანი იყო. კარ-

გად მახსოვს, 1941 წლის 22 ივნისს კურსანტები ლვოვში გაგვანაწილეს. დილის 7 საათისთვის ჯერარ ვიყავით ლვოვში შესული, რომ დაბომბვა დაიწყო. სისხლი თვალითაც არ მქონდა ნანახი, აფხაზე ცხოვრობდა ნახალოვაში. მოკ-



თის ერთი ზღვისპირა სოფლის სკოლის დირექტორი გახლდით. ძალიან მალე მოხდა ყველაფერი, 50 კურსანტი ვიყავით, სულ ყველა ჩემი ამხანაგი. ყველაზე უფროსი მე ვიყავი — 27 წლის. დაბომბვის შედეგად ყველა ერთიანად ამონხოცა, 50 კაციდან მხოლოდ ოთხი გადავრჩით — ერთი რუსი, ერთი ბაშკირი, ორი ქართველი. ის მეორე ქართველი კონსტანტინე ბერიძე იყო, ჩემსავით ოფიცერი. მაშინ დავთქვით, რომ, თუ ერთ-ერთი მაინც გადავრჩიბოდით, ერთმანეთის ოჯახებს მივხედავდით. ლვოვის მერე კოსტა ალარ მინახავს საქართველოში ჩამოსვლამდე. სხვადასხვა ნანილში მოვხვდით. ომი რომ დასრულდა, 1945 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოვედი და, სანამ ჩემებთან წავიდოდი სოფელში, პირველ რიგში, კოსტა ბერიძის ოჯახის მონახულება გადავწყვიტე. არაფერი ვიცოდი მის შესახებ, მხოლოდ ის, რომ წყაროს ქუჩაზე ცხოვრობდა ნახალოვაში. მოკ-

ლედ, თბილისში ჩასვლისთანავე დაკარგული მეგობრის ოჯახისთვის უნდა მომევლო და ვიპოვე ეს წყაროს ქუჩა, ბერიძეების სახლიც. პოდა, ჩემი მეგობარი კოსტაც იქ არ დამხვდა! ჩემსავით ფეხში იყო დაჭრილი. კონსტანტინე მითხრა, ვიყავი ნასული სოფ. გუდავაში და დედაშენი და მამაშენი ვინახულეო. კოსტა იმის მერე აღარ დამიკარგავს — ჩემი ქალიშვილი მოვანათლინე. თვითონ უკვე გარდაცვლილია, მაგრამ ოჯახების ნათესაობა ახლაც გრძელდება.

— ვიცით, რომ კურსკის ბრძოლის მონაწილე ხართ. ეს ბრძოლა ერთ-ერთ გარდამტეს ეტაპად არის მიჩნეული სამამულო ომის ისტორიაში.

— იცით კურსკი რა იყო?

მეორე სტალინგრადი. 1943 წელს მოხდა ეს უსასტიკესი ბრძოლა და ჩემი ბატალიონიდან რადისტებიც კი არ გადარჩენილან. სულ ათიოდე მძიმედ დაჭრილი მეომარი გადარჩა, მათ შორის გადავრჩი მეც, მაგრამ მყითხეთ როგორ? გეტყვით, რაც მახსოვს. ამ ბრძოლის შემდეგ ნახევრად-დაფლეთილი გორკის ჰოსპიტალში ვინექი და კარგა ხანს გონს ვერ მოვდიოდი. გეტყვით, რაც დამრჩა მეხსიერებაში.

მე მაშინ საარტილერიო ბატალიონის მეთაური ვიყავი, 30-40 კმ-ის დისტანციაზე ვხსნიდით ცეცხლს და წინა ხაზს ვასუფთავებდით. მოხდა ისე, რომ ბატალიონი მთლიანად გამინადგურეს, არადა, უკან დახევის უფლება არ გვქონდა, ჩვენს უკან ჯარი იდგა. ბოლოს მარტო მე, რადისტი და ადიუტანტი დავრჩით. მეორე სანგარში გადავინაცვლეთ, რომ დაბომბვისგან თავი დაგვეცვა. მოკლედ, სანგრის გამოცვლა და იმ სანგარში ყუმბარის მოხვედრა ერთი იყო. ადიუტანტი და რადისტი იქვე დაიღუპნენ, ჩემ თვალშიანი მოხვედრის დასავალი და მიმის გადასახლის გადაურჩით, შემდეგ — კურსკის ბრძოლას...



ცოცხლებს ეძებდნენ. მე თურმე მკვდარი ვეგონე და ჩამიარეს, მაგრამ ერთ სანიტარს ჩემი გმინვა გაუგონია. ამომათრია გვამებიდან და მიუხედავად იმისა, რომ სხვა სანიტრები უებნებოდნენ, გზაში მოგიკვდება, ვერ ხედავ ხორცები ნაფლეთებად ჰყიდია, დატოვეო, მაინც არ დამტოვა. ამ კაცმა ოთხი კილომეტრი ზურგით მათრია. წყურვილი მახრიბდა, არადა, დალევა არ შეიძლებოდა. იარაღი საფეხელზე დავადე და ვუთხარი, ახლავე წყალი დამალევინე, თორემ მოგკლავ-მეთქი. ძაან გავანვალე გზაში, მაგრამ მაინც მიმიყვანა ნაწილამდე, იქიდან კი გორკის სამხედრო ჰოსპიტალში გადამაფრინეს. მერე ვეძებე ის სანიტარი და მოვნახე — ვასილი ონოპკუ იყო. 1967 წლამდე ვმეგობრობდით და მიმოწერაც გვქონდა. მერე მისამართი დავკარგე და ვეღარ დავუკავშირდი.

— ქუდბედიანი ადამიანი ყოფილხართ, ლვოვის 22 ივნისის დაბომბვას გადაურჩით, შემდეგ — კურსკის ბრძოლას...

— კურსკი ყველაზე მძიმე იყო. ლერთმა გადამარჩინა და მგონი, ვიცირატომაც — 8 წლის გოგონას გამო. ეს კურსკამდე მოხდა, 1942 წელს ლვოვის ერთ-ერთი ფრონტიდან იარაღის მისაღებად გამაგზავნეს მოსკოვში, ქვემები უნდა მიგველო. ჩვენი მატარებლით მივდიოდნენ და მკვდრებს შორის

მიდიოდა მატარებელი ევაკუირებული ხალხით სავსე — ბავშვებით, ქალებითა და მოხუცებით. გერმანელებმა დაბომბეს ეს მატარებელი. სისხლის გუბეები იდგა, მატარებლის ბორბლები წილად შეიღება. ჩვენი მატარებელი ნახევარი კილომეტრით ჩამორჩებოდა და დაბომბვა რომ დაიწყო, გავჩერდით. უფროსობამ ორ ნაწილად დაგვყო: ერთ ნაწილს ცხედრები უნდა ნამოეკრიფა, მეორეს რკინიგზა შეეკეთებინა, გზა რომ გაგვეგრძელებინა. მე ვიყავი ერთ-ერთი ქვედანაყოფის უფროსი. ჩვენ ლიანდაგის აღდგენა გვევალებოდა. მივედი იმ საშინელებამდე და ატირებული 8-9 წლის გოგონა ვნახე. მუშა ბატალიონი გვამებისგან წმენდა ტერიტორიას. ბავშვმა მითხრა, ჩემი და სწავლობს მოსკოვში და დედასთან ერთად იქ მივდიოდით, მამა კიდევ ჯარშია. ბავშვმა არ იცოდა მოსკოვის მისამართი, მაგრამ რახან მოსკოვში მივდიოდი, გადავწყვიტე, ბავშვი თან ნამეუკვნა და მისი და მომენახა „სოვეტსკი ინფორმ ბიუროს“ დახმარებით. ჩავიყვანე მოსკოვში გოგონა, ვიპოვე და და ჩავაპარე. შემდეგ მივიღე ქვემები და წამოვიღე. მერე იყო კურსკის ბრძოლა. იქ ცხრა ადგილას ვიყავი დაჭრილი, წამიყვანეს გორკის ჰოსპიტალში, ორ ადამიანს მოვწერე წერილი — ერთი იმ გოგონას დას მოსკოვში და მეორე ჩემს ცოლს



აფხაზეთში. ცოლს მივწერე, მაშინ ერთი ქალიშვილი მყავდა მხოლოდ, რომ პოსპიტალში ვარდა არ წამოხვიდეთ-მეტე. მეშინოდა, გზაში რამე არ დამართნოდათ. ამ-დგარა ეს მოსკოველი გოგო და თავის პატარა დასთან ერთად ჩა-მოვიდა გორკში. არადა, პოსპიტ-ალში არავის უშვებდნენ, თუ ცო-ლი ან ოჯახის წევრი არ იყო. ამ ქალს უთქამს, მისი ცოლი ვარ, ეს კი მისი შვილიო. შემოვიდა ექიმი პალატაში და მეუბნება, შენი ცოლ-შვილი ჩამოვიდაო. ისე მეყნინა, მეტი არ შეიძლება, მაგ-რამ მოსკოველი დებირომ დავინა-სე, ძალიან გამიხარდა. საღამომდე იყვნენ და მერე წავიდნენ. ბოლოს, პოსპიტლიდან რომ გამომნერეს, ვინახულე მოსკოვში. ხშირად ამა-ზეც მიფიქრია, იმ ერთი ბავშვის მაგივრად ლვოვიდან ყველა ბავშ-ვი რომ წამომეყვანა და პატრონე-ბისთვის ჩამებარებინა, შეიძლება ასე მძიმედაც არ დავჭრილიყავი-მეთქი. ენდეთ გამოცდილ მეომარს - არც ბრძოლის ტაქტიკის ცოდნა, არც ქუდედიანობა, არც მოხერ-ხებულობა არ გამოგიყვანს ტყვი-ების ცეცხლიდან ცოცხალს. მხო-ლოდ შენ მიერ გაკეთებული სიკე-თე თუ აგეფარება ფარად, სხვა არაფერი. ამაში დავრჩნენდი. მარტო ჩემს მაგალითზე არ ვამ-ბობ ამას. ზუსტად არ მახსოვს, მინსკთან იყო მგონი ის ბრძოლა,

ჩემი ბატალიონის ჯარისკაცმა ნა-ხევრადმეკვდარ გერმანელს თავი-სი ფარაჯა გადააფარა. არადა, ის გერმანელი ძლივს სუნთქავდა, ვერ გადარჩებოდა. ნოებერი იყო და ფარაჯის გარეშე დარჩენა სრუ-ლი სიგიჟე იყო. ეს ჯარისკაცი ისე გაცივდა, რომ ვიტებსკში ინვა ამის გამო პლევრიტით. სამი წლის შემ-დეგ ლადოგის ტბაზე გადასვლი-სას ერთ-ერთ შენაერთში 1022 კა-ცი დაიღუბა, ეს ბიჭი გადარჩა მხო-ლოდ. გესმით, 1000 კაციდან ეს ერთი. სამამულო ომი ჩემთვის ნმინდა ომი იყო. იქ ვისწავლე სი-კეთისა და ბოროტების გარჩევა. მტერს ებრძვი და ხვდები, თუ მტე-რი არ დაინდე, ვერც შენ გადარჩე-ბი. გაგიტირდებათ ახლა ამის გა-გება, მაგრამ, თუ გაუძელი ამდენ სისხლს, იქიდან რაღაცნაირად გა-კეთილშობილებული გამოდიხარ.

### — დიდ თეატრში როგორ იმდე-რეთ, ის მოგვიყევით.

— 1942 წელს მოსკოვში ჩავედი იარალის მისაღებად. დიდ თეატ-რში დავბანაკდით, ოფიცრები — ფორემებში. სანამ იქ ვიყავით და უუცდიდით იარალის მიღებას, თქვეს, რომ დიდი თეატრის შენო-ბაში ვართ და მოდი, ბარემ კონ-ცერტი გავმართოთ. უკრაინე-ლებმა, ყაზახებმა, ტაჯიკებმა და ა.შ. ჯგუფები დაალაგეს ეროვნე-ბის მიხედვით და კონცერტს ორ-განიზება გაუკეთეს. ისე გამოვი-და, რომ იმ მომენტში ქართველი

ჩემ გარდა არავინ იყო და მე ვიმ-ღერე „სულიკო“ და ვიცეკვე ქარ-თული, ანუ საქართველო წარმო-ვადგინე. ასე რომ, დღესაც ვტრა-ბახობ, რომ დიდ თეატრში ნამღე-რიც მაქვს და ნაცეკვიც.

### — ომის დამთავრების შემდეგ სად მსახურობდით?

— ომიდან დაბრუნების შემდეგ გავაგრძელე სკოლის დირექტო-რა დ მუშაობა სხვადასხვა სოფ-ლებში, მერე კოლმეურნების თავ-მჯდომარედ დამნიშნეს ჩემსავე სოფელში, პარტიის რაიონში ინს-ტრუქტორად ვიმუშავე და ბოლოს, პენსიაში გასვლამდე ენგურჰესის პარტიული კომიტეტის სექტორის გამგე ვიყავი. თავის დროზე ძალი-ან მაღალი ხელფასი მქონდა, დაჭ-რილი რომ ვიყავი, ვსარგებლობდი ყველა იმ შეღავათით, რომელიც ჰქონდა ყველა ომის მონაწილეს, დავდიოდი კისლოვოდეში, ერთ-ხელ სერიოზული მკურნალობაც დამჭირდა, კუჭი მანუხებდა და ლე-ნინგრადის სამხედრო აკადემიაში ვიწექი, კაპიკი არ გამოურთმევია ჩემთვის არავის. სულ ბოლოს, ომის ვეტერანის ხელფასის საკითხი რომ დადგა, მაშინ დამატებით მომთხო-ვეს ძირული დოკუმენტის წარდ-გენა ჩემი ნაწილიდან. ეგეთი არის პოდმოსკოვიები პოდოლსკის არ-ქივი — „არხივ სოვეტსკოი არმიი“. თქვენ წარმოიდგინეთ, იქ აღმოჩნ-და ჩემი ყველა საბუთი, ბატალიო-ნის დასახელება და ა.შ.

### — ვიცით, რომ დღეს მაინც და მაინც არ გილხინთ.

— ვეტერანები ომის ვეტერანის პენსიასა და ინვალიდობის პენსიას ვიღებთ, ბევრი არაფერია, მაგრამ რა ვუყოთ ახლა. მე დევნილის თან-ხას მაძლევენ კიდევ — 28 ლარს; მყავს 3 შვილი, 9 შვილიშვილი, 6 შვილთაშვილი. დღეს ბევრი რამე გვაკლია, მაგრამ არაფერი არ მინ-და, არც ეს სოციალური შეღავათე-ბი, არც მადლობები და ჯილდოე-ბი, მემორიალს რომ გვიფეთებენ და ჩვენს ცხოვრებას არად აგდე-ბენ, ამასაც მოვითმენ რამენაირად, მაგრამ... ჩემს სახლში, სოფელ გუ-დავაში დაბრუნება მინდა! სიკვდი-ლის წინ მაინც რომ ვნახო!

ესაუბრა  
თავარ ქავებიშვილი



იური თბერივი:

# ჩოხა გამატი სტალინის გრიმით ჯარის ნიც გავატარეთ... მკვდარით ეძღვარი სტალინი ეგრეთ

ცნობილი ქართველი მსახიობის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის — გუბეტი ზაქარიაშვილის უზადო შემოქმედებას კარგად იცნობს ქართველი და არამარტო ქართველი მაყურებელი. წელს მისი დაბადებიდან 100 წელი შესრულდა — მთელი საუკუნე. ვათვალიერებთ მასალებს, რომლებშიც მსახიობის ცხოვრება — ერთმანეთს ენაცვლებიან სახეები, თეატრალური თუ კინოროლები... მასალებში ერთი ასეთი ფოტოა: ძმები — სერგო და ბუხუტი ზაქარიაძეები ხელიხელგადახვეულნი დგანან, ფოტოზე თარიღი გაფერმკრთალებულა, კარგა ხნის უნდა იყოს, ახალგაზრდები, გაბადრულები არიან ძმები. შეიძლება ეს ის დროა, ხონის თეატრში რომ გამოდიოდნენ ერთად. იმხანად იქ ძლიერი დასი იყო, სერგო უკვე ქმნიდა საინტერესო სახეებს. 1929 წელს ბუხუტიც მივიდა თეატრში, მივიდა ისე, რომ არც თეატრალური სტუდია დაუმთავრებია, არც სპეციალური კურსი გაუვლია მსახიობის ოსტატობისა.

ზაქარიაძები აზერბაიჯანში დაიბადნენ, სამი ძმა — სერგო, ბორია და ბუხუტი. მამა — ალექსანდრე ზაქარიაძე რკინიგზის მემანქანე იყო. ამიტომ ოჯახს სხვადასხვა ადგილზე უხდებოდა ცხოვრება. ბიჭები პატარები იყვნენ, როცა საცხოვრებლად ზესტაფონში გადმოვიდნენ. 13 წლის სერგო ზესტაფონის სადგურში განცხადებას წაიკითხავს; „თბილისის დრამატული სტუდია სტუდენტებს იღებს“. მამა უკვე გარდაცვლილი იყო. უმცროსი ძმის, ბუხუტის პირით დედას შეუთვალი, ჩემზე ნუ იდარდებო და სახლიდან გაიპარა. თეატრალური სტუდიის მაგიდასთან კი გამოცდილი კორიფეები — აკაკი ფალავა, კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი დახვდა... მოენონათ ახალგაზრდა ყმანვილი. თავისუფალ მსმენელად მიიღებს.

მოგვიანებით კი, სერგო ზაქარიაძე გასაოცარ სახეებს შექმნის კინოშიც და სცენაზეც. რუსთაველის თეატრის დამსახურებული არტისტი და სამხატვრო ხელმძღვანელი გახდება, „ჯარისკაცის მამა“ — ეს სახეც საკმარისია, რომელიც მას

მსოფლიო აღიარებას მოუტანს.

ბუხუტის კი მსახიობობა არ სურდა. ის ქირურგობაზე ოცნებობდა. ხონის თეატრში, ბუხუტი ძმასთან ელექტრომონტოირად იწყებს მუშაობას. ერთხელაც, ვილაც მსახიობი ავად გახდა და ბუხუტის სრულიად შემთხვევით სცენაზე შეუშევებენ. ისე ამაღლვებლად ითამაშა, რომ რეჟისორმა ვახტანგ აბაშიძემ დასში ჩარიცხა.

სხვადასხვა დროს ბუხუტი ზაქარიაძე მოღვაწეობდა ჭიათურაში, ბათუმში, სოხუმში, თელავში, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში და, ბოლოს, რუსთაველის სახელობის თეატრში. უფროსი ასაკის მაყურებლები ქებით იხსენიებენ მის კრეონტს („ოიდიპოს მეფე“ — ჭიათურაში), ჩინთას („მოკვეთილი“ — ბათუმში), თევდორე პროტასოვს („ცოცხალილები“ — სოხუმში), ზურია ხარატელს („ხარატიანთ კერა“ — მარჯანიშვილის თეატრში). ქებას პრესაც არ იმურებს. 1953 წლის 14 ივლისის გაზეთ „კომუნისტი“, როდესაც რეცენზიტი ა. ბურთიკაშვილი თბილისში სოხუმის თეატრის გასტროლებს მიმოიხილავს, „ცო-



ცხალ ლეშში“ ბ. ზაქარიაძის პროფასოვზე წერს: „მოსანონია ბ. ზაქარიაძე, რამდენადაც მას ამ როლში ბევრი თავისი ბური შტრიხი შეაქვს და არ მისდევს ამ როლის შემქმნელ მსახიობთა მიერ დამკვიდრებულ გზას.“

შემდეგ იყო მარჯანიშვილის თეატრი. იულიუს ფუჩიკის როლი. პიესა „ჩვენებურები“, „ეზოში ავი ძალლია“. „ბებერი მეზურნეები“ (კარლო საკანდელიძე, რამაზ ჩხიტავაძე და ბუხუტი ზაქარიაძე), „მაგდანას ლურჯა... კინოდან ბევრ შემოთავაზებაზე ზოგჯერ უარსაც ამბობდა, რადგან თეატრი ერჩივნა. თეატრით სუნთქავს და ცოცხლობს. წარმატებით მოღვაწეობს „მოსფილმში“, „მოღვაწე ფილმში“, რეჟისორი შექმნა ირაკლი კვირიკაძის ფილმში „ქვევრი“, გადაღების წინ კახეთში ბაზარში წავიდა და გლეხისგან ტანისამოს შეიძინა, არც გაურეცხავს, ასე უფრო დამაჯერებელია, და ამ ფორმაში გამოცხადდა გადასაღებ მოედანზე. დრამატული და კომედიური როლები ერთმანეთს ენაცვლება. მაყურე



ბუხუტი ზაქარიაძე სტალინის როლში

ბელი აღმართოვანებულია. ყველა როლს განსხავავებულად თამაშობს. თავისი სტილი აქვს, თავისი დამახასიათებელი, დასამახსოვრებელი ხმის ტემპით. თამაშობს ტემპერამენტით, ეს ტემპერამენტი პარტნიორისთვისაც გადამდებია და დარპაზისთვისაც....

მაყურებლისგან აღიარებული დიდი მსახიობის, სერგო ზაქარიაძის ძმას — ბუხუტი ზაქარიაძეს რუსთაველის თეატრში მოსვლამდე უკვე მოპოვებული აქვს გულწრფელი მსახიობის სახელი.

მოგვიანებით ძმები ერთადაც დადგებიან სცენაზე. სპექტაკლ „სამანიშვილის დედინაცვალში“ კი ბეკინას როლში ერთმანეთს შეცვლიან. მაყურებელი მათ შორის განსხვავებას გრძნობს. სერგოს ბეკინა უფრო ქედმაღალი და თავდაჯერებულია, არ თმობს თავკაცობას, ბუხუტის ბეკინა — უფრო რბილი და მორჩილი. ორივე შეუდარებელია. ორივე თავისებურად ასრულებს ამ როლს და მაყურებელი აღმართოვანებულია. გამუდმებულმა შემოქმედებითმა ძიებამ თავისი სტილი და მანერა დაუმკვიდრა მსახიობს.

1942 წლის მძიმე დღეებში „ოლეკო დუნდიჩი“ დაუდგამს რუსთაველის თეატრს. გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ ნომერში რეცენზენტი დ. ჯანელიძე წერს: „ოლეკო დუნდიჩის როლის შემსრულებელს, რუსთაველის თეატრისათვის ახალ მსახიობს — ბ. ზაქარიაძეს ბევრი კარგი აქტიორული თვისება აღმო-

აჩნდა. მეორე სურათში მარჯვედ მიგნებული ლირიკული ტონით მან უკვე დაიპყრო მაყურებელთა ყურადღება და ტაში დაიმსახურა.

...სარდლის მისალებ ოთახში მან კარგად ჩაატარა შეცდომის აღიარების ამაღლვებელი სცენა და გამარჯვებით გაიტანა თავი საფინალო სურათში. ბ. ზაქარიაძე ბევრის აღმთქმელი მსახიობია“.

ახლა გ. ბუხნიკაშვილს მოვუსმინოთ: „განსაკუთრებით აღსანიშნავია მსახიობი ბ. ზაქარიაძე, რომელიც საგასტროლო სპექტაკლებში ნიჭიერად ასრულებს ზანგი სემის („მომავალი ჩვენია“) და თევდორე პროტასოვის („ცოცხალი ლეში“) როლებს. განცდის სიღრმითა და გულწრფელობით ამ ტრაგიკულ სახეებს აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი. ეს და ზოგიერთი სხვა როლი ბ. ზაქარიაძეს გამოყოფს, როგორც ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო ტრაგიკოს მსახიობს“ (გაზეთი „ზარია ვოსტოკა“).

დღეს უკვე ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის კუთვნილება, მისი „ოქროს ფონდია“ ბ. ზაქარიაძის სახეები სპექტაკლებში: „აურზაური არაფრის გამო“, „პირველი ნაბიჯი“, „ჩაძირული ქვები“, „რღვევა“, „ჩვენებურები“, „ეზოში ავიძალლია“, „არაგველები“, „ბორის გოდუნოვი“, „რევიზორი“, „მასკარადი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ბებერი მეზურნეები“ და ა.შ. ამ სპექტაკლებიდან ზოგიერთში ბ. ზაქარიაძე გამოჩნდა, როგორც სასიათო როლების შესანიშნავი შემრულებელი.

ბ. ზაქარიაძის ხელოვნებას საზღვარგარეთიც გულლიად უკრავდა ტაშს. არც პრესას გამოჰყარვია მისი ოსტატობა. „საარბრიუკერ ცაიტუნგი“ წერდა: „დიდი შთაგონებით, ზუსტი შტრიხებით გვიხატავს ბუხუტი ზაქარიაძე ბეკინა სამანიშვილის სახეს“. 50-იანი წლებიდან ბუხუტი ზაქარიაძემ კინემატოგრაფი რამდენიმე საუცხოო როლით დაამშვენა. მსახიობი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ სახეებს სთავაზობს მაყურებელს „ქართული ფილმის“, „მოსფილმის“, „მოლდოვაფილმის“ კინოსურათებში. აბა, გავიხსენოთ მისი კეთილი მოხუცი სოსა „ბებერ მეზურნეებში“, ი. სტალინი „განთავისუფლებაში“, გაუბედურებული მედუქნე „დათა თუთაშიაში“ და ბევრი სხვა როლი, რომლებშიც დიდ სიმართლეს გარდასახვის ხელოვნება შენივთებია, ეროვნული სულით გაუჯერებია.

მსახიობის პოპულარობა დიდად გაიზარდა სტალინის როლის შესრულების შემდეგ, თუმცა აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია ამ სახემ, არადა, ფილმის მაყურებელი საიდან შეიტყობს, რომ დამდგმელი ჯგუფის მოთხოვნები, ხშირად ნაკლებად ექვემდებარება მსახიობის ნება-სურვილს. თავდაპირველად სტალინის როლზე სერგო მიიწვიეს. მერე რატომლაც ამ როლზე ბუხუტის დაამტკიცებენ. რუსი რეჟისორი იური ოზეროვი მოგვიანებით იტყვის: „როცა ბუხუტი სტალინის გრიმით ჯარის ნინ გავატარე, ჯარისკაცები გაგიუდნენ, მკვდრეთით აღმდგარი სტალინი ეგონათ“. ბუხუტი უხერხულად გრძნობდა თავს ძმის ნინაშე და უკითხავს კიდეც: „სტალინის როლზე დამატკიცეს. ნინააღმდეგი ხომ არ იქნები?“, „აუცილებლად უნდა ითამაშოო“, — ასეთი პასუხი მიუღია.

ზაქარიაძების სახლში ხელოვნის უახლოესი მეგობრები, მსახიობები, რეჟისორები ხშირად იკრიბებოდნენ. მასპინძელს ყოველთვის სიკეთის, სიხარულის ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

ბუხუტი ზაქარიაძე 1983 წელს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

**დეა სვანიძე**

# კოსტაციი გამსახურდია – 120

## ნარკოლეტი კვალი

„კამეჩის ენერგია სჭირდება მწერალს. ამ სათუთი კალმიდან ქალალდზე გადატანილი წნევის გაზომვა რომ მოხერხდეს, ალბათ, რამდენიმე ათასი ცხენის ძალა გამოვა“. მართლაც, 20 წელი მოანდომა და 1962 წელს დაამთავრა ისტორიული რომანი „დავით აღმაშენებელი“, რომელიც ოთხ წიგნს მოიცავს. ამ რომანისთვის 1965 წელს ერთ-ერთ პირველს მიენიჭა რუსთაველის პრემია. ის თამაშითა და ბრძოლით წერდა თავისი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამბავს. ბრძოლა და თამაში ცხოვრებაშიც არ დაკლებია.

XX საუკუნის საბჭოეთის ყველაზე მძიმე პერიოდში მოუწია მოლვანეობა. ერთხელ დაპატიმრეს

კიდეც, 1931 წელს მწერალთა ფედერაციიდან გამორიცხეს, როგორც რეაქციონერი, შოვინისტი და ანტისაბჭოთა მწერალი. ისიც ხომ ნიჭია, ცოცხალი გადარჩე, როდესაც რაღაც გაქვს სათქმელი, მოვალეობა გაკისრია. აკაკი ბაქრაძე გამსახურდიას ამსგავსებს იმ ადამიანს, რომელსაც შინ პური მიაქვს და უკან ქოფაკი მისდევს, ამიტომ იძულებულია, დროდადრო ნაგაზს პურის ნატეხი გადაუგდოს. ასე უყრიდა საბჭოთა ხელისუფლებას „ბელადს“, „ვაზის ყვავილობას“, ნარკვევებს, რომ დაწერილიყო „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“.

როგორც ყველა დიდ შემოქ-

მედს, გამსახურდიასაც საკუთარი სამწერლო ენა და სტილი აქვს. ამაღლებული, ოდნავ არქაული, ლექსივით მწყობრი. თუ პროზის ზეპირად სწავლა შეიძლება, ერთერთი ასეთი ნაწარმოები, ალბათ, „დიდოსტატის მარჯვენა“. მართლაც, ზეპირად სწავლობდნენ, ლექსივით კითხულობდნენ. 1944 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს.

ჩოხაში გამოწყობილი, მუდამ წელგამართული, ამაყი მზერითა და ღირსებით სავსე დააბიჯებდა ყოფილ გოლოვინის ქუჩაზე, რომელსაც რუსთაველის სახელი მისი ინიციატივით დაარქვეს.

კონსტანტინე გამსახურიას თავისი დაბადების 80 წლისთავზე უთქვამს: არც დიდხანს სიცოცხლე ვარგებულაო. უკანასკნელ განსასვენებელადაც გამორჩეული ადგილი მონახა: საკუთარი სახლის, კოლხური კოშკის ეზოში დაკრძალეს.

ჭეშმარიტს ბრძანებდა სულკურთხეული: „კურთხეული მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიძველე ამჟამად და არც არაზერი ამშვერებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოხილის სიმაგრე შეუდგერა გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მინას საკაულად გამოადგება. ხელოვნებას თვით უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეცევა სიცადილი“. უტყუარი წინასწარმეტყველება გამოდგა მწერლის ნათქვამი: „მე ვიტყვი სიტყვას — ათასები ყურს დამიგდებენ. მე ვიტყვი სიტყვას შვენიერისა და ღვთაებრივის გამო და, ჩემი სიტყვა თუ დაეცა ფხვიერ ყამირზე, ამ სიტყვის მერე ათასები ისევ იტყვიან“.



**ეს ფოტო 1965 წლის ნოემბრის გადაღებული იყალთოს აკადემიაში, სადაც ესართული სიტყვის ფილმისტათი ჩვეული გზებით დამოტკვამს სიტყვას ხალხლავალი აუზითორის ტონეა. აქვე კარიზმის არიან მარცხენას ლადო გადის გვილი, ირაკლი აგაშიძე და მიხეილ გრეივიანის.**



# განილებული მასშის მართვა აღვიტი არ არის

შექმნილობა ცოტაა იმის გამოსახატავად, როცა დღევანდელი საშუალო სკოლის მოსწავლეებისგან სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე დასმულ შეკითხვებზე პასუხად ისეთ რამეს მოისმენ, ყოველგვარ ფანტაზიას რომ სცდება. ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკითხვიდან, რომელიც ტელეეთერით გადაიცა, მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მათ ეართული ლიტერატურის შესახებ თითქმის არაფერი იცია; თანმომდევნობა არ აძვი, ვინ არის შოთა რუსთაველი და უფრო მეტიც: მაყურებელი საგონიერებელში ჩააგდო ერთი მოსწავლის ნათქვამა — ნესტანი და დარეჯანი შეყვარებულები იყვნენო. მოდი და არკვიე, ეს სექსუალური უმცირესობების პროპაგანდის ნაყოფი იყო თუ ბავშვმა უბრალოდ, დაუფიქრებლად წამოისროლა აღნიშნული ფრაზა. რა ხდება დღეს: მოდის თუ არა ეროვნულ ნიადაგზე — მშობლიურ ლიტერატურაზე აღზრდილი თაობა, რა დონეზეა სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, უწერია თუ არა ქართულ ენას „ნახდენა“, რადგან „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს“, — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურა პვერაცხელია და თბილისის №77 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერთიფიცირებული პედაგოგი ბელა დუდაური.

## გურა კვარაცხელია:

### არგორ გაიძლება, არმ ჲავვა თქვას, ნესტანი და დარეჯანი გევვარებულები იყვნენ?! ვფიქრობ, ეს პროცესისა, კლასის აგდება

— ქალბატონო გურა, თქვენის აზრით, რა არის მიზეზი იმისა, რომ მოსწავლეებს ნესტანი და დარეჯანი შეყვარებულები ჰქონიათ, ხოლო შოთა რუსთაველზე ამბობენ, მე-12 საუკუნეში მეფობდაო?

— ვერ წარმომიდგენია, რომ ვინმემ მსგავსი სისულელე თქვას. როგორ შეიძლება, რომ ბავშვმა თქვას, ნესტანი და დარეჯანი შეყვარებულები იყვნენ?! ვფიქრობ, ეს პროცესიაცია, კლასის აგდება. არ სწავლობენ, არ სწავლობენ, მაგრამ თავის ადგილზე

მაინც დატოვონ ეს ყველაფერი, თავი დაანებონ. ეს როგორ შეიძლება?

სკოლებში ცუდი სწავლება არ არის, როდონაიას ჯვეუფის მიერ დაწერილი სახელმძღვანელოა. წინათ უურნალის სახით გამოდიოდა ქათული ენა და ლიტერატურა სკოლებისთვის. ამ უურნალებით ჩვენ მთელ საქართველოში ვმოგზაურობდით, ვხვდებოდით ბედა-გოგებს, ვაცნობდით სიახლეებს, სხვაგვარი ანალიზები იყო ტექსტის. პირადად მე მაქვს ერთი ნამუშევარი „რატომ მოკლა ხევისბერ-

მა შვილი“. მასში სულ სხვაგვარი ხედვა იყო, ანალიზმა ცხადყო, რომ ეს ძალიან ეხმარებოდა ბედა-გოგებს, პევრს ახალს სწავლობდნენ, მეცნიერების ახალ-ახალ ნამუშევრებსა და კვლევებს ეცნობოდნენ. იმისთვის, რომ მოსწავლე დაინტერესო, სულ უნდა მუშაობდე, ეძებდე გზებს, რომლითაც ბავშვს ამა თუ იმ მწერლის მიმართ ინტერესი უნდა გაუჩინო. მათ უნდა იკითხონ ქართული ლიტერატურა, თვლიან, რომ იქ ისეთი არაფერი არ არის, რისი წაკითხვაც ღირს, მაგრამ ეს ასე არ არის. მაგვაჟა სულ სხვანაირია, ამას თავის დროზე ჩვენ ვაწვდიდით ბედა-გოგებს, ვაცნობდით სიახლეებს. სოფლებში არასახარბიერო სიტუაცია გვხვდებოდა — სოფლის მასწავლებლებს დრო არ ჰქონდათ, რომ წიგნები წაეკითხათ. ფილოლოგმა არ შეიძლება, რომ ნიგნები წაეკითხათ, ფილოლოგმა, ენამინიჭების, ენამინიჭების და ენამინიჭების სამუშაო საათები იცდათ, რომ წიგნები წაეკითხათ, ამას გადაჭარბების გარეშე ვამპობ. ეს დაგროვებითი ცოდნაა, პედაგოგებს კი იმდენად უჭირთ, რომ ამის დრო არ ჩებათ. მათ დასახმარებლად უნდა იქმნებოდეს სპეციალური ლიტერატურა, მოკლედ, ლაკონურად დაწერილი, რომელიც ყველა სიახლეს მოიცავს, უნდა იყოს ინფორმაციული. ბავშვს, როდესაც ტექსტის ასწავლი, აკარალებურად აზროვნებაც უნდა ასწავლო, აზროვნება აუცილებელია როგორც ლიტერატურა, ასევე გრამატიკაში, ნესტანი კი არ უნდა დააზუტობონ. როცა იაზროვნებს, მისდება, რა იცის დარა არა, ასეთი შემთხვევაში ისულელეს მაინც არ იტყვის.

ახალგაზრდების თავში ქაოსია. ისინი სოციალურმა ქსელებმა



მთლიანად გამოფიტა. აი, ახლა მოდაშია „დაალაიქა“. რა არის ეს?! გამოიტანა ვიღაცამ სურათი, მეორემ ადგა და „დაალაიქა“, იმას კი არ შეხედა, მოეწონა ეს ფოტო თუ არა, მან ეს უაზროდ გააკეთა. **ინდივიდუალურობა მთლიანად დაკარგული აქვთ, ჯგუფებში ერთიანდებიან.** ერთი შეხედვით, თითქოს ეს ცუდი არ არის, რადგან უსამართლობის წინააღმდეგ ადვილად ირაზმებიან, მაგრამ რის ხარჯზე?! ანალიზი — არა, წიგნის კითხვა — არა, ტექსტი — არა... ასე ხომ ვერ განვითარდება ადამიანი?! უნდა განვითარდე ფიქრით, აზროვნებით, ახალი მცნებებით. ყოველი სიტყვა მცნებაა, ყველა დროში ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები ლექსიკის გამდიდრებისთვის ვიბრძოდით, ლექსიკის უკან ცნება დგას, ცნება ცნობიერებაა. დაუკვირდით რა ვითარებაა: **ადამიანის ხელოვნურად განვითარება ხდება.** ტექნიკა ხელოვნური განვითარებაა და მომხიბვლელი გახდა ყველასთვის. ის ძალიან შრომატევად სამუშაოს გვისრულებს, მაგრამ ეს ავტომატური სამუშაოა. ბავშვის ხელში მოხვედრილი ავტომატური საშუალებები ძალიან მძიმე შედეგების მომტანია. დღეს ამაზე უკვე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს, ცდილობენ, ბავშვები ამ ყველაფრისგან დაიცვან, სადღაც ფაცერს დგამენ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. დღეს უმაღლესში მოდიან ძალიან სუსტი აპიტურიენტები. ოცდარვა წლის ვიყავი, სტუდენტებთან მუშაობა რომ დავიწყე. მას შემდეგ ყოველწლიურად ცოდნის კლება შეიმჩნევა. მართალია, არიან განსა-

## დღევანდელი მაგისტრატები ასპირანტებს უცდა უდიდესობა, მაგრამ სამცუროდ, სუსტები არიან.

კუთრებული ნიჭის მქონე ადამიანებიც, მაგრამ ჩვენ ახლა ზოგადად საზოგადოებაზე ვსაუბრობთ. გაოცდებით-ხოლმე ბავშვებმა ისეთი რაღაცები არ იციან, მაგრამ მე, ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, არ შემიძლია ისინი შევარცხვინო, ვცდილობ, ძალიან შეპარვით, ფრთხილად მივუდგე მათ. **დღევანდელი მაგისტრანტები ასპირანტებს უნდა უდრიდნენ, მაგრამ სამცუროდ, სუსტები არიან.**

არ მინდა, დავიკერო ის, რაზეც ხშირად საუბრობენ, რომ სადღაც მასონები არიან, შეთქმულებები ხდება, თუმცა ეჭვი ხშირად მიჩნდება, რადგან **განათლებული მასების მართვა ადვილი არ არის, არავის უნდა წინააღმდეგის გამნევი ადამიანი, ყველას ურჩევინა ადვილად მართვად, თავჩაღულება, კომაიუტერში შემძრალ ადამიანებთან ჰერცენდეს საქმე.** ეს არის გლობალური პრობლემა.

არ იქნება მართალი მხოლოდ იმაზე საუბარი, რომ ეს გლობალიზაციამ მოიტანა. სათანადოდ არ ხდება ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია, ახსენებენ ვაჟას, გალაკტიონს, ანა კალანდაძეს და სულრამდენიმე ლექსს კითხულობენ, სილრმისეული შესწავლა არ ხდება. სულ არაფერს ჯობია, რა თქმა უნდა, თუნდაც ერთი ლექსი მაინც რომ იცოდნენ ზეპი-

რად, მაგრამ პოეზიის გაგება ასე შეუძლებელია.

**დღეს იკრძალება და ბავშვზე ზენოლად ითვლება ის, რომ საზეპირო ასწავლო. ბავშვის უნარი მეხსიერებით განისაზღვრება, საზეპიროები მეხსიერების სავარჯიშოა, უაზროდ კი არ უნდა დააზეპირებინო, უნდა ესმოდეს, ანალიზი უნდა ჰქონდეს გავლილი. ამბობენ, ბავშვები არ შევანუხოთო, მაგრამ სწავლა და ცოდნის მიღება შენუხების გარეშე ნარმოუდგენელია.**

ისიც კარგად მესმის, რომ შემოსულ სიახლეს ვერაფრით ავუზლით გვერდს, მაგრამ განათლების სისტემამ თავისი უნდა დაუხვედროს. არსებული ვითარებიდან გამოსავალზე ზრუნვის გამოხატულებაა ის, რომ ჩვენ, მეცნიერებათა აკადემიის თანამშრლომლები ოფიციალურად განათლების სისტემის, სამინისტროს მრჩევლები ვართ. ვიკრიბებით, ვკითხულობთ მოხსენებებს, ვმართავთ დისკუსიებს, მაგრამ მეცნიერება არასდროს იქნება ისეთი პოპულარული, როგორც საესტრადო მუსიკაა, ვერც მეცნიერი იქნება მუსიკოსივით პოპულარული და არც უნდა იყოს, ეს სირცებილია, თუმცა, რასაც ვწერთ და ვაქვეყნებთ, მარტო ჩვენთვის ხომ არ ვაკეთებთ? თავს ხომ არ ვიტყუებთ, ვაგზავნით სამინისტროში, არ ვიცი, იქ კითხულობენ თუ არა, პასუხი არ მოდის. მჯერა, ერთ დღეს მიხვდებიან და ჩვენგან გაგზავნილი რჩევებითა და რეკომენდაციებით დაინტერესდებიან.

ალასანიშნავია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში იმდენად დიდია სოციალური პრობლემა, რომ ვერაფრისთვის ვეღარ იცლის ადამიანი.

და თუკი ხელისუფლება მოახერხებს იმას, რომ სოციალური პრობლემები მოგვარდება, მჯერა, რომ ყველაფერი გამოსწორდება.

**სათანადო არ ხდება ქართული ლიტერატურის კოკულარიზაცია, ასევე კანკორის, ასე კალაციას და სულ ასაღებო ლექსს კითხულობები, სილრმისეული შესწავლა არ ხდება. სულ არაფერს ჯობია, რა თქმა უნდა, თუნდაც ერთი ლექსი მაინც რომ იცოდნენ ზეპი-**



## ბეჭა დუდაურის: ქართული საგანია საგანია

— უკვე საქმაოდ შესამჩნევი გახდა, სკოლის მოსწავლეებს რომ ელემენტარული ცოდნა არ აქვთ ბეჭრ მნიშვნელოვან საკითხში, რაც საზოგადოების, განსაკუთრებით ძველი თაობის, აღშფოთებას და შეშფოთებას იწვევს, რა არის ამის მიზეზი? და აქვე ერთსაც გკითხავთ: თქვენი მოსწავლე იტყვის, რომ ნესტანი და დარეჯანი შეყვარებულები იყვნენ?

— მინდა მჯეროდეს, რომ ჩემი მოსწავლე ამას არ იტყვის, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ. სკოლაში არსებული პრობლემის ძირითადი მიზეზი მშობლები არიან. ცოტა ასაკიანი მშობლები ჯერ კიდევ აფასებენ, პატივს სცემენ და ენდობიან პედაგოგს, ახალგაზრდა მშობლებს კი მასწავლებლის ნდობა არ აქვთ — ჩასაფრებულები არიან, რაიმე რომ წამოგცდეს და ბავშვს „ზედმეტი“ გაუბედო, ვხუმრობ-ხოლმე, თოფი აქვს გადაკიდებული და პროეურატურასთან დგას-თქ.

წინათ მასწავლებლის მიმართ უდიდესი პატივისცემა იგრძნობოდა, თვლიდნენ, რომ ის, რასაც მასწავლებელი ამბობდა და აკეთებდა, იყო სწორი და მართალი. დღეს კი მშობელი ძალიან ხშირად გედავება, რომ თავისი შვილი ძალიან კარგად სწავლობს, არ იღებს შენგან შენიშვნას და გადმოდის იერიშზე. ეს იმან გამოიწვია, რომ ბოლო პერიოდში კანონში შესული ცვლილებები, რომლებიც მიმართული უნდა ყოფილიყო ბავშვის სასარგებლოდ, ძალიან ცუდად გაიგეს მშობლებმა, მასწავლებები კი შეპოჭა — ზედმეტად სიტყვარომ არ დასცდეს. ბოლოსდაბოლოს დავით გურამიშვილს ვასწავლი ბავშვებს, „სწავლა მოსწავლეთა“ საოცარ სიბრძნეს აფრქვევს ცოდნის მიღებასთან დაკავშირებით, რომ სწავლა რთული პროცესია და მის შესაძენად დიდი ძალისხმევა და ნების-

ყოფაა საჭირო. ამ პროცესში კი მასწავლებლის როლთან დაკავშირებით ისიცაა აღნიშნული, რომ ზოგჯერ გამართლებულიც და აუცილებელიც კია „ყრმის წევების ცემით კივილი“, რადგან „წევების ცემით დამუშხვა სჯობს საუკუნოდ ცეცხლში ბმათა“.

**ბავშვს არა აქვს მოპრაბლება პედაგოგის მიმართ.** შინაგანადესის თანახმად, მასწავლებლისგან ითხოვენ მაქსიმუმს, თავად კი პასუხისმგებელის მშობლებას არაზერთ იღებენ.

მასწავლებელი ასეთი არჩევანის წინაშე დგას — ან კარგი მსახიობი უნდა იყოს (სამწუხაროდ), ან მსხვერპლად უნდა შეენიროს მეთოდებს. დაუძახებენ ინტრიგანს, იქნება გალანძლული მშობლისგან, იქნება დაწუნებული მასწავლებელი, დღეს მშობლებსაც და ყველას მოსწონთ მლიქვნელური მეთოდი — მოფერება, თავზე ხელის გადასმა. ყოველთვის მომყავს დავით გურამიშვილი, რომ დაუმსახურებელმა შექებამ, ტყუილმა და ფარისევლობამ ქვეყანა დააციირა.

პედაგოგის ყურადღება მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ბავშვმა ლიტერატურიდან ისწავლოს ზნეობა, სწორედ წიგნის კითხვამ უნდა ჩამოყყალიბოს, კარგისა და ცუდის გარჩევის უნარი, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ლიტერატურის სწავლა ბავშვების გაგებაში მხოლოდ იმ დონეზეა, რომ როგორდაც წიშანი მიიღოს და გამოცდა ჩააბაროს. იმის იქით არაფერი აინტერესებს.

**რამდენად მოგწონთ ერთიანი ეროვნული და სასკოლო გამოცდები, არის თუ არა ისინი ბავშვის ცოდნის სრულყოფილად ნარმომჩნენი?**

— ეროვნულიც და სასკოლო გამოცდებიც ბავშვის უნარის, აზროვნების ნარმოჩნენაზეა ორიენტირებული. **გამოცდაზე მოდის სულ უცხო ჟერსი, რომელი**

ზეც თავად უნდა იმსჯელონ. სამწუხარო ფაქტის, რომ პავზვებს ხშირ შეთხვევებში შინარსი, მსჯელობა, ანალიზი ერთოდ არ იციან, რაზე უნდა ისაუბრონ, ადეკვატურ პასუხს ვერ გცემენ; ბავშვები იმას ვერ მიერჩივნენ, რომ შეკითხვის არსს კარგად ჩასწყდნენ და პასუხი ისე გაგცენ, უნერ დაფაზე და მაინც გეკითხებიან — რა უნდა გააკეთონ.

**რა მიგაჩნიათ პედაგოგის ყველაზე დიდ პრობლემად?**

— არ შეიძლება არ აღინიშნოს პედაგოგების ყველაზე დიდი პრობლემა — ხელფასი. პედაგოგს არ რჩება არაფრის სახსარი, რომ ელემენტალურად საკუთარ თავს მიხედოს, როგორც სპეციალისტმა, იყიდოს ახალი წიგნი, არიან პედაგოგები, რომელთაც კომპიუტერი არ აქვთ. კი ვამტკიცებთ, რომ წიგნია ყველაფერი, მაგრამ კომპიუტერიც მნიშვნელოვანია, გინდა ეს თუ არა. პედაგოგი ვერ იცლის, რომ განვითარდეს, გაიზარდოს, გამუდმებით ფიქრობს ყოფით პრობლემებზე, ვერ იხდის გადასახადებს... მიუხედავად ამისა, გაკვეთილზე რომ შედიხარ, მაინც ყველაფერი გავიწყდება. გამოცდები ჩავაბარეთ, სწავლებები გავიარეთ, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი იყო, ბავშვებთან, მშობლებთან ურთიერთობის დეტალები განვიხილავთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამას ისედაც ვაკეთებდით, უბრალოდ, სხვა სახელი ერქვა ან საერთოდაც არ ერქვა არაფერი, ეს ჩვევა იყო.

ჩემი მრავალწლიანი პედაგოგის მანძილზე სულ ვცდილობ, რამე ახალი, საინტერესო შევიტანოჩემს მეთოდებში, რაც ბავშვებს გაახალისებს, სწავლას გაუადვილებს, დააინტერესებს. არიან ბავშვები, რომელთაც ინტერესი აქვთ, სამწუხაროდ, ცოტაა ასეთი ბავშვი, მაგრამ მაინც ხომ არის? ბავშვებმა, შესაძლოა, ბევრად

უკეთ დაინახონ მასწავლებლის შრომა, ვიდრე მშობლებმა.

თითქოს რაღაცები იცვლება სწავლების მეთოდებში, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ჯერ მშობლებს სჭირდებათ აღზრდა. შესაძლოა, ეს ბევრს ეწყინოს, მაგრამ მართლა სჭირდება ბევრ მშობელს აღზრდა. მთავარია ისიც, რომ პროფესიონალიზმს ჩვენს საქმეში წინ ვერაფერი ვერ უნდა დაუდგეს. მაგალითად, ასაკობრივი ზღვარის გამო კარგი მასწავლებელი სკოლიდან არ უნდა გაუშვან. მართალია, მოდის ბევრი კარგი ახალგაზრდა კადრიც, მაგრამ პრაქტიკულ გამოცდილებას, დამეთანხმეთ, რომ მართლაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ძველ მასწავლებლებს ბარიერი შეგვიქმნა ინგლისური ენის არცონამაც, პირადად მე, ინგლისური არაფერში მჭირდებოდა, მაგრამ ვერსად ვერ გავრისკე ნაბიჯის გადადგმა იმიტომ, რომ ინგლისური არ ვიცოდი, მე ვისწავლე ფრანგულიდა საქმიანდ მაღალ დონეზე, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.

ახალგაზრდებს შესაძლებელია ცოდნა საკმარისი არ ჰქონდეთ, მაგრამ მათ იციან ინგლისური. გაჩნდება თუ არა ბავშვი, იმ წუთიდან ინგლისურს ასწავლიან. ტერმინები ინგლისურია, ქართული ტერმინებით ითქმის აღარ არსებობს. ბავშვებს და არამხოლოდ მათ, სიტყვა „რამიდენიმე“ ვერაფრით ამოვაღებინე ლექსიკონიდან, ეს არის ძალიან დიდი შეცდომა და, ბავშვს რომ შენიშვნას ვაძლევ, მოდის მშობელი და მეუბნება, მთელი საქართველო ასე ლაპარაკობს და თქვენ ჩემს შვილს შენიშვნას რატომ აძლევთო. ბავშვების დამორჩილება გვიჭირს, არა იმიტომ, რომ ცუდები არიან, იმიტომ, რომ კომპიუტერთან სხედან დღედაღმა, უკეთიათ ყურსასმენები, მარტო ყოფნას მიეჩივნენ, შეგხვდებიან სკოლაში და ყვირილით ლაპარაკობენ, ხმამაღლა აზროვნებენ, ფიქრს ახმოვანებენ, თუ არა კომპიუტერი, რას შეიძლება ეს ყველაფერი დაბრალო? ძნელია მათი დარწმუნება, რომ კომპიუტერი ყველაფერი არ არის.

— როგორ ფიქრობთ, თქვენი ნამონაფარი ახალგაზრდები საკმარისი ცოდნით წავიდნენ სკოლიდან?

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ძალიან ძნელია, მაგრამ, თუ კი ჩემგან ვინმე წასულა ან სხვა სკოლაში, ან სკოლა დაუმთავრებია, მირეკავენ და მეუბნებიან, რომ მთელი ცხოვრება მადლობელი ვიქნები, რომ ქართული გრამატიკა ასე მასწავლეთო.

ბოლო დროს ვაკანსიებს რომ გადავხედავ ხოლმე, ყველგან წერია — საჭიროა ქართულის კარგი ცოდნაო. ეს ახალგაზრდებს სტიმულს მისცემს, რომ ქართული ისნავლონ. ქართულ ენასა და ლიტერატურას თუ თავად მთავრობა დააყენებს სათანადო დონეზე, ხომ იცით, ხალხი როგორია — მოდას აყოლილი, მე ვისურვებდი, რომ ქართულის ცოდნა შემოვიდეს, „მოდაში“, რადგან ქართული საგანთა საგანია.

ესაუბრა  
ეკა ნახილა შვილი

## ნიმდებრების სამართლი სახელი

მე-19 საუკუნის ორმოციანი წლებიდან მეცნიერებმა დაინიჭეს მსჯელობა, ნინო — ეს წმინდა ქალწულის ნამდვილი სახელია თუ არა. ბროსესა და იოსელიანს სხვადასხვა ვერსიები ჰქონდათ. გიორგი გამრეკელი კი წუხილს გამოთქვამდა, რომ ეს საკითხი ისევე გამოურკვეველი დარჩებოდა ქართულ ისტორიაში, როგორც მრავალი სხვა, რომ არა უცხოელი მეცნიერის კვლევა.

წმინდა ნინოს ქეშმარიტი სახელის საკითხით დაინტერესდა რუსეთის სამიმერატო-რო მეცნიერთა აკადემიის წევრი ოსკარ ლემი. პასუხი მან უცხოურ ხელნაწერებში იპოვა. უძველეს არაბულ, ეთიოპურ და კოპტურ ტექსტებში, ყველგან ერთნაირადაა აღნერილი წმ. ნინოს მოღვაწეობა და ყველგან მოიხსენიება, როგორ წმინდა ფერგნოსტა.

უცხოურ ტექსტებში წმ. ნინოს ცხოვრების აღნერა სრულიად ემთხვევა ქართულ წყაროებს, მაგრამ ჩვენს ხელნაწერებში სახელი ფერგნოსტა არსად ჩანს.

რატომ ვიცნობთ წმინდა ქალწულს ნინოს სახელით, თუ მას ფერგნოსტა ერქვა? ბროსე წერს, რომ ნინო, წარმოშვა ლათინური ნონასგან, რაც მონაზონს ნიშნავს. იოსელიანიც თითქმის იმავე დასკვნას აკეთებს, ოლონდ ერთი განსხვავებით: ნინო მცხეთაში მოსვლამდე ეგვიპტეში მონაზონად იყო შემდგარი, იქ კი მათ ნონებს ეძახოდნენ. ოსკარ ლემი კი სახელ ნინოს წარმოშობას სხვა ეთნოგრაფიას უკავშირებს.

„კავკასიაში, — წერს ლემი, — ჩერქეზები დედას ნანეს ეძახიან, ჩეჩენები — ნანას, მაგრამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის, რომ გურულები და ლაზები დედას ნენას და ნანას ეძახიან. გასაკვირია, რომ არც ერთმა ქართველმა მელევარმა ამას ყურადღება არ მიაქცია.

ლოგიკურია, რომ ქალწული, რომელმაც მთელი ერი ქრისტიანობას აზიარა, იბერიელებმა აღითქვეს, როგორც ერის დედა და ნენა უნდღეს.“



მერაბ შათირიშვილი:

# საქართველოში გაიაღმავის ჩატარება და ერთსესიანი ქორცინების დაგვარა ნიშნავს, რომ აյ დასრულდა მართლმადიდებლური სარმოვანება

17 მაისს რუსთაველის გამზირზე განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა, რომ, მიუხედავად იმ ძირებული ცვლილებებისა, რომელიც 1 ოქტომბერს განხორციელდა, შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე დესტრუქციული ძალების გავლენა კვლავაც დიდია. ცხადია, რომ ხელისუფლებიდან ოპოზიციურ სპექტრში გადაპარგებულ „ნაცმოძრაობას“ პროცესების ზედაპირზე სატივტივოდ ერთადერთი გზა დარჩა — მუდმივად დაძაბული ფონის შექმნა, სოციალური საკითხების წამოწევა და შეუსრულებელი დაპირებებით აპელირება; სექსუალური უმცირესობების „უფლებების“ დასაცავი ღონისძიებაც, ამ შემთხვევაში, პროვოკაციას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე წმინდა ობიექტური რეალობით ნაკარნახევ მორალურ-სამართლებრივ საჭიროებას. ამიტომაც იყო საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის რეაქციაც ესოდენ მძაფრი; მაგრამ უცნაურია და იმის ნაცვლად, რომ ამ რეაქციას მიმდინარე ანტირელიგიური კამპანია ნანილობრივ მაინც ჩაეხსო, პირიქით — ის უფრო გამწვავდა. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეტევა და მაკომპრომატირებელი ქმედებები ეკლესიის წინააღმდეგ გაათმაგებული ძალებით ხორციელდება. რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებისა ამ პროცესების სათავეში დგანან...  
კონკრეტულად ვინ და რა ძალები ებრძვიან ეკლესიას, ვის ინტერესებშია სამღვდელოების დისკრედიტება და არატრადიციული შეხედულებების დამკვიდრება, უფრო გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი.

— ბატონო მერაბ, 17 მაისის დაპირისპირების შემდეგ ანტი-მართლმადიდებლური კამპანია განსაკუთრებით გამძვინვარდა. სოციალური ქსელები ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლთა ნამდვილ ასპარეზად იქცა. თქვენი აზრით, რა ძალები დგანან ამ ყველაფრის უკან?

— ეს თემა პრობლემატურია არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლიოში, მაგრამ მიდგომა ყველგან განსხვავებულია. მაგალითად, პოლონეთში ლეხ კაჩინს-

კიმ, რომლის თაყვანის მცემლებიც იყვნენ და დღესაც არიან „ნაცმოძრაობის“ ლიდერები, ორჯერ აკრძალა გეიპარადის ჩატარება. ისრაელში ეს ვერ მოხერხდა და ჩატარეს, მაგრამ ხალხი მათ გაუსწორდა და ფეკალიებითა და ლაყე კვერცხებით. საჩართველოში, რა თქმა უდეა, ყოველთვის უზროვნებელი რეაგირება მოჰყვება ამას, იმითომ, რომ ჩვენი აღზრდა, ტრადიციები და მენტალიტები, ფართობრივად, სინთეზის მართლმადიდებები და ავიცილეთ ის უბედურება,



**ლურ სარმოუნოებასთან.** აქედან გამომდინარე, როცა ირყევა მართლმადიდებლობა და მიდის მისი შეურაცხმყოფელი კამპანია, ეს პირდაპირ ურტყამს ქართველი ერის გენეტიკას, მის მომავალს. რაც შეეხება 17 მაისის მოვლენებს, ამასთან დაკავშირებით არაერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ეს იყო თავიდან ბოლომდე ინსპირირებული „ნაცმოძრაობის“ მიერ. მათ სჭირდებოდათ დაძაბულობა ქვეყანაში, რომ მერე მისცემოდათ სალაპარაკო და ეკრიტიკებინათ ხელისუფლება. ყველაფრი ძალზე მარტივია, მაგრამ ღვთის წყალობით საზოგადოებას ეყო გონიერება, სამღვდელოებაც აქტიურად ჩაერთო ამ პროცესებში და ავიცილეთ ის უბედურება,

რომელიც შეიძლებოდა, მომხდა-  
რიყო. მხედველობაში მაქვს სისხ-  
ლისლვრა, რომელიც ნამდვილად  
გარდაუვალი იქნებოდა, რომ არა  
სასულიერო პირთა დროული მოქ-  
მედება.

— დაპირისპირების მეორე  
დღეს ჩვენ მოვისმინეთ კოალიცი-  
აში შემავალი სუბიექტების შე-  
ფასებები. მათი უმეტესობა  
გმობდა მომხდარ ფაქტს, კერ-  
ძოდ კი — სასულიერო პირების  
მოქმედებას.

— გასაგებია ეს შეფასებები. ზო-  
გიერთი მათგანის ფრაზებში ის-  
მოდა ასეთი რამ — თანავუგრძ-  
ნობ საზოგადოების უმრავლესო-  
ბას, მაგრამ მე არ მაქვს სხვა გან-  
ცხადების გაკეთების უფლება...  
მორმანეთ, რომ „ქართული  
ოცენის“ ყველა ჯანსაღი  
ნარმობადგენელი შინაგანად  
გმობს ამ უმცირესობების  
ემაზებებს; უპრალოდ, ამის  
სხამაღლა გაცხადება და ტი-  
რაზირება არ შეუძლია.

— დავაკონკრეტოთ, რატომ...

— ვიღაცას შეიძლება მიაჩნია,  
რომ ამით საფრთხე შეექმნება იმ  
ევროპულ კურსს, რომელიც ქვე-  
ყანას აღებული აქვს. ვიღაც ანგა-  
რიშს უწევს სხვა ძალებს და ა. შ.  
მე არ ვიცი, ეს მიშირამდენად რე-  
ალურია, მაგრამ ფაქტია, ხელი-  
სუფლება ამით გარკვეულწილად  
შებოჭილია.

— რაც შეეხება უცხოელი პარ-  
ტნიორების შეფასებებს, ჰამერ-  
ბერგიდან დაწყებული, ქეთრინ  
ეშტონითა და რიჩარდ ნორლან-  
დით დამთავრებული, ყველამ ერ-  
თხმად განაცხადა, რომ 17 მაისის  
მოვლენები იყო მკვეთრად არა-  
დემოკრატიული და არაცივილი-  
ზებული ქმედება. ნატოსა და ევ-

როკავშირში განევრიანების  
პროცესის შესაძლო გართულე-  
ბაზეც გაკეთდა რამდენიმე მი-  
ნიშნება. როგორ ფიქრობთ, რა  
პერსპექტივა აქვს საქართველოს  
დასავლეთთან ურთიერთობაში,  
თუ მათი რეკომენდაციების გათ-  
ვალისწინება ვერ მოხერხდება?

— არ მიმაჩნია, რომ ჩვენმა ხე-  
ლისუფლებამ უცხოეთიდან მიღ-  
ებული ყველა რჩევა, მითითება  
თუ რეკომენდაცია ზედმიწვენით  
უნდა შეასრულოს. ამას სააკამპი-  
ლის გუნდი აკეთებდა 9 წლის გან-  
მავლობაში და, რაც მივიღეთ შე-  
დეგად, ყველა ვხედავთ. ცხადია,  
ევროპაც და ამერიკაც ჩვენი მნიშ-  
ვნელოვანი პარტნიორები არიან,  
მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს,  
რომ ჩვენ შორის არის ასევე სერი-  
ოზული განსხვავებებიც. საქართ-  
ველო თვითმყოფადი ქვეყნაა სა-  
კუთარი მრავალსაუკუნოვანი  
ტრადიციებით, წეს-ჩვეულებები-  
თა და მენტალობით. ამიტომ, ინ-  
ტეგრაციაზე როცა ვსაუბრობთ  
რომელიმე ოჯახში, აქ ძალიან დი-  
დი სიფრთხილეა საჭირო; ჯერ  
ერთი მათვისაც მიუღებელია ის  
პროპაგანდა, რომელსაც ახლა  
ჩვენთან ცდილობენ. მართალია,  
იქ გეიაღლუმებსაც მართავენ და  
იმავე საფრანგეთში ერთსქესიანი  
ქორნინებაც დააკანონეს, მაგრამ  
მოსახლეობა არ არის ამას შეგუ-  
ებული. სხვათა შორის ამ ერთსქე-  
სიანთა ქორნინების გამო, პარიზ-  
ში პროტესტის ნიშნად 78 წლის  
მწერალმა დომენიკ ვენერმა  
ღვთისმშობლის ტაძარში საკურ-  
თხეველთან თავი მოიკლა. ხვდე-  
ბით, ეს რამსელა პროტესტია?!  
რაც შეგვეხება ისევ ჩვენ, გადა-  
ჭარბების გარეშე ვიტყვი, ამ ერ-  
თსესიანი ერთინების დაშ-

ვება ნიშნავს, რომ საქართ-  
ველოში დასრულდა მართლ-  
მადიდებლური სარმანოე-  
ბა, მაგრამ ამას უკვე ეართუ-  
ლი ეპლესის არ დაუშვება.

— კერძოდ რას გულისხმობთ?

— თქვენ კარგად იცით, რომ ეკ-  
ლესია მუდმივად შუალედურ პო-  
ზიციას იქცრდა და მთელი ამ 9  
წლის განმავლობაში სერიოზულ  
წნევის განიცდიდა ხელისუფლე-  
ბისგან. დღეს ეს წნევი აღარ არ-  
სებობს, რეზიმი დამთავრდა, ამი-  
ტომ ახლა ეკლესია თავის სული-  
ერ მისას იბრუნებს. ამ მისას მას ის  
ვერავინ წარმევს, ასე რომ, ის  
დადგება იქ, სადაც საჭიროა, სა-  
დაც ერსა და ქვეყანას სჭირდება.

— თქვენი აზრით, არსებობს  
მომავალში იმის ალბათობა, რომ  
ვინმემ კიდევ სცადოს 17 მაისის  
მსგავსი ღონისძიების ჩატარება?

— ცხადია, ეს ალბათობა არსე-  
ბობს და ამის გამორიცხვა შეუძ-  
ლებალია, მაგრამ კიდევ ვიმეო-  
რებ, რომ არა „ნაციონალური მო-  
ძრაობის“ მოღალატეობრივი პო-  
ლიტიკა და დინამიტებივით ყველ-  
გან ჩაწყობილი მზაკვრობა, „ქარ-  
თული იცნება“ ყველა ამ საკითხს  
ბევრად იოლად გადაჭრის. არავინ  
არავის დევნიდა და არც ახლა  
დევნის საქართველოში. ამის ტი-  
რაჟირებას ახდენს სააკამპილის  
გარემოცვა. ხოლო იმ ახალგაზრ-  
დებს, რომლებიც აქციებზე გამო-  
დიან ლოზუნგით, რომ შეწყდეს  
მათი დისკრიმინაცია, უბრალოდ,  
ბრმა იარაღად იყენებენ...

— ისინი ამბობენ, რომ ჩვენი  
საზოგადოება უკიდურესად ჰი-  
მოფობიურია. რომ თითქოს  
არატრადიციული სექსუალური  
ორიენტაციის მქონე ადამიანებს  
ქუჩაში სცემენ და ა. შ.

— ეს აბსურდია, ქართულ საზო-  
გადოებაში მსგავსი გართულება  
არასდროს ყოფილა. მეტსაც გე-  
ტყვით, მთანმინდაზე გიგანტი,  
ზნეობრივად გამართულ ადამია-  
ნებს შორის წევს დიდი მაესტრო  
ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელიც  
არასდროს მაღავდა თავის ორიენ-  
ტაციას. ის ყოველთვის იმსახუ-  
რებდა ქართველი ერის ტაშს და  
ხალხის მთელ ამ სიყვარულს მის-

## «ნაციონალური მოძრაობა» ცელ-ცელა, ეპვილობისად უდია გავიყვანოთ კოლიტიკური ველიდან»



დამი განაპირობებდა მისი ხელოვნების თაყვანისცემა. იგივე ფარაჯანვი აიღეთ, კაცი ციხეში იჯდა ორიენტაციის გამო და შემდეგ არც ერთი კინოსტუდია არ იკარებდა. მერე მიცვალებული წაიყვანეს სომხებმა და ერევანში დაკრძალეს, როგორც სახელოვანი რეჟისორი და მხატვარი. უამრავია ასეთი მაგალითი. ასე რომ, აქ ეს პრობლემა არ იდგა არასდროს.

— ამ შემთხვევაში არა ერთეულ გამონაკლისებზე, არამედ რიგით მოქალაქეებზე ვსაუბრობთ.

— რიგით მოქალაქეებს რაც შეეხება, ამასწინათ იმ უმცირესობების ერთ-ერთი წარმომადგენელი გამოვიდა და განაცხადა, მშობლები ხშირად ვერ უგებენ შვილებს და ცოლის მოყვანას აიძულებენ, ამ დროს არ იციან, რამხელა ზიანს აყენებენ. შე კაი დედ-მამის შვილი, ჯერ მშობელში არაა მომნიფებული, რომ თავის შვილს აპატიოს ამგვარი გადახრა და საზოგადოებისგან ითხოვ?! კიდევ, ხშირად ამბობენ, სამსახურებში არ იღებენ. კი მაგრამ, შე იჯახაშენებულო, 9 წელი „ნაციონალები“ იყვნენ და ახლა რომ დამცველებად გამოვიჩნდნენ, ერთხელ მაინც მიგიღეს სამსახურში?!

— პოლიციაზეც მინდა გვითხოთ, მათ მიმართაც არაერთი ბრალდება გაისმა და, თქვენიაზრით, რამდენად ადეკვატურად მოქმედებდნენ იმ დღეს სამართალდამცავები?

— პირდაპირ შემიძლია გითხოთ, რომ ასეთი მოწესრიგებული და თავიდან ბოლომდე კანონის კარნახით მოქმედი ქართული პოლიცია მე აქამდე არ მინახავს. ზოგადად კი, ისინი კანონს იცავენ, მაგრამ შინაგანად ყველა პოლიცი-



### «რომ არა «ნაციონალური მოქარების»

**მოღალაზეობის კოლეგია და**

**იცნობითაგივით ყველგან ჩაციონილი მზაქვრობა,**

**«ქართული მცხოვრის» ყველა ამ საკითხს გავრჩად**

**იოღურდების არავალის არავალის და არა ასელა დავის საჭარიველოში. ამის ტირაზირებას**

**ახდენს სააკავშირის გარემოვა. ხოლო იგ**

**ასალგაზრდებას, რომელიც აქციებზე გამოდიან**

**ლოზურით, რომ გაცილების გათი დისკრიმინაცია,**

**უგრადირება, ბრაზილიაზე იყვნება...»**

ლისუფლებას ჩირქი მოსცხონ. მათ ამის რესურსი აქვთ და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ამას შეენირება არა მხოლოდ ხელისუფლების იმიჯი, არამედ ხალხისა და ქვეყნის ინტერესებიც.

— პოლიტიკური ველიდან გაყვანაში, არ ვიცი, რას გულისხმობთ, მაგრამ ნებისმიერ მცდელობას, რომელიც მიმართული იქნება „ნაციონალების“ წინააღმდეგ, ისინი პოლიტიკურ დევნად აფასებენ.

— ჰოდა, 1 ოქტომბერს, ხალხმა უარი უთხრა ასეთ მზაკვრობებს, ოლონდ არა მთლიანად. ახლა კი ეს საზოგადოება უნდა მომნიფდეს იმისთვის, რომ ხელისშემძლელი ძალები საბოლოოდ გვერდზე განიოს და თვითონ მიხედოს თავის წინამში წარმოქმნილ პრობლემებს. თუ ეს მართლა მოხერხდება, დამერნმუნეთ, ვერავინ შეძლებს საზოგადოებისათვის მტკიცნეული საკითხებით მანიპულირებას —

— კიდევ ვიმეორებ იმას, რაც დასაწყისში ვთქვი, ამ ყველაფრის მიღმა დაგას ერთადერთი ძალა — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ამიტომ საზოგადოებამ ნელნელა, მშვიდობიანად უნდა გაიყვანოს ეს პარტია პოლიტიკური ველიდან ისე, რომ უკან მობრუნების შესახვათის მას აღარ ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, ისინი არ გაჩერდებიან, იქნება პროვოკაციები და ყველანაირი მცდელობა იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილის ხე-

— ვერც ხელისუფლება, ვერც პოზიციადა ვერც ის ე.ნ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა უმეტესობაც ვილაცის ბრძანი იარაღდაა გამოყენებული.

რაც შეეხება დასავლეთს, როგორც კი „ნაციონალურ მოძრაობას“ ქართველი ხალხი საბოლოოდ თავის ადგილს მიუჩენს, დარწმუნებული ვარ, ის კითხვის წინები, რომლებიც მისი მხრიდან დაისვა, აღარ იქნება. შეიძლება ითქვას, რომ ეს დროის საკითხია და ვერანაირი პროვოკაცია, სააკავშირის გარემოცვა ამას ვერ შეაჩერებს... ესაუბრა ქაბა ფარება...»

«რაც შეეხება დასავლეთს, როგორც კი  
«ნაციონალური მოქარების» ქართველი ხალხის  
საბოლოოდ თავის აღვილეს მიუჩენს,  
დარწმუნებული ვარ, ის კითხვის წინები,  
რომელიც მისი მხრიდან დაისვა, აღარ იქნება. შეიძლება ითქვას, რომ ეს დროის საკითხია და ვერანაირი პროვოკაცია, სააკავშირის გარემოცვა ამას ვერ შეაჩერებს... ესაუბრა ქაბა ფარება...»

ბორის ანდრონიკაშვილი

# ვახტანგ მეტვის გთამომავლაბი აუსტამი

სცენარისტი და ისტორიკოსი ბორის ანდრონიკაშვილი (1934-1996) იყო საბჭოთა კინოს ქალღმერთის – ნატო ვაჩანაძის დისპეცილი; შვილი მსახიობისა და რეჟისორის, მშვენიერი კირა ანდრონიკაშვილისა (რომელიც ერთი როლით შევიდა კინოს ისტორიაში – „ელისო“ მსოფლიო კინოს საგანძუროს კუთვნილება) და სახელგანთქმული რუსი მწერლის – ბორის პილნიაკისა.

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ნინამდებარე ნაშრომი, რომელშიც ბორის ანდრონიკაშვილი ქართველ უფლისნულთა რუსეთში დამკვიდრებულ შთამომავლებზე მოგითხობთ. „ლიტერატურულ წყაროებში მათ შესახებ ცოტა რამ მოიძებნება, მაგრამ მათი ცხოვრების ისტორია თითქმის მთლიანად უცნობია. მე შევეცადე, ეს ხარვეზი შეძლებისდაგვარად შემევსო“, – აღნიშნავს ავტორი.

გასული საუკუნის ლიტერატორმა ფ. ფ. ვიგელმა თავისი „ჩანაწერების“ მეორე ტომში დაგვიტოვა საკმაოდ სრული მოგონებები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეებზე. ეხება რა 1820 წელს ნიუნი-ნოვგოროდში ყოფნას, მოგვითხრობს შემდეგას: „...ამ გუბერნიაში დიდხანს ცხოვრობდა ერთი ქართველი უფლისნულის ვაჟი, თავადი ეგრი (გიორგი) ალექსანდრეს ძე.

მეფის შთამომავალი, სამხრეთული სისხლის, მგზებარე ვნებების, მკაცრი ხასიათის მქონე თავადი გრუზინსკი ჭეშმარიტი მფლობელი იყო თავისი მდიდარი და ვრცელი სოფლის – ლისკოვოსი, რომელიც ვოლგის ნაპირას, მომცრო დაბა მაკარევოს მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს... იმ დროს თავადი ქვრივი იყო: მისი მეუღლე, ბახმეტევას ქალი ახალგაზრდა გარდაიცვალა, დარჩა ვაჟი და ქალიშვილი. ვაჟი, გვარდიის ოფიცერი, სიჭაბუკეშივე გარდაიცვალა. ეგორის ერთადერთი უმშვენიერესი ასული კი გაურბოდა საზოგადოებას და, სხვა ლამაზმანების ჩვეულების ნინააღმდეგ, გულმოდგინედ მაღავდა თავის სილამაზეს...“

„შემდგომ, — განაგრძობს ვიგელი ამ ქალიშვილის ამბავს, — იგი ცოლად გაჰყვა ჩემს კარგად ნაცნობ გრაფს — ტოლსტოის. მისი ღვთისმოსაბობა და განმარტოებული ცხოვრება საოცარ ცნობის მოყვარეობას აღუძრავდა უსაქმურ პროვინციელებს. ერთი ჭაბუკის ამბავი, რომელიც მათ სახლში იზრდებოდა და ბერად აღიკვეცა, მთელი რომანის საბაბი გახდა.“

ამბობენ, როცა გამიჯნურებულებმა თავადს გაუმხილეს თავიანთი გრძნობები, მან გაანუცხადა, რომ ეს შეუღლება შეუძლებელია, რადგან ვაჟი ჩემი უკანონო შვილია და დასთან მისი დაქორწინება არ მოხდება. მაშინ ორივემ ბერ-მონაზვნობის აღთქმა დადეს. ერთმა ინგლისელმა ქალმა, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა, მოინახულა სამების მონასტერი, სადაც მამა ანტონი, ყოფილი მიჯნური, მაშინ მოსაყდრედ იყო. მოგზაურ ქალს მოუთხრეს ანტონის ცხოვრების პოეტური ამბავი.

მოხიბების მონასტერი მშვენიერი მონასტერი, მოგვითხობს ამ რომანტიკულ ამბავს.

„ანტონი იყო ქართველი უფლისნულის უკანონო შვილი, რომელიც დაიბადა მის სახლში, ნიუნიში, ლამაზი გარეგნობისა და ძალზე თავმოყვარე. მამამ სააფთიაქო საქმე და მკურნალობა შე-





ასწავლა. უფლისნულის ერთადერთ ქალიშვილს — ანას შეუყვარდა ლამაზი ჭაბუკი. მამამ ურჩია ვაჟს, ღვთისმსახურებისთვის შეენირა თავი და გაგზავნა საროვის უდაბნოში. მალე ვაჟი ბერად აღიკვეცა. ქალიშვილმა, თავადის ასულმა, ალარ ისურვა გათხოვება და მოითხოვდა მონასტერში წასვლას, რამაც ძალზე შეაშფოთა მოხუცი მამა. ბოლოს გაუშვა ქალიშვილი კოსტრომის გუბერნიის ერთ-ერთ სავანეში".

ასე და ამგვარად, ანტონმა და ანა გიორგის ასულება არა მხოლოდ მონასტერში წასვლის „აღთქმა მისცეს ერთმანეთს“, არამედ შეასრულეს კიდეც ეს ფიცი. შემდგომ ა. ო. სმირნოვა გვაცნობებს, რომ მალე „იღუმენიამ შეამჩნია, რომ ანა ეგორის ასული ვერ დააშოშმინა მონაზვნობამ და წერილობით აცნობა უფლისნულს: „ჩემი აზრით, შენი ასული სამონასტრო ცხოვრებისათვის არ არის გაჩენილი", და მამამაც გამოიყვანა იგი მონასტრიდან.

ა. ო. სმირნოვა კარგად იცნობდა ანა გიორგის ასულს, ისინი ერთ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ, ერთ წერეში ტრიალებდნენ. სმირნოვა იცნობდა, აგრეთვე, მამა ანტონსაც, გაიცნო ზაგორსკში ანტონის წინამძღვრად ყოფნისას.

ანტონი (საერო ცხოვრებაში მედვედევი), ბერად აღკვეცის შემდეგ, სწრაფად დაწინაურდა და 1831 წელს სერგიევსკის სამების ტაძრის წინამძღვრარი იყო ახლანდელ ზაგორსკი. უფრო მეტიც, მის სახელთანაა დაკავშირებული რუსეთის ამ ერთ-ერთი უდიდესი ტაძრის აყვავება-დაწინაურება.

ა. ნ. მურავიოვი, რომელმაც გამოიკვლია რამდენიმე მონასტერი და ეკლესია, სინოდის ობერ-პროკურორს, გრაფ ნ. ა. პროტასოვს 1837 წელს სწრდა:

„სამების ტაძარში, სადაც განსაკუთრებულ სადღესასწაულო ფუსფუსში გავატარე ორ დღე, მაინც დიდი სიამოვნებით შევნიშნე უდიდესი წესრიგი, რომე-

ლიც იქ შემოილო მოსაყდრე არქიმანდრიტმა ანტონმა, ერთობ შესანიშნავმა ადამიანმა, თვით-ნასწავლი სასულიერო განათლებით, რაიც მიიღო საროვის უდაბნოში. მისი ყოველდღიური ტაძლა გლახაკთათვის და საავადმყოფო, სადაც თავადაა მკურნალი და საღმრთო სახლი, ნამდვილად იმსახურებს დიდ ყურადღებას. მისი შვიდწლიანი მართვის განმავლობაში სამების მონასტერი სრულიად გარდაიქმნა".

აგრეთვე, ცნობილია, რომ ანტონმა მოხილა პალესტინისა და სინას წმინდა ადგილები, შეაგროვა იქ უძველესი ხელნაწერი წიგნები და სხვა რუსული სიძველეები და რუსეთში ჩამოიტანა. იგი იყო უახლოესი თანამოსანგრე მოსკოვის მიტროპოლიტის ფილარეთისა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ეკლესიის გავლენისა და მისი კეთილდღეობის განმტკიცებისთვის.

ანა გიორგის ასული, მიუხედავად მამის დიდი გულისტკივილისა, არ თხოვდებოდა, განმარტოებით ცხოვრობდა და განსაკუთრებული ღვთისმოსაბოით გამოირჩეოდა. იგი ამ დროს ცხოვრობდა წიუნი-ნოვგოროდში, სადაც მამამისი გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამდღოლი იყო. მათი სახლი ახლანდელ გრუზინსკის ქუჩაზე იდგა, ბაღთან ერთად მას ორი კვარტალი ეკავა. ხის შენობის პირობაზე, ეს სახლი უზარმაზარი იყო. ნათლად ჩანდა, რომ აქ ოდესალაც ეკატერინესდროინდელი ვინმე დიდებული ცხოვრობდა.

ნიუეგოროდელი მხარეთმცოდნე ხრამპოვსკი, თავის შრომაში წიუნი-ნოვგოროდის შესახებ მიუთითებს, რომ „გრაფის მეუღლე ტოლსტოის ბაღს — ჩრდილუხვი ცაცხებით, არყის ხეთა ხეივნითა და მრავალნაირი ხეხილით დაბურულს — ირგვლივ ერთ ვერსზე მეტი ფართობი ეჭირა. მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში ეს იყო სასეირნო ადგილი ნიუეგოროდის საზოგადოებისა; აქ იყო საკონდიტრო, დღესასწაულებზე საღმობით უკრავდა მუსიკა და ცეკვა ვაკდა მაღალი საზოგადოება".

ღვთისმოსავი გრაფის მეუღლე დადიოდა პოკროვსკის ეკლესიაში, აქ 1820-1828 წლებში არაერთხელ უწირავს საქართველოს უკანასკენელ კათალიკოსს ანტონ მეორეს. ეს ეკლესია ამჟამად აღარ არსებობს. ანას, აგრეთვე, ძალიან უყვარდა მუსიკა.

პოკროვკაზე, კეთილშეიმილთა საკრებულოს პირდაპირ, საკუთარ სახლში ცხოვრობდა თავად ტრუბეცოვების ოჯახი, გრაფის მეუღლის მამიდაშვილები. მათი დედა, დარეჯან ალექსანდრეს ასული გრუზინსკია, ანას მამიდა იყო.

„მაშინ, ქალაქის ზემო ნაწილში, — ვკითხულობთ მეორე ნიუეგოროდელი მხარეთმცოდნის, გასიცკის, ჩანაწერებში, — ცხოვრობდნენ უპირატესად თავადაზნაურობა და ჩინოვნიკები, ქვემო ნაწილში კი — ვაჭრები. ქალაქებთა სასეირნო ადგილი ჩორნი პრუდი გახლდათ. თავადთა სახლებში და გუბერნატორისას მეჯლისები იწყებოდა არაუგვიანეს 7 საათისა და თავდებოდა 11 საათისთვის. ყველიერში ნიუეგოროდელი საზოგადოება მუსიკითა და სიმღერით სეირნობდა ქალაქის ქუჩებში უზარმაზარი ნავების მსგავსი რვა და ათცხენიანი მარხილებით, ქუჩები და ტროტუარები ფიცარნაგით იყო დაფენილი, ზედ ისე დასრიალებდნენ, როგორც იატაკზე".

მაგრამ ანა გიორგის ასული, როგორც უკვე ვიცით, გაურბოდა ყველა ამ სიამოვნებას, გაურბოდა საზოგადოებას და მთელ დღეებს ატარებდა განმარტოებულად, ზამთრობით — ნიუეგოროდის სახლში, ზაფხულობით — ლისკოვოში, სადაც იყო შესანიშნავი პარკი, რომელიც ვოლგას გადაჰყურებდა. ხშირად დადიოდა, აგრეთვე, ვსესვიატსკოეში.

ეს ლამაზი, მდიდარი საპატარძლო ერთთავად უარყოფდა ხელის მთხოვნელთა წინადადებებს და მარტობისაში ატარებდა ახალგაზრდობის წლებს. მიცემული აღთქმის ასეთმა ერთგულებამ და საკუთარი თავისაგან განდგომამ არ შეიძლება პატივისცემა არ გამოიწვიოს. გონებაშეზღუდული

ადამიანები კი ამას ახირებას ეძახდნენ. მოგვიანებით თავიანთი გრძნობის ერთგულ ტურგენევისეულ ქალიშვილებსაც ამგვარ უცნაურობას სწამებდნენ. უეჭველია, ეს სიმტკიცე აიხსნებოდა მისი ღვთისმოსაობით. თავადის ასულ გრუზინსკაიას, როგორც ეს მთელი მისი ცხოვრებიდან ჩანს, სურდა, ეპოვნა რაიმე შეუცვლელი, მტკიცე, მყარი საყრდენი. ამას პოლობდა ღვთის რწმენასა და სასოებაში.

რელიგიური რწმენის გაძლიერება, როგორც პროტესტი მზარდი სავაჭრო კაპიტალის გავლენისა და „ახალი დროების“ ზოგიერთ იმ ნიმან-თვისებათა საწინააღმდეგოდ დამკვიდრებულ აზნაურულ ეთიკას რომ ამსხვრევდა, დამახასიათებელი იყო მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის. ეკლესია გახდა თავშესაფარი იმათვის, ვინც საეკლესიო მცნებებში „არა კაც ჰყლა“, „არა იცრუო“ და ა.შ. ეკონომიური ეკოლუციის რთულ სამყაროში საკუთარი ღირსებისა და სახის შენარჩუნების შესაძლებლობას ხედავდა.

ჩვენ დავინახავთ, რომ არამარტო გრაფ ტოლსტოის მეუღლის ცხოვრებაში, არამედ სხვა მის დიდ თანამედროვეთა მოღვაწეობაში როგორიც იყო, მაგალითად, გოგოლი, რელიგიური მოტივები და განწყობილებანი არსებით როლს თამაშობდა.

**ანა გიორგის ასული 35 წლის გახდა, თავადი უკვე მოხუცდა, ქალი მარტოხელა და უმნეო იყო. და აი, 1833 წელს მან, ბოლოს და ბოლოს, თავისი ბედი გრაფ ა. პ. ტოლსტოის, ტვერისა და ოდესის გენერალ-გუბერნატორს დაუკავშირა.**

**რატომ უღალატა მან აღთქმას და რითი განისაზღვრებოდა მისი არჩევანი?**

ბევრი რამ თვით ა. პ. ტოლსტოის პიროვნებით უნდა აიხსნას.

**უფლისნული გიორგი, ვახტანგ VI-ის უმცროსი ვაჟი, ბაქარისა და ვახუშტის ძმა, მოსკოვის უნივერსიტეტის უხვი შემნირველი და ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე**

წმინდა გიორგის ეკლესის ამგები, იყო რუსეთის არმიის მებრძოლი გენერალი, მონაწილეობდა მრავალ ომში, მათ შორის შვედებთან ომში, სადაც მეთაურობდა გრენადერებსა და მუშკეტერებს, მონაწილეობდა რაინის ლაშქრობაშიც, სადაც „რუსებმა პირველად გამოიჩინეს თავი ევროპაში“ და შვიდნლიან ომშიც. საბრძოლო დამსახურებისთვის დაჯილდოებული იყო უმაღლესი ორდენებითა და გენერალ-ანშეფის ჩინით, რომელსაც მხოლოდ გამოჩენილ გენერლებს ანიჭებდნენ. ამას გარდა, იგი იყო ელისაბედ დედოფლის ვარისკაცი და ითვლებოდა „დეისტვიტელნი კამერჰერად“.

ორი ვაჟი ადრე გარდაცვალა, ერთადერთი საყვარელი ქალიშვილი ანა თექვსმეტი წლის ასაკში ცოლად გაჰყვა ა. პ. გოლიცინს, „გენერალ-მაიორსა და კავალერს“, და ისიც გარდაიცვალა 1779 წელს — 25 წლისა. მას დარჩა სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი.

ბავშვები ჯერ მამასთან ცხოვრობდნენ, მისი სიკვდილის შემდეგ კი პაპასთან — გიორგი ვახტანგის ძესთან. 1793 წელს უფლისნულ გიორგის გარდაცვალების შემდეგ, ეკატერინეს ბრძანებით, პეტერბურგს გადასახლდნენ. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს, თავად ა. ა. ვიაზემსკის ეკატერინესწერდა:

„ან გარდაცვლილი თავადის ალექსი ბორისის ძე გოლიცინის სამ ქალიშვილს განუცხადეთ ჩემი სურვილი, რათა აქ, ჩემთან ჩამოვიდნენ“. შემდგომში მანვე გაათხოვა ისინი.

**ანა ვაჟიშვილი, გიორგი, საინტერესო ადამიანი იყო. მოგონებებიდან ცნობილია, რომ „მას ადრე გარდაცვალა დედა და განათლება პარიზში მიიღო, სადაც გაიგზავნა ფრანგი გუვერნიორის თანხლებით. პარიზში აღზრდილი, იგი ფრანგული ენის შესანიშნავი მცდნე შეიქნა. ნიჭიერი კაცი იყო. ხატავდა, გამოირჩეოდა გონებამხვილობით. თავისუფალი აზროვნების გამო „იაკობინელად“ მიიჩნიეს. პავლეს სასტიკირეული მისადმი პროტესტის ნიშნად**

იგი ერთხელ დაუდევრად და უხალისოდ ემთხვია ხელზე იმპერატორს, რის გამოც დედაქალაქიდან გაასახლეს.

გიორგი უცოლო იყო და გარდაიცვალა ახალგაზრდა — 39 წლისა. **მისი ერთ-ერთი და, სოფიო, ცოლად გაყვა გენერალ-ადიუტანტი ე. ფ. სენ-პრის, რომელიც ბაგრატიონის არმიის შტაბის უფროსი იყო. ბოროდინოს ბრძოლაში დაიჭრა. სმოლენსკთან მე-4 კორპუსს მეთაურობდა გრაფი ოსტერმან-ტოლსტოი, მას ცოლად ჰყავდა ანას მეორე ქალიშვილი ელისაბედი.**

**უფროსი ქალიშვილი — მარიამი (1772-1826) ცოლად გაჰყვა პ.**

**ა. ტოლსტოის.** პ. ა. ტოლსტოი პ. ი. ბაგრატიონის ახლობელი და თანამებრძოლი იყო. მან თავი გამოიჩინა ვარშავის აღებისა და პრაღის იერიშის დროს. პარიზის ბრძოლის რელაციაში სუვოროვი დედოფლას მოახსენებდა: „გრაფი ტოლსტოი, რომელიც ორ ბატალიონს მეთაურობდა, კოლონასთან ერთად, პირველი ეკვეთა ბატარეას და დაიკავა იგი, სადაც დაიჭრა. ეკატერინე დედოფლა ლამა თვითონ „დააბნია“ მას მკერდზე მესამე ხარისხის გიორგის ორდენი. იგი პავლეს გენერალ-ადიუტანტი იყო და იცოდა შეთქმულების ამბავი. შემდგომში მეთაურობდა პრეობრაჟენსკის ლეგიონს, სადაც კაპრალის წოდებით დაიწყო სამსახური. 1801 წელს მეთაურობდა კორპუსს, იყო აუსტრილიცზე. იმოგზაურა, როგორც სპეციალურმა ელჩმა პარიზში, მონაწილეობდა ტილზიტის შევედრაში. 1812 წლის ომში გენერალ-ლეიტენანტი პ. ა. ტოლსტოი მეთაურობდა სახალხო ლაშქრის მესამე ოლქს, რომლის შტაბი ნიუნი-ნოვგოროდში იდგა. 1813-14 წლების საფრანგეთის ლაშქრობის დროს, იყო ალექსანდრე პირველის მორიგე გენერალი, „მისი თვალი და ყური“, მეფის ასახვის ყველაფერი გულწრფელად უნდა მოეხსენებინა.

**მარიამი მეფის კარის უმაღლეს წრეს ეკუთვნოდა.** ნაპოლეონის ელჩი სავარი „ახალი ამბების



ფურცლებში”, რომელსაც სისტემატურად აგზავნიდა პარიზში, წერს მარიამზე, როგორც მნიშვნელოვან პიროვნებაზე პეტერბურგის საზოგადოებაში.

მარიამი გარდაიცვალა 54 წლისა, დაკრძალულია დონის მონასტერში, მის წინაპრებთან ერთად, მეუღლის გვერდით.

მათ ბევრი შვილები ჰყავდათ.

**და აი, გენერალ პ. ა. ტოლს-ტოისა და მარიამის ერთ-ერთ ვაჟს, ალექსანდრე აეტოეს ძეს მისთხოვდა ანა გიორგის ასული გრუზინსკია, ასე და ამგვარად, გადაიხლართა პატიონტორი მის — პატონიშვილების — პატარისა და გიორგის შტო. ორივე იყო პირდაპირი შთამომავალი ვახტანგ VI-ისა. მიმოხილვაში თაობის პიძათაშვილები. თუდეაც ეს გარემოება ანიჭებდა ამ ქორწინებას რაღაც გაირჩეონ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ალექსანდრე აეტოეს ძეც მორჩეული კაცი იყო და, შესაძლოა, არანაკლებად, ვიდრე თავადის ასული.**

მაგრამ იყო კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც ეს ქორწინება არც თუ ჩვეულებრივად ჩაითვლებოდა. დავკმაყოფილდეთ იმავე ა. ო. სმირნოვას ცნობებით: „...ანა გიორგის ასული 35 წლისა გაჰყვა ცოლად ა. პ. ტოლსტოის, წმინდა ადამიანს. იგი დაემორჩილა თავის უცნაურ ცოლს და მასთან ცხოვრობდა, როგორც ძმა... ეს ტოლსტოები ყველანი დიდად ორიგინალური არიანო”, — დაასკვნის სმირნოვა.

დიახ, ისინი ცხოვრობდნენ როგორც და-ძმა, და ეს გასაკვირველი იყო იმათვის, ვინც არ იცოდა ქალის მიერ ახალგაზრდობაში განცდილი მძიმე მღელვარება, მის მიერ მამა ანტონთან დადებული საგულისგულო აღთქმა, არ იცნობდა მის ლვითისმოშიშობას.

ალექსანდრე პეტრეს ძე უგანათლებულესი ადამიანი იყო, სრულყოფილად ფლობდა მრავალ უცხო ენას, მათ შორის — ბერძნულს; სხვადასხვადროს იყო ტვერისა და ოდესის გენერალუბერნატორი, სინოდის ობერპროკურორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, მაგრამ კარიერისტი არ ყოფილა, აფასებდა დამოუკიდებელ და მოწინავე ადამიანებს. მან, მაგალითად, თანამშრომლობაშესთავაზა მ. ა. ბაკუნინს, ცნობილ ანარქისტსა და მექანიკებს. ჰუმბოლდტი, დე მესტრი, კარამზინი, კაპოდისტრია, უკავოვსკი, სპერანსკი, პუშკინი, გოგოლი მისი ახლო ნაცნობები და მეგობრები გახდნენ.

„ძალზე მახვილებნიერი კაცი იყო, მერძნობიარე და ნიჭიერი, ყველაფრის ღრმად ჩამწვდომი“, განსაკუთრებით უყვარდა ბერძნები და საბერძნეთი.

გოგოლს, მეფის ადმინისტრაციის მიმართ თავისი სკეპტიციზმისა და ნიკოლოზის რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატიული სისტემის უკიდურესი მიუღებლობის მიუხედავად, ა. პ. ტოლსტოი მიაჩნდა „სახელმწიფო ბრივი ადამიანის ფენომენად — იგი მკაფრია, სასტიკი, პატიოსანი, ვერ იტანს პირფერობას, ნამდვილად მორწმუნე კაცია“.

მათ ცხოვრებაზე ერთგვარ წარმოდგენას იძლევა ა. ო. სმირნოვა-როსეტის მოგონებები.

„გრაფმა იერუსალიმიდან ჩამოიყვანა დიაკვანი. ეს ისეთი მედავითნე იყო, მარგალიტებივით აწყობდა სიტყვებს. ნაწირვებს ვსვამდით ჩაის მოგრძნო სასტუმრო ოთახში; ჩაის ასხამდა სოფიო პეტრეს ასული აპრაქსინა, გრაფის და. მოგვარომევდნენ ჩაის, ყავას, შოკოლადს, ნამცხვრებს და სხვადასხვა სახის ორცხობილას. სასტუმრო ოთახში იდგა როიალი, გაშლილი ნოტებით, მუსიკა მთლიანად სასულიერო შინაარსისა იყო, გრაფის მეუღლე საუკეთესოდ უკრავდა. გრაფი თავისუფლად კითხულობდა და ლაპარაკობდა ბერძნულ ენაზე.

გრაფის მეუღლეს საღამოს შვიდი საათიდან ჰქონდა მიღება. სერაფიმა გოლიცინა ხმამაღლა უკითხავდა მათ რომელიმე სასულიერო ნიგნს, დღეგამოშვებით მოდიოდა ბერძენი ბერი და ისიც კითხულობდა. გრაფის მეუღლის საზრუნავი იყო — როგორმე გრაფისთვის ეამებინა. ქალი მხოლოდ მათ აქცევდა ყურადღებას, ვინც მის ქმარს უყვარდა. „როგორ მიყვარს ბერძნული ხმა, იმიტომ, რომ გრაფს უყვარს იგი. თქვენც იმიტომ მიყვარხართ, რომ გრაფს უყვარხართ. მადლიერი ვარ გოგოლისა თქვენი გაცნობისათვის. ტოლსტოები ყველანი ორიგინალური არიან, ყველაზე მეტად კი — ალექსანდრე პეტრეს ძე“.

ამ აღნერაში საღებავების ოდნავი გამუქება იგრძნობა. ა. ო. სმირნოვა სხვა წყობის ადამიანი იყო. მის ლიტერატურულ სალონში იკრიბებოდნენ პუშკინი, უკავოვსკი, ვიაზემსკი, გოგოლი, ლერმონტოვი და კარამზინი, მისთვის უცხო არ იყო საზოგადოებრივი ინტერესები და არც გაურბოდა მაღალ საზოგადოებას. ამიტომ განდგომა, გამიჯვნა მიწიერისაგან, ასეთი თავდადებული სამსახური ღმრთისა, მას მეტის მეტად მიაჩნდა.

მაგრამ, რასაკვირველია, ყოველივე ეს ასე არ იყო. ახალგაზრდობაში ალექსანდრე პეტრეს ძე

**ალექსანდრე კატოეს ძე უგანათლებულესი  
ადამიანი იყო, სრულყოფილად ულოგდა გრავალ  
უსხო ენას, მათ შორის — ბერძნებს; სევადასევა  
დროს იყო ტვერისა და როდესის  
გენერალ-გენერალნისათორი, სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენერალი  
მაგრამ კარიარისტი არ ყოფილა, აფასებდა და მართის ადამიანებს.**

სამხედრო იყო, 1834-37 წლებში — ტვერის გუბერნატორი, 1837-1840 წლებში — ოფესისა. მას ურთიერთობა ჰქონდა მათი სახლით დაინტერესებულ მრავალნაირ ადამიანთან.

მძიმე და რთული ვითარება იდგა რუსეთში. ნიკოლოზი და ბენეკენდორფი ახშობდნენ ყოველგვარ ცოცხალ აზრს. ბატონიშვილი წყობილება სულს ღაფავდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ბევრი რუსი წლობით ცხოვრობდა საზღვარგარეთ, იქ ეძიებდნენ პასუხს მათვის საინტერესო საკითხებზე და საერთოდ, სურდათ, ესუნთქათ „თავისუფლების ჰაერით“. რომ არაფერი ვთქვათ გერცენისა და ოგარიოვის შესახებ, საზღვარგარეთ დიდხანს ცხოვრობდა უუკოვსკი. წავიდნენ გოგოლი, სმირნოვა-როსეტი, გაემგზავრნენ, სხვათა მსგავსად, გრაფი და გრაფის მეუღლე ტოლსტოები.

**ახლა შევვიძლია შევუდგეთ იმ ამბების თხრობას, მართლაცდა, ყველაზე საინტერესო მოვლენას რომ ნარმოადგენს გრაფისა და გრაფის მეუღლის ცხოვრებაში.**

1842-43 წლებში პარიზში მათ გაიცნეს გოგოლი. 1844 წლის 12 ნოემბრის თარიღით ნ. მ. იაზიკოვისადმი ფრანკფურტიდან მიწერილ ვრცელსა და დაწვრილებით წერილში ნ. ვ. გოგოლი იტყობინება:

„...მე მყავს ერთი ახლობელი ადამიანი, ერთობ შესანიშნავი, რომელსაც შემდგომში გაგაცნობ. იგი ახლა პარიზშია, მაგრამ გაზაფხულზე ან ზაფხულში ჩამოვა მოსკოვს, სახელდობრ — გრაფი ალექსანდრე პეტრეს ძე ტოლსტოი, რომლის ძმასაც შენ იცნობ. გრაფი იმითაა შესანიშნავი, რომ მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან ადამიანებს, რომელთაც შესწევთ უნარი, ჩაიდინონ ბევრი სიკეთე, სახელდობრ, ახლანდელ მდგომარეობაში მყოფი რუსეთისთვის. იგი ევროპული ამპარტავნული სიმაღლიდან კი არა, არამედ რუსული კეთილგონიერებით უყურებს მოვლენებს. მას ბევრი რამ აქვს ნანახი, ორჯერ გუბერნატორი იყო რდესასა და ტვერში, უნა-

## 6. გ. გოგოლი:

**გრაფი იმითაა შესაიმნავი, რომ მიუკუთვნება იმ მცირერიცხვან აღამიანებს, რომელთაც შესრულ უნარი, ჩაიდინონ გავრი სიკათა, სახელდობრ, ახლადელ მდგომარეობაში მყოფი აუსათისობის მიმართ გრაფი ა. პ. ტოლსტოი და გრაფი ა. პ. ტოლსტოი რენად უკავებობას გაუდინობით მოგიყითხავს“**

რი შესწევდა, დაენახა სხვისი და საკუთარი შეცდომები, ახლა ისეთ თვალსაზრისა ადგას, რომ შეუძლია, ადამიანთა დაუწიოკებლად და აურზაურის აუტეხლად, ჩაიდინოს არსებითი სიკეთე, ესე იგი მოარიგოს საქმე იქ, სადაც ზოგიერთს, თითქოსდა კეთილშობილური მიზნით, შეუძლია ყველაფერი აურ-დაურიოს...

1845 წელს, მეორე წერილში ნიკოლოზ ვასილის ძე იაზიკოვს წერს:

„...პარიზში ერთ თვეს დავყოფ, შესაძლოა, მეტსაც: თავად პარიზი არ მიყვარს, მაგრამ მახარებს შეხვედრა ჩემს სულიერ ახლობლებთან, რომლებიც ახლა აქ არიან, სახელდობრ — გრაფის მეუღლე ვიელგორსკისა და გრაფ ტოლსტოისთან, რომელთანაც მე გავჩერდები, ასე რომ, შემდეგი წერილი გრაფ ტოლსტოის სახელზე გამომიგზავნე პარიზში, სასტუმრო ვესტმინსტერი, №9“.

შემდგომ წერილში, პარიზი ყოფნის გამო, გოგოლი წერს:

„პარიზის შესახებ შემიძლია გითხრა, რომ თვალით არ მინახავს იგი. მე ადრეც არ ვიყავი ამ ქალაქის მოყვარული, მით უმეტეს ახლა... არავინ, გარდა ჩემთვის სულიერად უახლოესი ადამიანებისა, ესე იგი გრაფის მეუღლე ვიელგორსკისა და გრაფ ა. პ. ტოლსტოის გარდა, არ მინახავს... ეს სამი კვირა გავატარე კარგად, მორალური თვალსაზრისით; ვცხოვრობი სულიერად, როგორც მონასტერში“.

გრაფ ტოლსტოისა და მის მეუღლეს გოგოლი იხსენიებს ვიელგორსკიასადმი მიწერილ წერილში — „სხვათა შორის, გამახსენ-

**და გრაფ ტოლსტოის მეუღლე, რომელიც თქვენთან ერთად არის პარიზში“. 6. ნ. შერემეტიევას („პარიზში ვხვდებოდი მხოლოდ რამდენიმე ახლობელს. მაგრამ შესანიშნავი სულის ადამიანებს“) ვ. ა. უუკოვსკის („გრაფი ა. პ. ტოლსტოი ჩემთან ერთად მარხულობდა“), ს. მ. სოლოგუბს („გრეფენბერგში გრაფი ა. პ. ტოლსტოი, რომელიც ყველა თქვენგანს გულითა და სულით მოგიყითხავს“) და ვ. ა. უუკოვსკისადმი მიწერილ წერილებში („გრაფენბერგში წასვლა... გრაფ ა. პ. ტოლსტოის ჩამოსვლამ გადამაწყვეტინა“).**

შემდგომში გოგოლის ტონი უფრო თბილი და გულითადი ხდება. ა. ო. სმირნოვას რომიდან სწერს: „ბშირად ვარ სოფიო პეტრეს ასულ აპრაქსინასთან, რადგან ისიც ისევე კეთილია, ამასთანავე და არის ჩემი საყვარელი ალექსანდრე პეტრეს ძისა“, ვ. ა. უუკოვსკის ფლორენციიდან ატყობინებს: „სამი დღით შევილი პარიზში მხოლოდ იმისათვის, რომ მოვინახულო ჩემი კეთილი გრაფი ა. პ. ტოლსტოი“. მასვე ოსტენდიდან სწერს: „ამ დღეებში დიდად გავიხსარე ჩემი საყვარელი გრაფის, თქვენთვის ყველასათვის ცნობილი ა. პ. ტოლსტოის მოულოდნელი ჩამოსვლის გამო“. პ. ა. პლეტნევს წერილიდან სწერს: „გრაფი ალექსანდრე პეტრეს ძე ტოლსტოი ჩემი დიდი მეგობარია და რუსეთისათვის მეტად საჭირო ადამიანი“...

ნეაპოლში ყოფნისას, გოგოლი ელოდა ა. პ. ტოლსტოის. „იგი ჩამოვა ნეაპოლში, რომ წმინდა ადგილებში გამგზავნოს. შესაძლოა, თავადაც წამოვიდეს იქ“, — წერს გოგოლი.



სხვა წერილში, რუკის მონასტრის წინამდღვარს, მ. ა. კონსტანტინოვსკის, რომელიც გოგოლს გრაფმა ტოლსტოიმ გააცნო. ნიკოლოზ ვასილის ძე ატყობინებს: „გრაფი ალექსანდრე პეტრეს ძე ვნახე მისი ინგლისს გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე... გაზაფხულამდე რუსეთში არ დაბრუნდება. იგი, აგრეთვე, ნეაპოლში ჩამოვა, თავის დასთან — აპრაქსინასთან შესახვედრად. ასერომ, ისევ შევხვდებით ერთმანეთს“.

შემდგომ გოგოლი იტყობინება, რომ ტოლსტოი შენუხებულიაო, მეორე წერილში მოუთხრობს ამ წუხილის მიზეზს: „დავინახე რა მისი შეძრული სული და მოვისმინე უნუგეშმ ჩივილი ცხოვრებაზე, რომელსაც მისთვის ფასი დაჰკარგვოდა და რომლის დასასრულსაც მოუთმენლად ელოდა, შევეცადე, დამეთანხმებინა იგი, რათა ხელი მოეკიდა რაიმე თანამდებობისთვის რუსეთში და მიეღო იგი, როგორც ქრისტიანული საქმე... შევიტყვე ათასგვარი უსამართლობისა და უწესრიგობის ამბავი, რომელიც მომდინარეობს უფროსებისგან. ისიც რომ არ იციან, თუროგორ მოჰკიდონ საქმეს ხელი. ალექსანდრე პეტრეს ძე, როგორც დიდი გამოცდილების და ბევრის გადამტანი ადამიანი, მე მგონია, ახლა განსაკუთრებულად საჭიროა რუსეთისთვის. ამის გამო დავწერე კიდეც წერილები, რომლებიც წიგნში არ მოხვდა, მაშინ, როცა, ჩემი ღრმა რწმენით, ისინი უფრო სასარგებლოა, ვიდრე სხვა იქ მოთავსებული წერილი“.

ნ. ვ. გოგოლის მიმოწერა ანა გიორგის ასულსა და ალექსანდრე პეტრეს ძესთან ასახავს მათი სულიერი სიახლოვის ზრდას, რაც მალე მეგობრობად გადაიქცა.

ისინი ხვდებიან ერთმანეთს, აგრეთვე, გრეფენბერგში, სადაც ერთად მურნალობენ, ოსტენდში, რომსა და ფრანკფურტში. გოგოლი განაგრძობს ურთიერთობას ალექსანდრე პეტრეს ძის ძმებსა და დასთან, სოფიო პეტრეს ასულთან, რომლის შესახებ ა.ო. სმირნოვა გოგოლს სწერს,

რომ „იგი ძალზე ამაყია, როგორც ყველა გრუზინსკების ჯიშის ტოლსტოი“. სოფიო პეტრეს ასული ხან რომშია, ხან ნეაპოლში, ყოველ დღე ხვდება ნიკოლოზ ვასილის ძეს, რასაც გოგოლიც აღნიშნავს თავის წერილებში: „აქ არის თქვენი დაიკონ“. მეორე წერილში წერს, რომ შეხვდა ალექსი და ივანე ტოლსტოებს და მათგან შეიტყო, რომ სოფიო პეტრეს ასული ნეაპოლში იმყოფება და ეპატიუება ყველას. „თქვენი ნათესავი ნორდერნეუში იმყოფება... „რუსებიდან... ჰო, თქვენი ნათესავი სენ-პრი დოლგორუკაია“.“, ფიქრი იმისა, რომ თქვენთან ერთად გავატარებ ნახევარ ზამთარს ნეაპოლში, ძალზე სასიხარულოა“. ანა გიორგის ასულს ერთ-ერთ წერილში სთხოვს, გადასცეს უღრმესი სალამი მამამისს — გიორგი ალექსანდრეს ძეს, რომელსაც, ეტყობა, იცნობდა. ოსტენდიდან 1847 წლის 11 სექტემბრის თარიღით მიწერილ წერილში სთხოვს ტოლსტოებს, გაუგონ, მიიღო თუ არა ბელინსკიმ მისი წერილი. ბელინსკი პარიზში იმავე სასტუმროში ცხოვრობდა, სადაც ტოლსტოები დაბინავდნენ.

ანა გიორგის ასული როგორდაც ამ მამაკაცური მეგობრობის ჩრდილში იმყოფება. საერთოდ, მას არ უყვარდა თავის გამოჩენა, რის გამოც თითქმის შეუფასებელი დარჩა თანამედროვეთა მიერ. პარიზში 1844 წელს ვ. გაუს მიერ დახატულ პორტრეტზე, ვხედავთ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალს, „მშვენიერს“, უწყინარი გამომეტყველებით, მაგრამ შინაგანი ღირსების ურყევი გრძნობით. ფართო სევდიან თვალებში, პირდაპირ რომ მოგვჩერებია, გამოკრთის თავისი გზით მიმავალი ადამიანის ურყევი რწმენა. მისი სახე იმდენად მიმზიდველია, რომ უნებლიერ მდელვარებას იჩვევს.

1845 წლის 14 იანვარს გოგოლი პარიზში ჩავიდა. იანვრის მეორე ნახევარი და თებერვალი პარიზში ტოლსტოებთან გაატარა. აგვისტო-სექტემბერში, ალექსანდრე პეტრეს ძესთან ერთად, მკურნალობს გრეფენბერგში. შემდეგი

წლების მაისში გოგოლი ისევ პარიზშია, სტუმრად ტოლსტოებთან. აგვისტოში რამდენიმე დღით ისევ ჩადის ოსტენდიდან, სადაც თავის მხრივ მას მოინხულებს ალექსანდრე ტოლსტოი. გოგოლი ამ დროს განაგრძობს მუშაობას წიგნზე — „მიმოწერა მეგობრებთან“.

1847 წლის მაისში წიგნზე ვასილის ძე სწერს ტოლსტოის: „ამ დღეებში გამოვდივარ ნეაპოლიდან და პირადად მოგეხვევით პარიზში“. ნოემბერ-დეკემბერში გოგოლი ისევ ნეაპოლშია; ხშირად ხვდებას. პ. აპრაქსინას და მასთან ჩამოსულ ტოლსტოებს. ა.პ. ტოლსტოის გავლენით გოგოლი იწყებს ბერძნული ენის შესწავლას.

შემდეგი წლიდან, უკვე რუსეთში გოგოლი მუდმივ საცხოვრებლად ტოლსტოებთან გადადის.

მის წერილებში ვკითხულობთ, აგრეთვე, მალთის ამბებს, იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ, რომელიც მან ცოდვების მოსანინებლად წამოიწყო. გოგოლმა შეიარა ოპტინის უდაბნოში („ეტყობა, იქ ნატერაბე სუფევს“) და ბოლოს ვასილევკიდან, თავისი მშობლიური სოფლიდან, სადაც დასაბეჭდად ამზადებს „მკვდარი სულების“ მეორე ტომს, უგზავნის გრაფს მხენებით აღსავსე წერილს: „გონების ძალა, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ საღი მაქეს“.

1847 წელს ნ.ვ. გოგოლმა გამოსცა „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიმოწერიდან“, რომელშიაც ავითარებს „მკვდარი სულების“ მეორე ტომის იდეასა და აზრებს. წიგნი უხეირო გამოვიდა, რამაც გოგოლის უახლოესი მეგობრების მკაცრი კრიტიკა გამოიწვია. ს.ტ. აქსაკოვმა, რომელიც ყველაზე უფრო ახლო იყო მასთან, „რჩეულ ადგილებს“ მთლიანად უწოდა „სიცრუე, ყეყერიბა და უაზრობა, რომელიც გოგოლს ხდის მთელი რუსეთის სასაცილოდ“. ბ. გ. ბელინსკი თავის ცნობილ „გოგოლისადმი წერილში“, წიგნს ახასიათებდა როგორც „მძიმე ცოდვას“, რაიც ავტორმა ახალი ქმნილებებით უნდა გამოისყიდოს“.





**რაში. 1852 წლის 15 მაისს კი, თავისი მამულში — ლისკოვოში, ნიუნი-ნოვგოროდის ახლოს — 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ანას მამა გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი, უკანასკნელი პირდაპირი მემკვიდრე ვახტანგ VI-ისა, ადამიანი, რომელთანაცაა დაკავშირებული ნიუნი-ნოვგოროდის ცხოვრების მთელი ეპოქა.**

მის დაკრძალვაზე, ტრუბეციების, გოლიცინების, ბახმეტევების, მერშიკოვების, ბაგრატიონების, ციციანოვების და სხვა ნათესავების გარდა, ჩამოვიდა აგრეთვე, მრავალი ნიუეგოროდელი თავადი და აზნაური, რომელთა წინამდლოლი იგი საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული მთელი 29 წელი იყო.

ამქვეყნიდან წავიდა ადამიანი, რომელიც, იცნობდა ეკატერინეს, პავლეს, ალექსანდრე I-ს და ნიკოლოზ I-ს, პუშკინს, კარამიზინს, გოგოლსა და მე-18-19 საუკუნეთა მრავალ სხვა მოღვაწეს.

იგი დაკრძალეს ლისკოვოში მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარში — დედის, მეუღლის, ვაჟისა და დის გვერდით.

ანა გიორგის ასულისათვის მძიმე იყო ეს დღეები. მამასთან დაკავშირებული გახლდათ მისი ბავშვობა, ახალგაზრდობა და მრავალი განცდა. რასტრელის აგებული უზარმაზარი სასახლე და პარკი ერთობ ბევრ მოვონებას უდევივებდა მას. წამოსვლისას მან უკანასკნელად გადაავლო თვალი ვოლგის ვრცელ ნაპირებს, ნიუნი-ნოვგოროდის საუცხოო ეკლესიებს. მოქავენა, რომ მისი სიცოცხლე მთავრდებოდა.

1856-1862 წლები ტოლსტოებმა პეტერბურგში გაატარეს, სადაც გრაფი სინოდის ობერ-პროკურორი ე.ი. საეკლესიო საქმეთა მინისტრი იყო.

ადრე, მიუხედავად გოგოლის რჩევისა, ა.პ. ტოლსტოის არ სურდა ჰქონოდა ადმინისტრატორული თანამდებობა. კერძოდ „შეჩეული ადგილებიდან“ ჩანს, რომ მას სთავაზობდნენ გუბერნატორის ადგილს კავკასიაში, მაგრამ უარი თქვა, რადგან ესმოდა, თუ

რა პოლიტიკა უნდა გაეტარებინა იქ. ახლა ამ თანამდებობას და-თანხმდა ნიკოლოზ I-ის სიკვდილის გამო და მისი შთამომავლების მიერ საშინაო პოლიტიკის შეცვლის იმედით. მაგრამ ამ მხრივაც იმედგაცრუებულმა გრაფმა საბოლოოდ მიატოვა სახელმწიფო სამსახური.

ალექსანდრე პეტრეს ძე გარდაიცვალა 1873 წელს უენევაში.

უენევიდან ჩამოსვენებული მიცვალებული დაასვენეს ლეთისმშობელი მარიამის ეკლესიაში. ანა გიორგის ასულმა იგი დაკრძალა დონის მონასტერში მისი მშობლების სახელგანთქმული რუსი გენერლის, ბატონიშვილ გიორგის შეილიშვილის გვერდით.

ანა გიორგის ასულმა გაყიდა ნიკიტსკიზე მდებარე სახლი და თავის ძველ სახლში სადოვო-კუდრინსკის ქუჩაზე გადასახლდა. იგი სულ მარტო დარჩა. მართალია, პყავდა მრავალრიცხოვანი ნათესაობა, მაგრამ ახლობელთაგან არავინ აღარ შერჩა.

მემუარულ ლიტერატურაში ანა გიორგის ასული ცნობილია „თავის კეთილმოწყალებით“. ახლა კი მზრუნველობა-დახმარება მის მთავარ საქმედ იქცა. ანამ დიდი თანხა შენირა დონის მონასტერს (2000 მ.), ზოსიმეს უდაბნოს (6000 მ.) და სხვა მონასტრებსა და საყდრებს, დახმარებას უწევდა სხვადასხვა საზოგადოებას, მონაწილეობას იღებდა საქველმოქმედო საქმეებში.

ანა გიორგის ასულმა მეუღლის სიკვდილის შემდეგ 15 წელი იცოცხლა. გარდაიცვალა 1889 წელს — 92 წლისა. დაკრძალულია დონის მონასტერში, მეუღლის გვერდით. მათი საფლავები არ შემონახულა.

მთელი მისი ქონება, მათ შორის ლისკოვოს მამული და თავად ლისკოვო, მან დაუტოვა ვინმე სტროგოვს, მოხუცი თავადის უკანონო შეილს. ყოველივე ის, რაც აკავშირებდა ალექსანდრე პეტრეს ძესთან, ისიც, რაც ნ.ც. გოგოლს ეკუთვნოდა, გადასცა კალუგის გუბერნიაში მცხოვრებ ა.ი. ტოლსტოის ძმის თვალში. წანილი ნივთებისა,

მათ შორის გოგოლის კალამი, გადაეცა კალუგის ისტორიულ-მხარეთმცოდნების მუზეუმს.

თავისი 100.000 მანეთად ღირებული უზარმაზარი სახლი, ეკლესიით, ფლიგელითა და ბალით სადოვო-კუდრინსკიზე, ანა გიორგის ასულმა მოსკოვის სამღვდელოებას უანდერდა. ამ სახლში, მისი სურვილის თანახმად, მოეწყო ორმოცი მოხუცი სასულიერო მსახურისათვის თავშესაფარი, რომელსაც ალექსანდრე პეტრეს ძის პატივსაცემად „ალექსანდროვსკი“ ეწოდა. დიდი თანხა გაიღო აგრეთვე ამ სახლის შენახვისა, გათბობისა და პირველი საჭიროებისათვის. თავშესაფრის ეკლესიას შესწირა თავისი ყველა ძვირფასი ხატი, სამკაული და შესამოსელი, გარდა კიდობნისა, რომელმიც ქართველ წმინდანთა წანილები ინახებოდა. იგი ანდერძის მიხედვით, უნდა გადაეცათ ერთ-ერთი ქართული დედათა მონასტრისათვის.

ანას სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 1887 წელს, „რუსსკი არხივში“ დაიბეჭდა სია ჯერ კიდევ ცოცხალ პირთა, რომლებიც პირადად იცნობდნენ პუშკინს. ესენი იყვნენ: ბარონი ა.ი. დელვიგი, ა.ა. კრასოვსკი, პუშკინის ნეკროლოგის ავტორი, გრაფის მეუღლე ა.გ. ტოლსტოი და დეკაბრისტი ა.ს. განგებლოვი, რუსი გენერალის სიმონ განგებლიძის ვაჟი. იმ დროს კიდევ არ იცოდნენ, რომ ცოცხალი იყო ვერა ალექსანდრეს ასული ნაშროვინა, პუშკინის უახლოესი მეგობრის პეუღლე.

„ნ. ვ. გოგოლის მემორიალურ სახლში“, სუვოროვის ბულვარზე, შუშის ქვეშ დევს მენდელსონის პიესების აღბომი, რომელიც ანა გიორგის ასულს ეკუთვნოდა. შესასვლელში, სტენდზე შეიძლება გაეცნოთ სახლის მოკლე ისტორიას, ალექსანდრე პეტრეს ძისა და ანა გიორგის ასულის მოხსენიებით. მათ შესახებ ლიტერატურულ წყაროებში ცოტა რამ მოიძებნება, მაგრამ მათი ცხოვრების ისტორია მთლიანად თითქმის უცნობია.

მე შევეცადე, ეს ხარვეზი შეძლებისადაცვარად შემევსო.



# XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაცები აფხაზების გესახები

მოძმე ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურულ ურთიერთობას შორეული და მდიდარი ტრადიციები გააჩნია. ეს ხალხები საუკუნეების მანძილზე საერთო ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, რამაც განაპირობა მათი სულიერი სამყაროს თავისებურება. აფხაზური კულტურა ვითარდებოდა ქართულ კულტურასთან მჭიდრო კავშირში, მისი ცხოველმყოფელი ზეგავლენით. ქართული და აფხაზური კულტურის ურთიერთდამოკიდებულება თავს იჩენდა ეთნიკურ, საყოფაცხოვრებო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მხატვრულ და სხვა სფეროებში.

მეცნიერებაში აღიარებული ფაქტია, რომ ქართველებისა და აფხაზების წინაპრებმა ჯერ კი-დევ უხსოვარ დროში შექმნეს დიდი საერთო კულტურა, რომლის განვითარების უმაღლეს საფეხურს „კოლხური კულტურა“ წარმოადგენდა და რომელიც მაშინდელი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი მონაპოვარი იყო.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ქართველებისა და აფხაზების ისტორიული თანაცხოვრების შედეგად IX საუკუნიდან მოყოლებული, თუ უფრო ადრე არა, ვიდრე უშუალოდ აფხაზურ ენაზე შეიქმნებოდა დამწერლობა, აფხაზთათვის საეკლესიო ლეთისმსახურების, სახელმწიფო საქმის წარმოებისა და სამწერლო ენას ქართული ენა წარმოადგენდა, ხოლო XIX საუკუნიდან დიდ როლს თამაშობს რუსული ენაც.

მაგრამ მხოლოდ მეზობლობა და მეგობრობა, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა როდი განაპირობებდა ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობას საუკუნეების მანძილზე. ცნობილია, ქართველები და აფხაზები იბერიულ-კავკასიურ ეთნიკურ ოჯახს მიეკუთვნებიან. ამ

ხალხების წარმოშობის საწყისები ვლინდება მათი როგორც ენების ნათესაურ დამოკიდებულებაში, ისე მატერიალური და სულიერი კულტურის სპეციფიკური ელემენტების თავისებურებაში. ქართულ საისტორიო წყაროებში, მნერლობასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში აფხაზეთი მოხსენებულია როგორც სიმშვენიერისა და სილამაზის განსახიერება, ხოლო აფხაზი — სიმართლისა და მოქნილობის, სტუმართმოყვარეობისა და ზნეობრივი სისპეტაკის სიმბოლო. ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი რობერ შურლული პირველი იყო, ვინც ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების საფუძვლიან შესწალას მოჰკიდა ხელი და ერთ კრებულში მოუყარა თავი. მასში გაშუქებულია მთელი რიგი მოვლენებისა, რომლებიც მანამდე სულ არ იყო გამოვლინებული ან ცალმხრივად იყო შესწავლილი. აქვე გთავაზობთ ამონარიდს ამ „ნარკვევებიდან“, რომელშიც საუბარია იაკობ გოგებაშვილის ამაგზე აფხაზი ხალხის ისტორიასა და კულტურულ ცხოვრებასთან მომართებაში.



იაკობ გოგებაშვილი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, ცნობილი პუბლიცისტი, მწერალი და ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ჩაგრული ერების ცხოვრებას, იყო სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი. „თავისი ერის დიდ სიყვარულსა და პატრიოტულ გრძნობას იგი თავისუფლად უთავსებდა სხვა ერების ღირსებათა დაცვისა და მათი უაღრესი პატივისცემის ინტერნაციონალურ გრძნობას“.

ი. გოგებაშვილისათვის სამშობლო, მისი ბედი და ილბალი, წარ-



სული, აწმყო და მომავალი ყოველთვის სათუთი ზრუნვის საგანი იყო. მას ინტერნაციონალიზმის გარეშე წარმოდგენილი არ ჰქონდა პატრიოტიზმის გაგება. ისე, როგორც მის ღირსეულ თანამედროვეებსა და თანამებრძოლებს — ი. ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს, მასაც პატრიოტიზმი გააზრებული ჰქონდა, როგორც „ძლიერი სიყვარული სამშობლოსადმი“, რომელიც „პადებს ძლიერ სიყვარულს კაცობრიობისას“.

პატრიოტიზმის თემა, პატრიოტული აღზრდა ი. გოგებაშვილის პედაგოგიკისა და მთელი შემოქმედების მთავარი მოტივია.

დიდი ჰუმანისტი და განმანათლებელი ყოველთვის მედგრად იბრძოდა ერთი ერთს მიერ მეორის ჩაგვრის წინააღმდეგ. მისი მართებული გაგებით, ყოველ ერს — დიდსა თუ პატარას — აქვს უფლება თვითგამორკვევისა, საკუთარი ეროვნული კულტურის შექმნისა და განვითარებისა, ყოველ ერს, ეროვნებას ბოლოს და ბოლოს აქვს უფლება არსებობისა და ესკინიშნავს მისი ეროვნული თავისებურების: ენის, სულიერი წყობის, ხალხური კულტურის, ტრადიციების, ტერიტორიის აღიარებას. ი. გოგებაშვილი განსაკუთრებული აღმფოთებით გამოდიოდა ბურუუზაზიული ნაციონალიზმისა და დიდმცყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, რომლებიც ფეხქვეშ თელავდა ადამიანისა და ერისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას, ხოლო ადამიანის სიყვარულისა და პატივისცემის გარეშე არ არსებობს არც სამშობლოს სიყვარულის ჯანსაღი გრძ-

ნობა და არც მეგობრობის განცდა. ამ საკითხთან დაკავშირებით იაკობი წერდა:

„ვინც გამსჭვალულია ადამიანისადმი სიყვარულით, ის ამ კეთილშობილურ გრძნობას ანხორციელებს, პირველ ყოვლისა, თავის სამშობლოსა და თვისტომთა მიმართ, როგორც კაცობრიობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც უფრო ახლოა მასთან და, მაშასადამე, არის ჭეშმარიტი პატრიოტი, მაგრამ ამავე დროს ის სიყვარულითა და სამართლიანობით ეყყრობა სხვა ერებსაც და, ამგვარად, ემსახურება საყოველთაო ძმობის მაღალი ცნების განხორციელებას“.

ი. გოგებაშვილი ხალხთა მეგობრობის დაუცხრომელი ქადაგებელი იყო. მას კავკასიელი ხალხები, მიუხედავად თითოეული მათგანის ეროვნული თავისებურებისა, მაინც ერთ ოჯახად ჰქონდა ნარმოდგენილი. ქართველები, აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდით, მეზობლად ცხოვრობდნენ და მოძალებულ მტერთან ბრძოლაში საერთო ინტერესებს ემსახურებოდნენ. ი. გოგებაშვილი სასტიკად იბრძოდა, პირველ რიგში, ქართული ნაციონალური ყოყოჩის, სომხური ბურუუზაზიული ნაციონალიზმის ველიკორუსული შოვინიზმის გამოვლენის წინააღმდეგ. იგი მთელ რიგ სტატიებში საგანგებოდ მიუთითებდა ამ ხალხების მშრომელი ფეხნების, მოწინავე ინტელიგენციის ძმური მეგობრული ურთიერთობის მტკ-

იცე საფუძველზე. სტატიაში „ქართლი“ იგი აღნიშნავდა:

„ქართველებსა და სომხებს შორის რომ ანტაგონიზმი არსებობდეს, სომხებს ადვილად შეეძლოთ განცალკევება, გამიჯვნა, შეეძლოთ შეექმნათ ცალკეული, კარჩაკეტილი ჯგუფები და დარჩენილიყვნენ ქართველი ხალხისათვის უცხო ელემენტებად (აյსაუბარია ქართლში მცხოვრები სომხების შესახებ, — ო.ჭ.)... მათ უარყვეს მექანიკური თანაცხოვრება ქართველ ხალხთან, გააძეს უშტიდროესი ზნეობრივი კავშირი და შექმნეს მათთან ერთი ორგანული მთლიანობა. ქართლელი სომხებისათვის ძნელი არ იქნებოდა, სრულიად ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ ყველა თავიანთი ნაციონალური თავისებურებანი, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო ქართველ ეროვნებასთან ნათესაობის და ძმობის შეგნება, რომ მათ არა მარტო სოფლად, არამედ სამაზრო ქალაქებშიც ქართული ენა გახადეს სიტყვიერიარაღად, თავიანთ ყოველდღიურ ურთიერთობაში სომხები და ქართველები ერთმანეთისაგან თავს არაფრით ანსხვავებენ. ქართველი ისევე ადვილად და სიამოგნებით უნევს სამსახურს სომხეს, აბამს მასთან მეგობრულ ურთიერთობას, როგორც თავის თვისტომთან“.

მაგრამ ეს ხელს არ უშლის ამავე დროს მათ ჰქონდეთ თავიანთი ეროვნული და რელიგიური რწმენა. იაკობი მსჯელობას შემდეგ ასეთნაირად წარმართავს:

„ქართველთა და სომხეთა ერთორგანულ მთელად შეერთებას ყველაზე მკაფიოდ ცხადყოფს მათი რელიგიური ცხოვრების გამოხატულებანი. უნდა ვიკოდეთ, რომ ქართველებიც და სომხებიც მეტისმეტად ერთგულნი არიან თავიანთი სარწმუნოებისა და დიდი წარმოდგენა აქვთ მის სრულყოფასა და ღირსებებზე“.

აქ, როგორც ვხედავთ, ი. გოგებაშვილი ერთა გათქვეფასა და ასიმილაციაზე კი არ ლაპარაკობს, არამედ მეგობრულ ურთიერთობაზე თავიანთი მშობლიური თვი-

**ი. გოგებაშვილი ერთა გათქვეფასა და  
ასიმილაციაზე კი არ ლაპარაკობს, არამედ  
გაგობრებულ ურთიერთობაზე თავიანთი და  
მეტისმეტად მტერთან ბრძოლაში საერთო კულტურული ნაციონალიზმისა და დიდმცყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, რომლებიც ფეხქვეშ თელავდა ადამიანისა და ერისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას, ხოლო ადამიანის სიყვარულისა და პატივისცემის გარეშე არ არსებობს არც სამშობლოს სიყვარულის ჯანსაღი გრძ-**

სეპების შენარჩუნებითა და განმტკიცებით. სწორედ ასეთი კულტურული, ლიტერატურული და მეგობრული ურთიერთობა მიაჩნდა მას ხალხთა მომავალი ურთიერთდამოკიდებულების საფუძვლად. ქართველი, რუსი და სომები ხალხების მაგალითზე იგი წერდა:

„ძმობა ქართველებსა და სომხებს შორის და უმჭიდროესი ერთიანობა რუსეთთან — აი, ორკეცი დევიზი, რომელიც მოისმის ხალხის ცხოვრების სიღრმიდან და რომლისადმი მტკიცე ერთგულება, გონებრივი, ზნეობრივი და მატერიალური წარმატების პირობებში ჩვენს განაპირა მხარეს გადააქცევს ერთ-ერთ მაღლიან კუთხედ და ბრნყინვალე მომავალს შეუქმნის მას“.

აქ ძირითადად გადმოცემულია ხალხთა ურთიერთობის ი. გოგებაშვილის უდევება. იმ დროს ეს იყო მტკიცებული საკითხის ყველაზე სწორი, რეალური, ობიექტური და ჰუმანური გადაჭრა. ი. გოგებაშვილი ამ საზომით უდევებოდა ყველა ერისა და ეროვნებისადმი ქართველი ხალხის მიმართებას, მათი ეროვნული პოზიციების გარკვევას.

ი. გოგებაშვილი მთელ რიგ სტატიებში საგანგებოდ ეხება აფხაზი ხალხის ცხოვრებას, მის მინანყალს, ენას, კულტურას, სახალხო განათლებას, ისტორიას, აფხაზებისა და ქართველების ურთიერთდამოკიდებულების კულტურულ და ტრადიციულ საფუძვლებს.

ი. გოგებაშვილი აფხაზების შესახებ ყოველთვის ლაპარაკობდა გულისხმიერად, დიდი ყურადღებით, პატივისცემით, გულწრფელად, თანაგრძნობით ეპყრობოდა აფხაზი კაცის გასაჭირსა და სიხარულს. როდესაც რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს აფხაზ ხალხს დიდი ეროვნული უბედურება დაატყდა თავს მაჰაჯირობის სახით, ი. გოგებაშვილი გულისტკივილით წერდა:

„ახლანდელმა ომმა, სხვა მრავალ შედეგებთან ერთად, გამოიწვია ის შედეგიც, რომ ჩვენი

ქვეყნის საუკეთესო კუთხე მოულოდნელად გაუდაბურდა, ვინაიდან ის მიატოვა თითქმის ყველა მისმა მკვიდრმა მცხოვრებმა. ჩვენ ვლაპარაკობთ აფხაზეთისა და მისი მცხოვრებლების შესახებ, რომელებმაც დატოვეს თავიანთი სამშობლო და გადასახლდნენ თურქეთში“.

ი. გოგებაშვილი გულწრფელად დიდ ეჭვებს გამოთქვამდა, რომ ეს გადასახლება არ ყოფილიყო საბედისწინერო, სამუდამო.

ამ ვრცელ სტატიაში ავტორი სასტიკი წინააღმდეგობას უწევდა ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა მთლიანად კავკასიის და, კერძოდ, ადგილობრივ მკვიდრთა-გან დაცარიელებული აფხაზეთის კოლონიზაციას, აფხაზეთის თავისუფალ მინებზე მხოლოდ უცხო ტომების ჩასახლებას. იაკობი მოითხოვდა, რომ კავკასიი ყოფილიყო კავკასიელი ხალხებისათვის და არავითარ შემთხვევაში ძალმომრება მის მიმართ არ გამოეყენებინათ. მართალია, როგორც მიუთითებს ი. გოგებაშვილის თხზულებათა ათგომეულის სარედაქციო კოლეგია, „გოგებაშვილი ამ სტატიაში გადაჭარბებულად აფასებს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების ფაქტორის მნიშვნელობას და ზოგჯერ მცდარ დასკვნამდე მიდის“, მაგრამ მისი შეცდომა გულწრფელი, უანგარო იყო. იგი გამომდინარეობდა იმ წრმუნებითა, რომ მეტის მთავრობის მოხელეები „დაავადებული იყვნენ რასიული განკერძოებულობის თვისებით და სხვაშიც ამ ულამაზო თვისებას ხედავდნენ“.

ი. გოგებაშვილის მთელი პედა-

გოგიური მოძღვრება ექვემდებარება იმ ცნობილ პრინციპს, რომ-

ლის მიხედვით სკოლებში ბავშვების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე. ქართველი განმანათლებელი სასტიკი

წინააღმდეგი იყო სწავლების „მუნჯური“ მეთოდისა, რომლის

წარმომადგენლები ბავშვებს გაუ-

გებარ სიტყვებსა და მოვლენებს

გაუგებარი სიტყვებით ან სიტუა-

ციის მიმართ, მუნჯურად უხ-

სნიდნენ. ეს იყო სასწავლო პროცესის აშკარა დამახინჯება. არარუსი ხალხების ეროვნული მეობის აბუჩად აგდება. ამის გამო ი. გოგებაშვილი აღმოჩენილი წერდა:

„ყველა ევროპელ პედაგოგთა შორის ყველაზე უფრო დიდი ახირებულობით გამოირჩეოდნენ ავსტრიელი პედაგოგები, მაგრამ ისინიც კი არ მისულან არასოდეს ისეთ უაზრობამდე, რომ სახალხო მასავლებელმა შეიძლება არ იცოდეს იმ მოსახლეობის ენა, რომელსაც ეკუთვნის სკოლა. თურქი პედაგოგებიც კი საჭიროდ თვლიან სახალხო სკოლებში აუცილებლად ისეთი მასავლებლები ჰყავდეთ, რომლებმაც კარგად იციან ბავშვების მშობლიური ენა“.

ამ წერილში ი. გოგებაშვილი იცავს ქართველების, აფხაზების, სომხების, თათრების სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას.

ი. გოგებაშვილი, ეკამათებოდა რა ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორ ზახაროვს, რომელიც სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო ორკლასიან სასწავლებელში ქართული ენის სწავლებას ქართველი ბავშვებისათვის სრულებით უარყოფდა, მიმართავდა აფხაზეთის მაგალითსაც, სადაც ასევე იდევნებოდა აფხაზური ენაზე სკოლებიდან. ამ ფაქტით აღმოჩენილი იყო იგი. მას თავის სტატიაში მოაქვს ვრცელი ამონანერი ოფიციალური დოკუმენტიდან, რომელშიც აღნიშნულია:

„სამასწავლებლო სკოლის უფროსი კლასის აღსაზრდელებმა პედაგოგიური საბჭოს დროს განაცხადეს, რომ ადგილობრივ ენებზე სწავლებისათვის დანიშნული ორი წერილი წერილინადი ძალიან ბევრია, ოსებმა ისიც კი თქვეს, რომ მეორე წერილინადი მათ მოუხდებათ რუსული სიტყვების დამტვრევა და იქიდან ასევე იდევნების შედგენა იმისათვის, რომ რამენაირად მოახერხონ ანარმონო ასურ ენაზე სწავლება. ხოლო აფხაზი



სრულ გაუგებრობაშია, მას ვერ ნარმოუდგენია, თუ როგორ უნდა ასწავლოს აფხაზურ ენაზე“.

ხაზგასმულმა სიტყვებმა სულის სიღრმემდე ადამიტოთა ი. გოგებაშვილი. მან ამ უხამს, შავრაზ-მულ აზრს ასეთი პასუხი გასცა:

„მკითხველს ვთხოვ ყურადღება მიაქციოს ჩვენს მიერ ხაზგასმულ უკანასკნელ ფრაზას. იგი შეიცავს ზუსტად შემდეგ აზრს: პირველდან აწყებითი, ელემენტარული სწავლების ნარმოება აფხაზურ ენაზე შეუძლებელია. არა, თუ საგანს თავის სახელს ვუწოდებთ, მაშინ მოვალე ვართ, ვთქვათ, რომ ეს აზრი უაღრესად არა კეთილსინდისიერია, ვინაიდან არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ადამიანური ენა, რომელზედაც არ მოხერხდება პირველდან აწყებითი სწავლების მოგვარება ისევე, როგორც არ შეიძლება ნარმოვიდებით ისეთი ადამიანური ენა, რომელზედაც უბრალო, ჩვეულებრივი აზრების გამოთქმა არ შეიძლებოდეს...“

დირექტორი აფხაზური სკოლები გამოიყენა დასაყრდენ პუნქტად, სადაც ფეხი უნდა მოეკიდა და უნდა განვითარებულიყო სწავლების ეს ყველაზე უბადრუესი სისტემა და საიდანაც ის შემდეგ უნდა გავრცელებულიყო ყველა დანარჩენ მთიელთა სკოლაში“.

ასეთი თავგამოდებით იცავდა ი. გოგებაშვილი ეროვნულ უფლებებს ყველა ერისა და მათ შორის განსაკუთრებით აფხაზი ხალხისას, რომელიც მაშინ მეტად მძიმე პირობები იმყოფებოდა.

ი. გოგებაშვილი XIX ს. ქართული აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი პირველი მოღვაწეა, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა რუსული ენისა და ლიტერატურის შესწავლის აუცილებლობას. იგი ის თავკაცია, რომელსაც ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის მხარდამხარ ჩინებულად ესმოდა დიდი რუსი ხალხის, მონინავე რუსული აზროვნების განმანათლებლური მისია კავკასიელ ხალხთა მიმართ, მაგრამ ნაციონალურ სკოლებში სწავლების ენად იაკობი სამართ-

ლიანად მიიჩნევდა მშობლიურს. რუსული ენა მას მეორე მშობლიურ ენად ჰქონდა აღიარებული. ი. გოგებაშვილი ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის დაუღალავი მქადაგებელი იყო. ერის ეს სასახელო შვილი აი რას ნერდა:

„ქართველი, მაგალითად, რომელსაც შეიძლება არც კი ესმოდეს არც რუსული სიტყვა და, რომელსაც უყვარს თავისი ეროვნება და თავისი დედაენა, რომლებიც მან ათასწლოვან ბრძოლებში გადაარჩინა და დაიცვა მილიონობით მტრებისაგან, დიდი ხანია რუსეთს თვლის თავის სამშობლებდა და რუსი ერის თავისებურებათა და თვისებათა პატივისცემასა და სიყვარულში ნამდვილ მოსკოველს არ ჩამორჩინა“.

ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრებისა და ეროვნული კონცეფციის საფუძველი, ამოსავალი არის დედა-ენა, რომელიც მას, ისე როგორც ყველა პროგრესულ მოღვაწეს, მაინდა ეროვნების ბურჯად. დედა-ენას მონცვეტილი პიროვნება და საზოგადოება განწირებისა და დასაღუპავად.

„დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, — მიუთითებდა იგი, — რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონიერისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“.

როდესაც ბავშვს ამ უფლებას ართმევენ, მის სულს ამასინჯებენ. ასეთი იყო დიდი პედაგოგის დასკვნა.

ი. გოგებაშვილი ამ მხრივ მოითხოვდა ყველა ერისა და ეროვნების უფლების დაცვას როგორც სკოლაში, ისე სახელმწიფო მმართველობაში. იგი ორგანულად ვერ იტანდა ეროვნულ ქედმაღლობასა და ვინრო ნაჭუჭში მოქცეულ პატრიოტობას, რომელსაც უწოდებდა „ლობიოს პატრიოტობას“. იგი ასეთ გამოვლინებებს სასტიკად ებრძოდა. თვით ფართო ბუნების

მოღვაწე, სხვებისაგან მოითხოვდა დიდსულოვნებასა და კეთილშობილებას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი შეეხებოდა ერთა უფლებების გარკვევას. ეს ყოველი პატიოსანი ადამიანის წმიდათანმიდა მოვალეობად მიაჩნდა.

ი. გოგებაშვილმა სასტიკად ამხილა ზოგიერთი ქართველი და აფხაზი უგუნური კაცუნა, რომლებიც ნაციონალიზმის ბანგით გაბრუებულნი იყვნენ და ისტორიულ ძმებს — აფხაზებსა და ქართველებს შორის მეგობრობის განმტკიცების ქადაგების ნაცვლად თესავდნენ უნდობლობას, შურს. ეს გარემოება მას მეტად საზიანოდ მაიჩნდა ორივე ერისათვის. სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლებში ი. გოგებაშვილი სახალხოდ ამბობდა:

„გაზეთების ზოგი ეკრესპონდენტი მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო ნიგნების თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას. ეს მეტისმეტად მაოცებს. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ ხომ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე. როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე...“

უსამღვდელოესი კირიონი დიდად თანაუგრძნობდა აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას. მან მოითხოვა კიდეც, მონაწილეობა მიეღო აფხაზური ენის ნაციონალური სახელმძღვანელოს შედგენაში. ამ მიმართულებით უნდა იმოქმედონ სოხუმელმა ქართველებმა და ყოველნაირად დაეხმარონ აფხაზებს ამ კულტურულ ნამწყებაში“.



ეს სტატია გამოქვეყნდა 1907 წლის გაზეთ „ზაკავკაზიურში“. როგორც მოტანილი სიტყვებიდან ჩანს, ი. გოგებაშვილი სრულიად ჯანსაღად, აბსოლუტურად სწორი პოზიციებიდან უყურებდა ისტორიული ძმების ურთიერთობის საკითხს.

სწორედ სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლებში, როდესაც მეფის მთავრობამ დაუნდობლად შეუტია დემოკრატიულ ძალებს და სამკუდრო-სასიცოცხლოდ გადაჰქიდა ერთმანეთს საერთო ისტორიითა და თანაცხოვრებით დაკავშირებული კავკასიელი ხალხები, ი. გოგებაშვილმა ხმა აიმაღლა დაჩაგრული ერების, კერძოდ, აფხაზების უფლებების დასაცავად, მოუნიდა უგუნურ ადამიანებს, გონის მოსულიყვნენ და საღად შეეფასებინათ არსებული სიტუაცია. დიდ ქართველ პედაგოგს მშვენივრად ესმოდა აფხაზი ხალხის გულის სატკივარი და საფუძვლები იმაღლოთებისა, რომელსაც ზოგიერთი ინტელიგენტი გამოხატავდა. საკითხი შეეხებოდა აფხაზურ ენას, მის დევნას და ამ ენაზე დამნერლობის დაარსებას. აფხაზთათვის ეს იყო სისხლხორცეული ეროვნული საკითხი, რომლის დადებითად გადაწყვეტა მაცოცხლებელ წყაროდ მოევლინებოდა განანამებ ერს.

ი. გოგებაშვილმა აქაც გადამწყვეტი სიტყვა თქვა. მან მოუწოდა ქართველ მოღვაწეებს, ქართველ ინტელიგენციას, რომ დახმარებოდნენ მოძმე აფხაზებს ეროვნული კულტურის აღმოჩენებასა და განვითარებაში, რაც პირველ რიგში უნდა გამოხატულიყო ეროვნული აფხაზური დამწერლობის შექმნაში, ხელი შეეწყოთ აფხაზური სახელმძღვანელოების შედგენაში. ეს იყო არა მარტო რჩევა-დარიგება, არამედ ძმური დახმარება, ეს იყო აზრი, რეალობად ქცეული.

სხვათა შორის, როგორც ი. გოგებაშვილი, ისე ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები ამ საქმეში ადანაშაულებდნენ არა მარტო ქართველებს, რომლებმაც ჯეროვანი დახმარება ვერ აღმოუჩინეს

თანამოძმეულს, არამედ თვით აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც, იმ აფხაზ ახალგაზრდობას, რომელსაც მიღებული ჰქონდა აკადემიური განათლება, მაგრამ ერთგვარ ინდიფერენტიზმს იჩინდა ამ საკითხისადმი.

ი. გოგებაშვილმა მეორე სტატიაში სათაურით „პოლიტიკანობა აფხაზეთში“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „წყაროში“ 1907 წელს, იმასაც მიაცეია ყურადღება, რომ ამ ორი ერის შვილების ზოგიერთი წარმომადგენელი ზოგჯერ სწორად ვერ განსაზღვრავდა ხალხთა ურთიერთობის რთულ საკითხებს და ცდილობდა სუბიექტურად გადაეჭრა დიდი ეროვნული პრობლემები, რასაც, რასაკვირველია, სარგებლობის მოტანა არ შეეძლო. სტატიაში ვკითხულობთ:

„ამჟამად აფხაზებს ორი მოტრფიიალე ჰყავს, ერთი ცდილობენ სრულიად დააშორონ იგინი საქართველოს, გაიმარტოვონ და გადიდირონ თავისიკენ. მეორენი მონატრულნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან“. ავტორი ამის შემდეგ აფხაზურ-ქართული ურთიერთობის ერთგვარ ისტორიულ ექსკურსს მიმართავს და აფხაზებს:

„თუ შეგნებული აფხაზები დაახლოებით გაიცნობენ თავისი სამშობლოს წარსულს, ცხადად დარნმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში სტკებოდა კეთილდღეობით და კაისახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად, სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით, მეტსაც შეიტყობენ. მაშინ აფხაზეთი სათავეში ედგა მთელ დასავლეთ საქართველოსა, რომელსაც აფხაზების სახელმწიფო ერქვა. მაგრამ, როცა ისტორიის უკულმართმა ტრიალმა იგი მოსწყვიტა საქართველოს და გაამარტოვა; აფხაზები უკან-უკან წავიდნენ, დაეცნენ, რიცხვით მეტად შემცირდნენ... მტკიცე კავშირი კი მეგრელებთან და სხვა ქართველებთან წელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრებს, ძალას და

ლონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღავსებს.

პირადად ჩვენ მზად ვართ, ყოველი დახმარება აღმოვუჩინოთ შეძლებისდაგვარად ტრადიციულის ძმობის და ერთობის მოციქულებს მეტადრე ახალის მნიშვნელობის შექმნასა და გამოცემაში“.

ასე აღელვებით წერდა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობაზე ქართული აზროვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი.

ი. გოგებაშვილს მთკიცებად სჯერდა და ეს იყო პროგრესული ინტელიგენციის აზრიც, რომ მსოლოდ ურთიერთა ასაკი შეიძლო. სტატიაში ვკითხულობთ:

„ამჟამად აფხაზებს ორი მოტრფიიალე ჰყავს, ერთი ცდილობენ სრულიად დააშორონ იგინი საქართველოს, გაიმარტოვონ და გადიდირონ თავისიკენ. მეორენი მონატრულნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან“. ავტორი ამის შემდეგ აფხაზურ-ქართული ურთიერთობის ერთგვარ ისტორიულ ექსკურსს მიმართავს და აფხაზებს:

„თუ შეგნებული აფხაზები დაახლოებით გაიცნობენ თავისი სამშობლოს წარსულს, ცხადად დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში სტკებოდა კეთილდღეობით და კაისახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად, სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით, მეტსაც შეიტყობენ. მაშინ აფხაზეთი სათავეში ედგა მთელ დასავლეთ საქართველოსა, რომელსაც აფხაზების სახელმწიფო ერქვა. მაგრამ, როცა ისტორიის უკულმართმა ტრიალმა იგი მოსწყვიტა საქართველოს და გაამარტოვა; აფხაზები უკან-უკან წავიდნენ, დაეცნენ, რიცხვით მეტად შემცირდნენ... მტკიცე კავშირი კი მეგრელებთან და სხვა ქართველებთან წელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრებს, ძალას და

„ჩვენ, ქართველებს, — წერდა იგი, — მხურვალედ გესურს როგორც ჩვენი სალვის სახურონის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება და გამდიდრება, მოვალენი ვართ იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებებისათვისაც, მათ შორის აფხაზებისთვისაც“.

ეს იყო აზრი, მრნამსი არა მარტო გოგებაშვილისა, არამედ XIX სუკუნის მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციისა, ქართველი მშრომელი ხალხისა.

ნაკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობებიდან, გამოცემლობა „აღაშარა“, სოხუმი, 1983 წ.

# XIX საუკუნის აფხაზი საზოგადო მონაცემები და მცხოვრები და საქართველო

## გრიგოლ გარვაშვილი

გასული საუკუნის აფხაზ მოლვანეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ ალექსანდრეს (ალი-ბეგის) ძე შარვაშიძეს (ჩაჩბას). იგი ბევრის მომსწრე და მნახველი იყო. მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ მის თვალინ ჩაიარა.

თვითონ იყო უშუალო მონაწილე იმ რთული და საბედისნერო ცხოვრებისა, რომელიც თავს გადახდა აფხაზ ხალხს XIX საუკუნის მანძილზე.

გრიგოლი აფხაზეთის მთავართა შთამომავალი იყო. მამამისი ალექსანდრე (ალი-ბეგი) დიდი ავტორიტეტით და გავლენით სარგებლობდა აფხაზეთში; იყო აბუუს (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი) მფლობელი.

დედა კესარია, სამეგრელოს კანონმდებლის — დიდი ნიკო დადიანის ასული — სამეგრელოს მთავართა საგვარეულო შტოს წარმომადგენელი, ყოფილა ფრიად განათლებული, კეთილი, დარბაისელი ადამიანი. ქმრის სიკვდილის შემდეგ იგი პირადად განაგებდა აბუუსის ოლქს და აფხაზი ხალხის დიდი სიყვარული მოუპოვებია.

კესარია პოეტ გ. შარვაშიძის აღმზრდელი იყო. გ. შარვაშიძის დედა ალექსანდრა კესარიას ძმის — გიორგი დადიანის ასული იყო. ამდენად, კესარია დადიანი-შარვაშიძე იყო პოეტ გ. შარვაშიძის დედის ალალი მამიდა. კესარიასა და ეკატერინე ცნობილი პოეტის — მამია გურიელის დედა იყო. კესარიას მეორე და კი იყო დედა ცნობილი კონსტანტინე დადეშელიანისა, რომელმაც ხანჯლით განგმირა ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი აბურჩად აგდებით.



სოხუმის თავი გრიგოლ შერვაშიძე ნათესავებთან, გრიგოლ დადიანი, ვარლამ ანჩაბაძე და სხვ.

მაშასადამე, მამია გურიელი, გრიგოლ შარვაშიძე და კონსტანტინე დადეშელიანი ალალი დეიდაშვილები იყვნენ, ხოლო მათთვის პოეტი გ. შარვაშიძე ბიძაშვილის შვილი იყო დედის მხრით.

გრიგოლ შარვაშიძეს სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული. სამხედრო სამსახური დაუწყია 20 წლის ასაკიდან, ე. ი. 1828 წლიდან და ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არაერთი და ორი საომარი იპერაციის მონაწილე ყოფილა. მას არაერთგზის უსახელოდ თავი განსაკუთრებით თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში უსახელებია. მისი დამსახურების შესახებ გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „ზოყოუგმენი ეგრ (ე. ი. გრ. შარვაშიძისა, — ი. ჭ.) ქძომ ნერჯენმსაძ ლოჭ პუყყურგრ რპუდმჭ“.

გრიგოლს განსაკუთრებით გამოუჩინა თავი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ამ

ომში მიღწეული წარმატებისთვის (მას 12 შეტაკებაში მიუღია მონაწილეობა) იგი დაუჯილდოებიათ წმინდა ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენით.

გ. შარვაშიძე მეტად განათლებული, ცხოვრებაში ღრმად ჩახედული პროგრესული მოლვანე იყო. ესმოდა მშობლიური ხალხის გულისტკივილი, ხედავდა მისი ჩამორჩენის, სიბნელის მიზეზებსაც, ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდა, თანამემამულებში განათლება და კულტურა შეეტანა, სკოლები დაეარსებინა, იგი სწავლა-განათლებაში ხედავდა პროგრესის რეალურ საფუძველს.

გრ. შარვაშიძემ მონაწილეობა მიიღო 1865 წელს თბილისში გამოცემული აფხაზური ანბანის შედგენაშიც. მან ცნობილ საზოგადო მოლვანე კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძესთან ერთად საყურადღებო შენიშვნები შეიტა-



ნა აფხაზური ანბანის შემდგენი კომისიის მუშაობაში.

გრიგოლი განსწავლული კაცი ყოფილა. სცოდნია აფხაზური, ქართული, რუსული, მეგრული, თურქული ენები. მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი (მან სიკვდილის შემდეგ დატოვა 40 შთამომავალი) მუდამ ხალხის სამსახურში იდგა. მეუღლე აღათი დადიანი შარვაშიძე საქვეყნოდ ცნობილი ქველმოქმედი ბოლვაშე გახლდათ, რომლის თაოსნობით ხშირად იმართებოდა სცენისმოყვარეთა საქველმოქმედო წარმოდგენები აფხაზეთში. ეს ოჯახი სანიმუშოდ ითვლებოდა მთელ საქართველოში.

გრ. შარვაშიძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქართველ მოწინავე მოღვაწებთან: დიმ. ყიფიანთან, ნ. ნიკოლაძესთან, რაფ. ერისთავთან, ი. ჭავჭავაძესთან, ნ. დადიანთან, მათთან მიმოწერას ანარმოებდა ქართულ და რუსულ ენებზე. ქართული ენა მისთვის მეორე მშობლიურ ენას, დედის ენას წარმოადგენდა. იგი ამავე დროს ქართულ კულტურულ სამყაროსთან მისი ურთიერთობის საშუალება იყო.

გრიგოლს განსაკუთრებით თბილი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დიმ. ყიფიანთან. როგორც ცნობილია, სამსახურებრივი მდგომარეობით დიმ. ყიფიანი დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოსთან, კერძოდ, აფხაზეთთან. კავკასიის მმართველობის მიერ იგი მივლინებული იყო აფხაზეთში 60-იანი წლების დასაწყისში ცარიზმის პოლიტიკით აფხაზი ხალხის უკმაყოფილების მიზეზების დასადგენად და ამ საქმეში მთავრის — მიხეილ შარვაშიძის მონაწილეობის გასარკვევად.

დიმ. ყიფიანი აფხაზეთის უსულებელ სტუმარი როდი იყო. მას აინტერესებდა მოძმე აფხაზი ხალხის ბედი, მისი წარსული და თანამედროვე ცხოვრება, სულიერი და მატერიალური კულტურა. იწერდა ხალხში არსებულ ლეგენდებს, თქმულებებს, თვალყურს ადევნებდა ინტელექტუალურ ცხოვრებას. აფხაზთა შორის დი-

## XX საუკუნის დასაცისი, აფხაზი და მეზრები თავაღები



მიტრის ჰყავდა ბევრი გულითადი მეგობარი, რომლებთანაც ჰქონდა ტებილი ურთიერთობა, ხშირი მიმოწერა. ეს მასალები დაცულია დიმ. ყიფიანის არქივში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კერელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. აფხაზეთში დიმ. ყიფიანის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა აღნერილი აქვს ცნობილ ისტორიკოს ს. ესაძეს.

დიმ. ყიფიანის აფხაზ მეგობართა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ კონსტანტინე და გრიგოლ შარვაშიძები. პირველი იყო აფხაზეთის მთავრის — მიხეილის ძმა. დიმიტრი და კონსტანტინე ერთად მონაწილეობდნენ მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ 1832 წლის შეთქმულებაში. მათ ერთად იგემეს თავისუფლებისთვის მებრძოლთა სიტკოცა და სუსხიც. შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე ერთმანეთი არასოდეს დაუკარგავთ.

გრ. შარვაშიძესთან დიმ. ყიფიანს აკავშირებდა ასევე გულთბილი და უანგარო მეგობრული გრძნობა, ხუთი ათეული წლის ხალხასი ურთიერთობით წანრთობი. ქართველი და აფხაზი ხალხების საუკეთესო შვილების ასეთი ურთიერთდამოკიდებულება კარგად ჩანს იმ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, რომელიც ისტორიის ქარტებილებს შემორჩა დიმ. ყიფიანისა და გრ. შარვაშიძის მიმოწერის სახით.

დიმ. ყიფიანი თავის მეგობარ გრ. შარვაშიძეს 1884 წელს სწერდა:

„შენ აღმიღებინე ისევე ის იმედი, შენ გამიცხოველე და გულდამშვიდებული ვარ, რომ ისევ შენი ძველი მეგობრობა, 47 წლის მეგობრობა, გამიმართავს ხელს და დიდის განსაცდელისაგან გამომიყვანს.“

ხორციელი კაცი არ იპოება ქვეყნად, რომ იმედი მქონიყოს იმისი, როგორც შენი მაქვს.

შენი უერთვულესი და ძველი მეგობარი დიმიტრი“.

დიმ. ყიფიანს აფხაზეთში ყოფნის დროს 1862 წელს ჩაუწერია ერთი მეტად საყურადღებო ამბავი აფხაზთა ცხოვრებიდან, რომლის დაახლოებით ანალოგიური ფაბულა გამოყენებული აქვს აფხაზ მწერალს მიხ. ლაკერბაიას თავისი პიესის „დანაყასის“ საფუძვლად. ეს არის „თავად ანჩაბაძისა და თავად ინალ-იფას ქალის ამბავი“.

გრ. შარვაშიძეს მეტად ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ნ. ნიკოლაძესთანაც. მათი მიმოწერიდან ჩანს, რომ ისინი ერთმანეთთან „გაშინაურებულები“ იყვნენ და ჰქონდათ ტრადიციული ძმობამეგობრობა და საქმიანი დამოკიდებულება. წერილების უმეტესობა შეეხება გრ. შარვაშიძისა და მისი შვილის — ივანეს მამულებს, რომლებიც გაჭიმული იყო კოდორიდან ღალიძეგამდე. აქ გრიგოლს ჰქონდა 3.000 დესეტინა მამული ძვირფასი ტყით (მუხა, ბზა, წაბლი, წიფელი), რომელიც შეფასებული იყო 600.000 მანეთად.



ამ მამულების რეალიზაციისა და სოხუმი-ახალი სენაკის რეინიგზის გაყვანის საქმეში (ამ გეგმის განხორციელებაზე ბევრს ფიქრობდა გრიგოლი. განსაკუთრებით აინტერესებდა რეინიგზის გაყვანა თავისი ქვეყნის კულტურული აღორძინების მიზნით) იგი დახმარებას თხოვდა ნ. ნიკოლაძეს, როგორც გამოცდილ ადამიანსა და მეგობარს.

გრ. შარვაშიძე წერდა გამართული ქართულით. მაგალითად, ერთ-ერთ წერილში იგი ნ. ნიკოლაძეს მიმართავდა:

„საყვარელო ნიკოლაი იაკობიჩ, გუშინდელ გაზეთში წავიკითხე, რომ ქუთაისის ბანკის საქმისთვის აგზავნიან კომისიას აქედამდა, თუ შეიძლება, ერთი სვიმონ მომიყვანე და მოდი და მოვილაპარაკოთ. გაზეთს გიგზავნი.

#### კნ. გრიგოლ შარვაშიძე“.

მეორე წერილში იგი ქართველ მეგობარს სწერდა:

„უძირფასესო ნიკოლაი იაკობის ძევ, პირადად გიძლვნი ჩემს უგულითადეს მოკითხვასა და პატივისცემას და გისურვებ ყოველსა კარგსა და კეთილსა და სიმართლესა. იმედი მაქვს, ჩვენცა გვიკითხავ, ვართ სიმრთელით...“ მერე მოსდევს საქმიანი საუბარი.

მკითხველი უთუოდ იგრძნობს ამ წერილების სიტყვებში დიდ სითბოსა და მეგობრულ გრძნობას, კდემამოსილ დამოკიდებულებას აფხაზი და ქართველი ხალხების საუკეთესო შვილებს შორის. სამწუხაროდ, ნ. ნიკოლაძის პასუხები დაკარგულია.

გრ. შარვაშიძე ეწეოდა მეტად სასარგებლო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. პირველ რიგში, ეს გამოიხატებოდა სახალხო განათლების პროპაგანდაში, აფხაზი მოღვაწის საქმიან კავშირში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, რომლის მეშვეობით იგი ცდილობდა თავის სამშობლოში სკოლების ქსელის გაფართოებასა და ახალი თაობის აღზრდის სწორ ორგანიზაციას. ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას უთმობდა ქართული პრეს.

სოხუმი, სანააირო



გრ. შარვაშიძის თაოსნობით, 1880 წელს მაშინ დაბა ოჩამჩირეში მოუნვევიათ აფხაზეთისა და სამურზაყანოს (მაშინ არსებობდა ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა. დღევანდელ გალის რაიონს ეწოდებოდა სამურზაყანო და ითვლებოდა (პალკე ადმინისტრაციულ ერთეულად) „კეთილშობილთა თათბირი ქურდობის მოსპობის თაობაზე მოსალაპარაკებლად“, სადაც მრავალი წინადადება ყოფილა წამოჭრილი მოსაგვარებლად. მათ შორის ყველაზე მტკიცნეული საკითხი აღუძრავს თვით გრ. შარვაშიძეს. თუ რა შინაარსისა იყო იგი, ამის შესახებ მოგვითხრობს გაზეთი „დროება“:

„ამ ყრილობაზე ღენ. თ. გრიგოლ შარვაშიძეს მიუცია დამსწრეთათვის წინადადება, რომ, რადგან უმთავრესი მიზეზი ქურდობისა არის უმეცრება და ურიგოდ გაგებული თავმოყვარეობა; რადგან სკოლა და სწავლა დაგიხსნით თქვენ ამ ნაკლოვანებათაგან, ამის გამო გირჩევთ, რომ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრად ჩაენეროთო“.

ეს აზრი დამსწრე საზოგადოებას მოსწონებია და მიუღია კიდეც. ბევრს გამოუთქვამს წერა-კითხვის საზოგადოების წევრობის სურვილი. განათლებული და გავლენიანი მოღვაწის წინადადებას თავისი დადებითი შედეგი მოუტანია. „დროების“ მომდევნო წლის ერთ-ერთ ნომერში არის ვრცელი ინფორმაცია იმის შესა-

ხებ, რომ გრ. შარვაშიძეს მარტო ლიტონი განცხადება როდი გაუკეთებია, არამედ მიჰყოლია საქმეს და მისი წყალობით ბევრი თანამემამულე გამხდარა ი. ჭავჭავაძისა და დიმ. ყიფანის მიერ 1879 წელს დაარსებული წერა-კითხვის საზოგადოების წევრი. ინფორმაციაში მითითებულია:

„ჩვენ გვაცნობეს, რომ გენერალ-მაიორის, თავ. გრ. ა. შარვაშიძის თაოსნობით, აფხაზეთის საზოგადოებას განუცხადებია სურვილი, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ იკისროს აფხაზეთში სკოლების გამართვა და ბევრ თავად-აზნაურთ გამოუცხადებიათ კიდეც სურვილი საზოგადოების წევრათ შესვლისა. ჯერ დროებით საზოგადოებას მოსვლია ოცდაექვსი კაცისაგან საწევრო ფული და განცხადება წევრად მიღებაზე. უმეტესი ნაწილი ამათგანი არიან შარვაშიძეები, მარშანიები, ანჩაბაძეები და ემუხვარები“. იმ განცხადებაში, რომელიც შემოუტანიათ საზოგადოების მმართველობაში, ისინი ითხოვენ, რომ „სკოლებში პირველდაწყებითი სწავლა უეჭველად ქართულ ენაზე იყოსო, რადგანაც ძველის დროიდამ ეს ენა არისო წევრობის სამოქალაქო და საეკლესიო ენაო“.

უფრო გვიან, 90-იანი წლებიდან, აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენცია მოითხოვდა აფხაზური სოფლების სკოლებში აფხაზურ ენაზე და ქართულ მოსახლეობის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების



შემოღებას. ამასთან, ეს ინტელიგენცია სასტიკად იპრძოდა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც უგულებელყოფნენ მშობლიური ენის როლსა და მნიშვნელობას ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

გრიგოლ ალექსანდრეს ძე შერვაშიძე გარდაიცვალა 1898 წელს, დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ ათარაში, მამა-პაპათა საძვალეში.

...1916 წელს გაზ. „საქართველოს“ მასის ნომერში გამოქვეყნდა „მცირედი განმარტება აფხაზთა მოთხოვნილების შესახებ“, რომელსაც ხელს აჩერდნენ მელიტონ ემუსვარიდა პეტრე ანჩაბაძე. „განმარტებაში“ აფხაზი ხალხის სახელით შემდეგი არის აღნიშნული:

„ჩვენი სურვილია, შევინახოთ ენა და განსაკუთრებული თვისება... ჩვენი თვითარებობის წინააღმდეგ ბევრნაირი ხიფათია, მაგრამ ყოველივე საშუალებით ვიბრძვით არსებობისათვის...“

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებული მოძმე ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვინყობენ, შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურება. ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველებთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქებით“.

აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენციას წარმოდგენილი არ ჰქონდა ამ ორი ხალხის ცხოვრება უერთმანისთოდ.

აფხაზი და ქართველი ხალხების ამ ურთულეს საკითხს ფართოდ გამოეხმაურა უურნალი „თეატრი და ცხოვრება“. მან მისცა ვრცელი ინფორმაცია, უფრო ზუსტად და კონკრეტული მოთხოვნების დასახელებით, ვიდრე გაზეთმა „საქართველომ“. ამასთან მოათავსა დეპუტაციის მონაწილე ზოგიერთ პირთა ჯგუფური ფოტოსურათი. რაც შეეხება დეპუტაციის მოთხოვნას, იგი უურნალის რედაქციის მიერ ასე არის ჩამოყალიბებული:

1. „მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება აქამდე მივიწყებულს სოხუმის ოლქს, 2. გაიხს-

ნას აქ რაც შეიძლება მეტი სკოლები, უმთავრესად პრაქტიკულ ხასიათისა, 3. გაყვანილ იქნას ახალი გზები და შესწორებული ძველი, 4. სნავლა სკოლებში სწარმოებდეს მშობლიურ ენაზე (ქართულსა და აფხაზურზე), 5. სოხუმის ოლქი გამოყოფილ იქნას ცალკე გუბერნიად და არას გზით არ იქნეს შეერთებულ-მინერილი სხვა უცხო გუბერნიასთან (მაგ. შავი ზღვის), 6. თუ შეუძლებელი იქნება ცალკე გუბერნიად სოხუმის ოლქის გარდაქმნა და იგი რომელიმე გუბერნიას უნდა შეუერთდეს, იმ შემთხვევაში სოხუმის ოლქი შეერთებულ უნდა იქნეს ქუთაისის გუბერნიასთან, 7. სოხუმის ეპარქია, რადგან ის მთელი თავისი წარსულით და ანმყოთი შესისხლსორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არას გზით არ უნდა იქნეს გამოყოფილი საქართველოს საეგზარქოსოსაგან“.

უურნალის ცნობით, მეფისინაცვალს მიუღია ეს დეპუტაცია, ყურადღებით მოუსმენია და აღუთევამ დახმარება. დეპუტაცია წარმდგარა, აგრეთვე, საქართველოს ეგზარქოს არქიეპისკოპოს პლატონის წინაშე და ისიც დაპირებია მხარდაჭერას.

ამავე ნომერში არის დაბეჭდილი სურათი ხუთი კაცისა. ოთხი ზის და ერთი ახალგაზრდა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ფეხზე დგას. სურათს აქვს ასეთი წარწერა: 1. თ. მ.კ. შარვაშიძე, 2. თ. ა.გ. შარვაშიძე, 3. თ. მელიტონ ემუსვარი, 4. თ. ასტამურ ინალიფა. ამას დართული აქვს რედაქციის ასეთი შენიშვნა:

„აქ ჩამოთვლილ პირთა გარდა დეპუტაციაში იყვნენ: თავ. პეტრე ანჩაბაძე და გლეხების წარმომადგენლები: ბ. ბ. ეზუგბაია და ანტონ ჩუებარი“. ასე გვინდიდა მომდევნობის მოწინავე ინტელიგენციას წარმოდგენილი არ ჰქონდა ამ ორი ხალხის ცხოვრება უერთმანისთოდ.

უურნალის მომდევნობის მოწინავე ინტელიგენციას წარმოდგენილი არ ჰქონდა ამ ორი ხალხის ცხოვრება უერთმანისთოდ. რაც შეეხება დეპუტაციის მოთხოვნას, იგი უურნალის რედაქციის მიერ ასე არის ჩამოყალიბებული:

1. „მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება აქამდე მივიწყებულს სოხუმის ოლქს, 2. გაიხს-

ტელიგენციის დამოკიდებულება მოძმე აფხაზი ხალხისადმი, მოგვაქვს მთლიანად:

„სამშობლო იღვიძებს, წყლულების გამოხელებას ცდილობს.

დიდი ხნიდან დაქასესულნი ძმანი ძლივს ერთი კერის ირგვლივ — დედა ქართლის გარშემო — ვიკრიბებით.

გვეყო, რაც უერთმანეთოდ, ერთი მეორისაგან გათიშულნი ვცხოვრობდით. ქარლ-კახეთი, იმერ-ამერეთი, გურია-სამეგრელო-აფხაზეთ-აჭარა-სვანეთი რომ ერთ დედ-მამის შვილნი ვართ, განა ამას მტკიცება უნდა?

შავ დროთაგან გაგარევებულნი ქართველნი მაჰმადიანი უკვე გვიპრუნდებიან.

ახლახან გაბებული ხმა ამოილო ძველი საქართველოს მშვენებამ აფხაზეთმა და თავისი წარმომადგენლის ბაგით განაცხადა: მომეცით გზა განათლებულ ცხოვრებისა და ნუ მწყვიტავთ დედა საქართველოს მკერდს, მე მისი ძუძუ მინოვნია, იგი ჩემით საზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი! — ასე იყო ძევლად, ასევე უნდა იყოს ახლაც...

ვამა და დიდება გათვითცნობიერების გზაზე შემდგარ ხალხს. სჩანს, სიბერების სავსებით არ უძლევართ, გარიშრაუ შემოგვლიმის და მომავალს გვიქადის...

სალამი ჩვენი გულის ჩამონაწყვეტი საკითხის — ჩვენს ძმებს აფხაზებს და გაუმარჯოს მათს პირველ ნაბიჯს“.

ასე გულიად, გაშლილი ხელებით შეხვდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია თავის ძმებს — აფხაზებს. ისინი გვერდში ამოუდგნენ ერთმანეთს და საერთო ძალით შეუტიეს უმეცრებასა და ძალმომრებას, მოითხოვეს ადამიანური ღირსებების, ეროვნული ენისა და უფლებების დაცვა, ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აღორძინება.

აფხაზი ხალხის ამ დიდ ეროვნულ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობდა გრიგოლ და აღათი შარვაშიძეების ღვიძლი შვილი აღექსანდრე შარვაშიძე.

**ოთარ ჭურღულია**

# სიკონ დოლიძე

უდიდეს ქართველს რეჟისორს, ქართული დოკუმენტური კინოსტუდიის დამაარსებელს, ავტორს დაუკინებარი ფილმებისა: „ფატიმა“, „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, „ჭრიჭინა“, „ჯურლაის ფარი“, „დარიკო“, „პალიასტომის ტბა“, „ქალაქი ადრე იღვიძებს“ — სიკონ დოლიძის დაბადებიდან 110 წელი, ხოლო გარდაცვალებიდან 30 წელი გავიდა.

გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორი ოზურგეთის რაიონში დაბადებულია, გიმნაზია ფოთში დაუმთავრებია, ხოლო უმაღლესი ისტორიული და უურნალისტური განათლება სახელმწიფო უნივერსიტეტში მიუღია და საკმაოდ წარმატებულად. საიცრად კეთილშობილი, გულისხმიერი, სხვისი პრობლემისა და ჭირ-ვარამის გამზიარებელი — ყველა ლირსება, რაც კი გააჩნდა, თვლიდა, რომ ოჯახის დამსახურება იყო. ასეთად აღუზრდიათ მშობლებს. მამა — ბესარიონ დოლიძე სასულიერო პირი ყოფილა, ხულომი პირველი ქართული ეკლესის წინამძღვარი, ბოლშევიკების დროს იძულებული გამხდარა მღვდლობისთვის თავი დაენებებინა და ხელი პედაგოგიური საქმიანობირთვის მოეკიდებინა. აფარა ისე შეყვარებია, რომ ოზურგეთიდან მასინჯაურში გადასახლებულა, პედაგოგი ყოფილა სიკონ დოლიძის დედაც.

თავად სიკონ დოლიძე თავის ოჯახში უხუცესივით ყოფილა, ვინც კი მისი რაიონიდან ჩამოდიოდა, სხვაგან საცხოვრებლად არ უშვებდა და თავისთან იტოვებდა. საღამოს ექვსი საათისთვის ყველა შინ უნდა ყოფილიყო და ერთად უნდა ევახშმათ, ვახშამზე გადაწყვეტილებები ერთობლივად უნდა მიეღოთ. უყვარდა აღდეომის დღესასწაული და ამ დღეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მათ ოჯახში თურმეოდითგანვე ტრადიცია ყოფილა, რომ ოთხშაბათსა და პარასკევს ხორციან კერძებს არ ამზადებდნენ და ეს ტრადიცია დღემდე შემორჩინა. უყვარდა წიგნის კითხვა, განსაკუთრებით ფოლკლორი ჰყვარე-

ბია, როდესაც სიკონ დოლიძის 100 წლისთვისადმი მიძღვნილი იუბილე გაიმართა, საღამო ფოლკლორის მიერ ნობელის პრემიის მიღების დღეს ნარმოთქმული სიტყვით დასრულდა, რადგან ბატონი სიკონ დოლიძე აღფრთოვანებული ყოფილა აღნიშნული სიტყვით. ის მეგობრობდა „ცისფერყანელებთან“, ლექსებსაც წერდა, მაგრამ მერე ხუმრობით უთქვამს, — პალლო იაშვილისნაირ ლექსებს მე ვერ დავნერ და ამიტომ თავი უნდა დავანებოო. ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონია ნატო ვაჩინაძესთან, თურმე დალუპვამდე რამდენიმე დღით ადრე ნატო ვაჩინაძესთვის უთქვამს, თვითმფრინავით ნუ მგზავრობ, მატარებლით იარეო, ოჯახში ამ ფაქტის ამსახველი ფოტოც არის შემორჩინილი, მათი ხელების მოძრაობით ნათლად ჩანს, რომ რაღაცაზე დავობენ.

სიკონ დოლიძეს თავისი მოღვანეობის პერიოდში ბევრი დაბრკოლება შეხვდა, მაგრამ არასოდეს დაუხევია უკან, არასოდეს გატეხვია გული და საკუთარ შვილებსაც ასწავლიდა, რომ წყენა არასდროს ჩაედოთ გულში. 72 წლის ასაკში, ჯერ კიდევ შრომისუნარიანი რეჟისორი იძულებული გაუხდიათ, რომ კინოსტუდიის დირექტორის თანამდებობა დაეტოვებინა, ძალიან დასწყდა გული, მაგრამ არ გაბრაზებულა და უთქვამს: „ეს თაობათა ჭიდილიაო“. ერთადერთი ის მოუთხოვია, რომ მეტყვიდრეს მე დავასახელებო და ელდარ შენგელაია დაუსახელებია.

არქივი, რომელშიც სიკონ დოლიძის პირადი ნივთები და წერილები ინახება, ძირითადად, თხოვნის წერილებს შეიცავს, ის გამუდმებით



დახმარებას სთხოვს ყველას, თან დახმარებას ითხოვს არა საკუთარი თავისთვის ან მხოლოდ მსახიობებისა და რეჟისორებისთვის, არამედ ყველასთვის, ვისი გაჭირვებაც მის ყურს მისწვდა და წერილებს აგზავნის ყველა იმ ადამიანის სახელზე, ვისაც ხელენიფება გაჭირვებულის დახმარება.

სიკონ დოლიძე დიდი ქომაგი ყოფილა ახალგაზრდა, ნიჭიერი, დამწყები რეჟისორებისა. ის დაუზარებლად ნახულობდა მათ ნამუშევრებს, გულისყურით აკვირდებოდა ყველა ნიუანსს და საჭირო, სწორ რჩევებს აძლევდა. საბჭოთა პერიოდში აკრძალული ფილმების ჩამოტანისთვის იბრძოდა, რომ ახალგაზრდებს საშუალება პქონდათ, მსოფლიო კინოს შედევრებს გასცნობოდნენ, სწორედ მისი დიდი ძალისხმევის შედეგად ქართველი ახალგაზდები ბერგმანის, ფელინისა და სხვა მსოფლიო დონის რეჟისორების შედევრებს ეზიარნენ.

მას არამარტო საქართველოში, მთელს საბჭოთა კავშირში უდიდეს პატივს სცემდნენ. ერთხელ სიკონ დოლიძეს მოსკოვში თავისი ფილმი ჩაუტანია, სწორედ ამ დროს კანჩაროვსკის რომელილაც ფილმთან დაკავშირებით მთავრობისგან პრობლემები შექმნია და ქართველ რეჟისორთან მისულა, უთხოვია, რომ თუ თქვენ

ჩვენს გვერდით დადგებით, აუცილებლად გავიმარჯვებთო. და მართლაც ასე მომხდარა.

ბატონი სიკო საოცრად გულჩვილი ადამიანი ყოფილა. ტარკოვსის ფინანსური კრიზისის შესახებ რომ გაუგია, ძალიან უნერვიულია, მერე დიდხანს უფიქრია, თუ რითი შეძლებდა მის დახმარებას და მოუფიქრებია ასეთი რამ: ტარკოვსკი კინოს პროპაგანდის ხაზით საქართველოში ჩამოუყვანია, რათა მისი ფილმების ჩვენება გაემართა და ამით ცოტა ფული გაეკეთებინა. ყველა მისი ასეთი საქციელი კი მხოლოდ და მხოლოდ მისი კეთილშობილებიდან გამომდინარე იყო და არა პოპულისტური.

კადრი ფილმიდან „ფრიზინა“



## სტალინის აღიარება

ბრწყინვალე ქართველ რეჟისორს დაბრკოლებებიც ჰქონდა და უდიდესი წარმატებებიც. საინტერესო ისტორიაა ფილმ „ჯურლაის ფართან დაკავშირებით“. ფილმზე მუშაობა 1944 წელს დასრულებულა, მაგრამ მაშინვე აკრძალულა მისი ჩვენება. წლები გადიოდა და უნიკალური, საოცრად პატრიოტული ქართული ფილმი, რომელშიც ქართველი ხელოვანების მთელი თანავარსკვლავედი მონაწილეობდა, თაროზე ჩამოდეს.

1950 წლის ზაფხული იყო, სიკო დილიძის მეუღლე მოსკოვში იმყოფებოდა. ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში გასულს დაუნახავს, რომ მთელ ქალაქში „ჯურლაის ფარის“ აფიშებია გამოკრული და სასწავ-

ლოდ თბილისში, მეუღლესთან დაურეკავს, სასწაული ხდება, მთელი ქალაქი შენი ფილმის აფიშებით არის სავსეო. მეუღლის ზარის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და სიკო დოლიძე მთავრობაში დაუბარებიათ და სასწავლოდ მოსკოვში ჩასვლა უბრძანებიათ. მაშინ ქართველი რეჟისორი და მთელი შემოქმედებითი ჯგუფი სტალინის, შემდეგში კი სახელმწიფო პრემიით დაუჯილდოებიათ. როგორც მოგვიანებით გაირკავა, ასეთი რამ მომხდარა: ერთ მშვენიერ დღეს სტალინი ბერიასთან ერთად საზაფხულო აგარაკზე მიემგზავრებოდა. ყველასთვის ცნობილია, რომ ის ყველაფრის საქმის კურსში იყო და განსაკუთრებით — თუ საქმე საქართველოს ეხებოდა. მისი ყურადღების მიღმა არც „ჯურ-

ლას ფარი“ დარჩენილა. ბერიასთვის უკითხავს, ქართველები რომ ფილმს იღებდნენ, იმ ფილმს რა ბედი ეწია? ბერიას არაფერი სცოდნია, მაშინ სტალინს მოუთხოვია, რომ მისთვის ფილმი ეჩვენებინათ. სასწრაფოდ გადაუგზავნიათ თბილისიდან ფილმი სტალინის აგარაკზე და იქ უჩვენებიათ. დარბაზში სულ ხუთი ადამიანი მსხდარან. ფილმის ყურების შემდეგ საოცარი სიჩქმე და დაძაბულობა ყოფილა. რამდენიმეწუთიანი დუმილი სტალინს დაურღვევია, მოტრიალებულა და ხმამაღლა უთქვამს: — რას იტყვით, არ ეკუთვნის ჩვენი სახელობის პრემიაო? ზუსტად ერთ კვირაში ფილმი ეკრანებზე გამოვიდა და დიდი აღიარებაც მოიპოვა.

## ეგა ნასყიდაშვილი

კადრი ფილმიდან „დარიძო“



„დღე უკანასკნელი, დღე პირველი“





# ცეკვათანაც რომ ჩაერა ვარსკვლავი, მაშინ ეპოქა დასრულდა ღიღი...

„მე ხატივით ვემთხვევი გამარჯვებას გონიერის,  
არის რაღაც ამაში, რითაც სამანს გასცდები!..“

არც ის იყო შემთხვევით ღელვა სტადიონების,  
ღელვა სტადიონების ყიფიანის თამაშით!..“

რეზო ამაშუკელი

რამდენი რამ დაწერილა და  
თქმულა ამ მართლაც ღეგენდა-  
რული ფეხბურთელისა და პი-  
როვნების შესახებ მის სიცოცხ-  
ლეშიც და გარდაცვალების შემ-  
დეგაც სიტყვა-კალმის დიდოს-  
ტატების თუ უბრალოდ „ყიფოს“  
ახლობლების მიერ. და მე, ვინც  
არც ერთი მათგანი არ ვარ, რა  
უნდა ვთქვა უკეთესად ან ახალი?  
ამიტომაც წინამდებარე წერილს  
მხოლოდ ერთი პრეტენზია აქვს  
— ჩემი გადმოსახედიდან სიყვა-  
რულით გავიხსენო დიდი დათო  
ყიფიანი. სიყვარული კი, იმის  
გარდა, რომ „ვერტიკალურია და  
ბრუნვადი“, სუბიექტურიც არის  
და, აქედან გამომდინარე, მავანს,  
ალბათ, ტენდენციურადაც შეიძ-  
ლება მოეჩვენოს წინამდებარე  
წერილი, რაც სრულებით არ მა-  
ღლელვებს...“

დიახ, ის, რაც თავის დროზე გა-  
ლაკტიონმა წინამურზე და ილიას  
შესახებ ბრძანა, იმის მცირე პე-  
რიფრაზით „ყიფოს“ შესახებ წე-  
რილის სათაურად აღება უპრია-  
ნი მგონია. რასაც, თუ „გავშლით“,  
გამოვა, რომ წეროვანთან იმ საში-  
ნელ დღეს ოფიციალურად დას-  
რულდა ყიფიანის ეპოქა ფეხბურ-  
თში, თორემ, ფაქტობრივად, ის  
მაშინ დამთავრდა, როდესაც „ყი-  
ფო“ 1982 წლის შემოდგომაზე  
კრასნოდარის ყუბანთან უსახურ  
მატჩში უკანასკნელად გამოვიდა  
„დინამოს“ სტადიონის მწვანე  
მინდორზე. თორემ, ვიმეორებ,  
„ყიფოს“ სიკვდილი (კიდევ ერთი  
პოეტის არ იყოს, რაც „საშინლად

იყო მართალი“), ეპოქის დასასრუ-  
ლის ოფიციალურად გაფორმება,  
გნებავთ, ფარდის დაშვება იყო!

დათო ყიფიანს, რა თქმა უნდა,  
წინამორბედებიც ჰყავდა: ბორის  
პაიჭაძე, ბასა ლოლობერიძე, მიშა  
მესხი, სლავა მეტრეველი, შოთა  
იამანიძე და ა. შ. ლეგენდარული  
ფეხბურთელები იყვნენ, რომლებ-  
მაც მართლაც ეპოქები შექმნეს  
ქართულ ფეხბურთში და არა მხო-  
ლოდ ქართულში. იმავეს თქმა  
„ყიფოს“ თანაგუნდელების მიმა-  
რთაც შეიძლება. უპირველესად,  
ვოვა გუცაევი და ვიტალი დარა-  
სელია. ალარაფერს ვიტყვი ყიფი-  
ანის „დინამოს“ პრაქტიკულად  
მთელს დანარჩენ „სასტავზე“,  
რომლებიც, დარწმუნებული ვარ,  
დღეს რომ თამაშობდნენ, სოლი-  
დურ „ფორნას მისცემდნენ“ ბევრ  
დღევანდელ, მრავალმილიონად  
შეფასებულ ე.ნ. ვარსკვლავებს.  
დასახელებულ თუ ვერდასახელე-  
ბულ (ვინ და რა მოთვლის მაგათ  
ბოლომდე?) მქუჩარე სახელების  
გვერდით, ჩემთვის მაინც გამო-  
ირჩევა დათო ყიფიანი.

იმიტომ, რომ ჩემი თაობის ფეხ-  
ბურთელი იყო? ანუ, ზემოთ ჩა-  
მოთვლილი მესხები და მეტრევე-  
ლები კი მინახავს მწვანე მინდორ-  
ზე, მაგრამ იმას, რასაც ნამდვილი  
და არა ბავშვური „ბალელშიკო-  
ბა“ ჰქვია, ჩემმა თაობამ სწორედ  
„ყიფოს“ დროს დაიწყო! მაშ, მხო-  
ლოდ ამიტომ? არა მგონია, რის  
დასტურადაც იმავე მიშა მესხის  
სიტყვებს მოვიყვან დათო ყიფი-  
ანზე თქმულს:



„ბორია პაიჭაძის თამაში მე არ  
მინახავს და ვერ ვიტყვი. ხოლო  
ყველა დანარჩენს შორის, ვინც მე  
ვნახე და დღესაც ვუყურებ, და-  
თოსნაირი ჩვენ არ გვყოლია“...

როგორც იტყვიან, აქ კომენტა-  
რი ზედმეტია — ვინ ვინ და მიშა  
მესხმა (ვისაც ყალბი თავმდაბ-  
ლობის გარეშე „საკუთარი წონის“  
თუ დარ ფეხბურთელად მხოლოდ  
მანე გარინჩა მიაჩნდა(!!!), მაგრამ  
ამაზე სხვა დროს) კარგად იცოდა,  
რა იყო დიდი ფეხბურთი და, აქე-  
დან გამომდინარე, ისიც, რასაც  
ამბობდა „ყიფოზე“.

როგორც იტყვიან, სიტყვამ მო-  
იტანა და გარიჩა ვახსენე. ამას-  
თან დაკავშირებით დიდი რეზო  
ლალიძის ერთი ინტერვიუ მახსენ-  
დება, რომელიც ამ 30 თუ მეტი  
წლის წინათ სადღაც წავიკითხე.  
ციტირებაზე თავს ვერ დავდებ,  
მაგრამ შინაარსით დაახლოებით  
ასე ბრძანა გენიალურმა კომპო-  
ზიტორმა და დიდმა ქართველმა:  
„ვინმე თუ „თავის“ ჯუზეპე ვერ-  
დის და ენრიკო კარუზოს ახსე-

ნებს, მე ჩემი ზაქარია ფალიაშვილი და ვანო სარაჯიშვილი უნდა ვთქვაო...“

ჰოდა, მეც მანდა ვარ — თუ ვინ-მე თავის პელე-მარადონებს, პლატინი-ზიდანებს და ა. შ. იტყვის, მე არა ნაკლები რიხით ვახსენებ მი-შას, სლავას, ვოვას, ვიტალის და, რა თქმა უნდა, უპირველესად, და-თო ყიფიანს. არა იმ გაგებით, რომ „ყიფო“ აბსოლუტურ განზომილებაში, შინ თუ გარეთ უპირველესი მგონია, არამედ სწორედაც, რომ რეზო ლალიძის გაგებით, **დათო ყიფიანიც იმას ნიშნავს სა-ხართველოსთვის, რასაც პე-ლე — პრაზილიისთვის და მა-რადონა — არგენტინისთვის, დისტეფანო — ესაანეთისთ-ვის, ან კრუიზი — პოლადი-ისთვის, კლატინი — საფრან-გეთისთვის და ა.შ.**

რაც შეეხება წმინდა საფეხბურ-თო ასპექტებს, აქაც, არა მგონია, საქმე „ჭაკად გვქონდეს“ — ზე-მოთ ჩამოთვლილ ფეხბურთის „მეფე-თავად-აზნაურთა“ შესრუ-ლებითაც იშვიათად მინახავს ისე-თი სიზუსტის ე. წ. ნ. გრძელი პასი, როგორებსაც რამდენიმეს ასრუ-ლებდა ყიფიანი პრაქტიკულად ყველა მატჩში, მნიშვნელოვანში თუ უმნიშვნელოში. ბურთთან და-მოკიდებულება? მსგავსი ტექნი-კა, ბურთთან „შენობითი ურთი-ერთობა“ ხომ მის დროსაც, და მი-თუმეტეს ახლა, დიდი იშვიათობა იყო და არის.

მაყურებელზე თამაშობს! — იძახდნენ „ყიფოს“ მოშურნენი, რომელთა გასაგონად მაშინაც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ: შემირცხვენია ის ფეხბურთელი, რომელიც მაყურებლისთვის და მაყურებელზე არ თამაშობს! კარგ მთქმელს (კარგის მქნელსაც) კარგი გამგონე უნდაოდა, როდე-



საც დიუსელდორფის ფინალში „ყიფომ“ კრაუზესთან დუელის დასასრულს კისერზე გაიჩერა ბურთი (იმ კრაუზესთან, ვინც მთელი 90 ნუთი „ბუცებზე კბენ-და“), ზოგზოგებივით, ეს იაფფა-სიან საცირკო ტრიუკად კი არ აღ-მიქვამს, არამედ ეს ეპიზოდი იყო ბურთის ენით ნათქვამი თბილი-სური უარგონი — წადი, ბიჭო, ტო-ლი ნახე, კოჭი გააგორეო! გნე-ბავთ, ვირტუალური ავტოგრაფი, გამარჯვების თასზე წანერილი.

სწორად შენიშნა ერთხელ ჩემ-თან საუბარში „ათიანის“ რედაქ-ტორმა და „ყიფოს“ სიყრმის მე-გობარმა გიორგი გორგოძემ: — „ყიფიანის „დინამოს“ დროს თბი-ლისში ფავორიტის სტატუსით გუნდი (საბჭოთა თუ ევროპული. — ავტ.) არ ჩამოსულა“. მოგვიგია და წაგვიგია კიდეც, მაგრამ, რო-გორც იტყვიან, პირველ ნომრად ყოველთვის ყიფიანის „დინამო“ თამაშობდა. აქედან გამომდინა-რე, მაშინდელი „ბალელშირიკების-თვის“ უცხო იყო ნილისყრისწინა

შიშები, თუ ვინ შეგვხვდებოდა, რადგან, თუ „იმათ“ პლატინ-კი-გან-დალგლიშ-რუმენიგები ჰყა-ვდათ, ჩვენ ყიფიანის იმედად არა-ვისი გვეშინოდა!

ზემოთ ყიფიანის „დინამო“ ვახ-სენე და თითქმის იმავეს რუსუ-ლად გავიმეორებ — „კომანდა დავიდა კიპიანი“! ასე მოიხსენიებ-და რუსული საბჭოთა მედია, რო-დესაც თბილისის „დინამო“ რუ-სეთში სათამაშოდ ჩადიოდა. არა-და, ეს მაშინ, როდესაც იყო და სრულიად დამსახურებულად, „კომანდა ვალერია ლობანოვსკი“ კიევის „დინამო“ და, გნებავთ, მო-სკოვის „სპარტაკი“ — „კომანდა კონსტანტინა ბესკოვა“. არა და არ გახდა თბილისის „დინამო“, „კომა-ნდა ჩოდარა ახალკაცი“, რაც, რბი-ლად რომ ვთქვათ, არ სიამოვნებ-და ქართული ფეხბურთის „გუ-რუდ“ შერაცხულ, გაუცინარ ხელ-მნიფეს, ცხონებულ ნოდარ ახალ-კაცს.

ამასთან დაკავშირებით თუ აქე-დან გამომდინარე, ორი რამ მახ-სენდება: ერთი დიდი ეროსი მან-ჯგალაძის ნათქვამი, რაც, თუ არ ვცდები, ურნალ „მნათობში“ წა-ვიკითხე და რაც დაახლოვებით ასე უღერდა — „რა გავაჭირეთ საქმე? ევროპის ერთი, რიგითი თასი მოვიგეთ. ასეთი გუნდით მე-ტისთვის უნდა მიგველნიაო!“ და მეორე, ფეხბურთის პროფესიულ

**დათო ყიფიანიც იმას ნიშნავს სახართველოსთვის, რასაც პე-ლე — პრაზილიისთვის და მარადონა — არგენტინისთვის, ან კრუიზი — პოლადიისთვის, კლატინი — საფრანგეთისთვის და ა.შ.**



დონეზე მცოდნის და გურმანის, ცხონებული გურამ ფანჯიკიძის ჩემთან პირადად თქმული მაშინ, როდესაც „ყიფო“ რამდენიმე დღის წასული იყო დიდი ფეხბურთიდან და ამის გამო ქართველი გულშემატკივარი შოკიდან ჯერაც ვერ გამოსულიყო — „გუშინ იყო დათო ჩემთან და გულდანყვეტით მითხრა, — როდესაც ახალკაცს ვუთხარი ფეხბურთს თავს ვანებებ-მეთქი, ერთი არ მითხრა არ წახვიდეო!..“

ვისაც როგორც უნდა, ისე გაიგოს ეს უკანასკნელი აბზაცი! ერთ რამეს დავძენ მხოლოდ — დიდი ფეხბურთელების გარეშე არც ერთ მწვრთნელს დიდი გუნდი არ გაუკეთებია და საშუალო დონის მწვრთნელებს კი დიდი ფეხბურთელებით დიდი გუნდები შეუქმნიათ! ამის მაგალითი თუნდაც უურნალისტი **ზოამ სალდანია**, რომელიც არა თუ დიდი არც მანამდე და არც შემდეგ მწვრთნელი საერთოდ არ ყოფილა, მაგრამ 1970 წლის ბრაზილიის, ყველა დროის საუკეთესო გუნდად აღიარებული ნაკრების „ტრენერი“ კი იყო. ამას კი იმით მიაღწია, რომ უბრალოდ თავი ერთად მოუყარა საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს. ეგ იყო და ეგ, რადგან არა მგონია, რომ პელესა და კამპანიას მატჩისნინა განსაკუთრებული „უსტანოვები“ სჭირდებოდათ!

სხვათა შორის, ასევე არა მგონია, რომ „ტრენერსკი უსტანოვების“ გამო ითამაშა „ყიფომ“ თითქმის მთელი პირველი ტამილონდონის „ვესტჭემთან“ ლამის სტოპერის პოზიციაზე, საიდანაც პრაქტიკულად მარტომ გადაწყვიტა იმ ისტორიული მატჩის ბედი — ეს რატომდაც მხოლოდ ყიფიანის გენიალურობის „თვითუსტანოვების“ ბრალი მგონია და რა ვქნა?! მსგავსი მაგალითების გახსენება კიდევ ბევრის შეიძლება...

მტკიცედ მჯერა, რომ მხოლოდ „ფარსადანოვიჩს“ შეეძლო ყიფიანისთვის, მისი ემოციური და აქედან გამომდინარე მცდარი (ფეხბურთიდან ნაადრევი წასვლა რომ შეცდომა იყო, ეს თავად „ყიფომაც“ აღიარა მოგვიანებით) გადა-



წყვეტილების შეცვლა, რითაც მინიმუმ 2-3 წელიწადი გაგრძელდებოდა ის, რასაც დღესასწაულების ჩუქება ერქვა და რითაც ასე ვყავდით განებივრებული დათო ყიფიანს! მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. „ყიფო“ წავიდა და ნოდარ ახალკაცმა ახალი, ბოლოს და ბოლოს, „კომანდა ახალკაცი“-ს მშენებლობა დაიწყო...

როგორც მაშინ ამბობდნენ, ვიტალი დარასელიას ირგვლივ იყო ჩაფიქრებული ეს ამბავი. მაგრამ ვიტალი, ეს ლეგენდარული აფხაზი ფეხბურთელი და ვარსკვლავი ჭიჭნა, ნამდვილად ვერ იყო „ყიფოს“ დარი სიკაშკაშის ვარსკვლავი. თანაც, სულ მალე ტრაგიულად დაიიღუპა და აქედან რა გამოვიდოდა, არავინ იცის. სამაგიეროდ ის ვიცით, რაც ვნახეთ — დარჩენილი, ყიფიანის ძველი გვარდის ბიჭები აშკარად უხალისოდ (განსაკუთრებით ვოვა გუცავზე ითქმის ეს) ირჯებოდნენ „ყიფოს“ გარეშე და ნელ-ნელა ისინიც წავიდნენ. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ თბილისის „დინამო“, გუნდი, რომელიც ერთადერთი იყო კავშირში, რომელიც ათეულს მიღმა არასოდეს ყოფი-

ლა(!!!), ახალკაცის „ტრენერობის“ ბოლოს ძლივს გადაურჩა უმაღლესი ლიგიდან გავარდნას! ასე რომ, თუ ახალკაცის ხელში მივაღწიეთ არნახულ დადებით შედეგებს, უარყოფითი კუთხით იგივე გამოდის.

როგორ არ გავიხსენო ვალერი ლობანოვსკი და ოლეგ ბლოხინი? ბლოხინი, რომელიც, ყიფიანისგან განსხვავებით, ბოლოს ფეხებს ძლივს დაათრევდა, მაინც არ გაუშვეს, ბოლომდე გამოწურა (ამ სიტყვის კარგი გაგებით) ვალერი ვასილიჩმა. „ბებერი“ ბლოხინის ქარიზმის აურაში გამოზარდა, გამოამრთო ახალი თაობა, რომელმაც 1986 წელს მეორედ აჩუქა უკრაინელ ხალხს ევროპული ტრიუმფი!

აი კიდევ რაში უნდა გამოგვეყენინა „ყიფოს“ გენია და ქარიზმა! ამას დაუმატეთ ისიც, თუ როგორ ნაჩქარევად დავტოვეთ სსრკ-ის „იმპერიული ჩემპიონატი“ და ქართული ფეხბურთის დღევანდელი სავალალო დონის კიდევ ერთი (იქნებ უმთავრესი) მიზეზიც სახეზეა! სხვათა შორის, მასწავლებელი და შეგირდი მაშინაც საპირისპირ ბანაკებში აღ-

მოჩნდნენ. „ფარსადანოვიჩი“ ურაპატრიოტი პეტრიაშვილების გვერდით, ყიფიანი კი მიშა მესხის, სლავა მეტრეველის, ბორია პაიჭაძის, მურთაზ ხურცილავას და სხვა, უმცირესობაში მყოფ საღად მოაზროვნეთა შორის!

ეე! სიტყვა გამიგრძელდა და ეს წერილიც, მგონი, ახალკაცის კრიტიკას უფრო დაემსგავსა, ვიდრე „ყიფოს“ მოსაგონარს, არა? მაგრამ რა ვქნა?! ერთზე მეორის გარეშე საუბარი არ გამოდის. რადგანაც მაშინაც და, მითუმეტეს ახლა, უფრო აშკარად ჩანს, რომ ამ ორი პიროვნების ურთიერთობა, რბილად რომ ვთქვათ, მენტალური შეუთავსებლობის ფონზე მიმდინარეობდა — ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ დათო ყიფიანს ჯერ კიდევ 70-იანი წლების ბოლოს ჰქონდა ფეხბურთიდან წასვლის მცდელობა, ანუ მაშინ, როდესაც სპორტული კარიერის, საფეხბურთო ოსტატობის პიტზე იყო.

„ფარსადანოვიჩის“ კატეგორიულად მოუთხოვია „ყიფოსთვის“ მისი სამეცნიერო ხშირი ვიზიტების ალაგმვა დიღმის ბაზაზე. რაზეც დათოს, საერთოდ წავალ გუნდიდან, უპასუხნია, ანუ დიდ ფეხბურთს დიდი სამეცნიერო, გნებავთ, კაცობა არჩია!!! ახალკაცს ყიფიანისთვის არც მაშინ „დაუგლეჯია კალთები“ და მხოლოდ მაშინდელი შე მინისტრის, ნაღდი ქართველი კაცის, შოთა გორგოძის უშუალო ჩარევის შემდეგ დაბრუნდა დათო „დინამოში“.

ესეც სიტყვამ მოიტანა და მის სამეცნიერო უნდა ითქვას. თუმცა გასაგები მიზეზების გამოჩემგან უხვისიტყვაობა აქ არ ეგების. ამაშიც ნიჭიერი კაცი იყო. „მაღალი, უხვი, მდაბალი“ — ასე უპრიანი მგონია იმის გამოთქმა, რაც „ყიფოს“ მოედანს მიღმა ცხოვრებაზე წამიკითხავს თუ გამოგონია. დიდი სამეცნიეროს შემწედა და დამხმარე, ხშირ შემთხვევაში, ანონიმურად. უკანასკნელს ამოიღებდა ჯიბიდან და დახარჯავდა, — თვალ და ხმაცრემლიანმა მითხრა ერთხელ სუფრაზე, „ბებერმა“ ვერელმა დალამის „ყიფ-



ფოს“ მამობილმა ლევან ჭაჭიაშვილმა, რომელიც დღესაც საკუთარი შეიღივით გლოვობს დათო ყიფიანს.

დაბოლოს, რამდენიმე წლის წინ გაზეთ „კვირის პალიტრის“ ბოლო გვერდზე წავაწყდი სტატიას სათაურით — „აუ, რა იქნებოდა ეს-პანეთში ბრაზილიასთან, ყიფიანი და გუცაევი რომ ყოფილიყვნენ“... წერდა ვილაც (გვარი არ მახსოვეს) ჩემსავით „დინოზავრი“ ავტორი. არადინოზავრებისთვის, ანუ ახალგაზრდებისთვის განვმარტავ, რომ იგულისხმებოდა 1982 წლის ესპანეთის მუნდიალი, სადაც ბრაზილია და სსრკ შეხვდნენ (2:1) ერთმანეთს. ალბათ, მიხვდით, რომ იმ სტატიის ავტორი ვარაუდობდა, იმ შემთხვევაში, თუ იმ დროის უპირველესი საბჭოთა (იქნება არა მხოლოდ საბჭოთა?) ვარსკვლავები დათო და ვოვა იქნებოდნენ „სასტავში“, თამაში სხვა შედეგითაც შეიძლებოდა დასრულებულიყო.

მაგრამ მე სულ სხვა რამისთვის გავიხსენ ძველი გაზეთი — თურამით არის ნაკლები ჩვენი „ყიფოს“ თავისი დროის „იმათ“ ვარსკვლავებზე, მხოლოდ იმით, რომ

მუნდიალზე თამაშის საშუალება არ მისცეს. უფრო სწორად, **მეტი თუ არა, მარადონას გარდა, ყველა დანარჩენზე ნაკლები არ იყო.** უბრალოდ, უმუნდიალობის გამო სხვებზე ნაკლებად „ნავაროჩენები“ არიან ვოკაც და დათოც, თორემ...

სტადიონზეც იმიტომ ვერ დავდივარ, რომ სხვა, მართლაც დიდი ქართული ფეხბურთიც მინახავს და იმ საცოდაობის ცქერას, რომელსაც დღეს ქართულ ფეხბურთს უწოდებენ (ნურავინ მიწყენს, სხვა სტანდარტებს ვარ ჩვეული), ყიფიანის დინამოს ვიდეოჩანაწერების ყურება მირჩევნია.

მართლაც, წეროვანთან რომ ჩაქრა ვარსკვლავი, მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი! და ახალი რომ არ იწყება? არადა, მამაჩემის თაობა ამ მხრივაც ბედნიერი იყო — „საკუთარ“ მესხებსა და მეტრეველებზე ხომ „იკაიფეს“ და სიბერეში „ჩემი“ ყიფიანის დინამოთიც გაიხარეს!

**ღმერთო, იქნებ მეც მარგუნო ბედნიერება და სიბერეში სტადიონზე მისვლის სურვილი გამიჩინო!..**

**დავით გევორგი**



# თბილისის კულტურული განვითარება XVIII საუკუნეები

ქართული კულტურის მესვეურები ხედავდნენ, რომ XVII ს. მეორე ნახევრიდან „შეერიათ ქართველთა“ ყიზილბაშური, „უგვანო“ წეს-ჩვეულებანი. საჭირო იყო ეროვნული ქართული კულტურის შენარჩუნებისთვის ბრძოლის გაჩაღება. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ვახტანგ VI-მ. მან თავის ირგვლივ დარაზმა კულტურის მოღვაწეთა საკმაოდ მრავალრიცხვანი დასი, რომელმაც დიდი სამუშაოები გაშალა. თბილისის სამეფო კარი „ერთგვარ პატარა აკადემიად“ იქცა (ა. ბარამიძე).

„სოფრო გასამცარი ხანა იყო ეს ხანა, — ცირდა ივ. ჯავახიშვილი. — ასეთი დაუღა-ლავი მედგარი მუშაობა, რო-მელსაც ერთი საზოგადო მი-მართულება პროცედა, ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფ-ლებას გვაძლევს ქართული მცენლობის ამ ხანას ენციკ-ლოგიკური დავარქვათ სა-ხელად. თითქმის ყველა იმდ-როინდები მოღვაცის აზრი და გონიერა იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართ-ველი ხალხის შემოქმედები-თი ნიშის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაშირნახუ-ლები შეეკრიბათ, შეესრავ-ლათ და შთამომავლობისათ-ვის დამთავრებული, ყოველ-მხრივი ცარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ. იმ დიდი საქმის მოთავედ და სულჩამ-დგებელად დიდებული, დაუ-ვიწყარი ვახტანგი იყო“.

აღნიშნული დიდი საქმის ძირი-თადი ცენტრი იყო თბილისი. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული ფეოდალური კულტუ-რის მოღვაწენი იყვნენ: თვით ვახ-ტანგ VI, სულხან-საბა თრპელი-ნი, ონანა ქობულაშვილი, დომენ-ტი ბაგრატიონი, გივი თუმანიშვი-ლი და სხვა მრავალი. „ამ კულტუ-რულ გარემოში გაიზარდა, აგ-რეთვე, ქართველ მეცნიერთა და მწერალთა ის სახელოვანი თაობა, რომელმაც შემდეგში რუსეთში განაგრძო თავისი ნაყოფიერი საქმიანობა“.

ეროვნული კულტურის მძღავ-

რი კერის ჩამოყალიბება ქ. თბი-ლისში უაღრესად საჭირო იყო, რადგან, ვახტანგ VI-ის სიტყვე-ბით რომ ვთქვათ, იმ დროს საქარ-თველო „მრავალგზის მტერთაგან მოოხრებული იყო და არღა დაშ-თომილ იყო ქართულსა ენასა ზე-და სწავლა ესე ფილოსოფოსთა“, (რის გამოც) „სხვათა ენის კაცნი ქართველთა ეკიცხებოდნენ“.

ვახტანგი იყო „ყრმათათვის დი-დად მოღვაწე და სწავლა-შემატე-ბის გულს-მოდგინე“.

სწავლა-განათლების განვითა-რებაში განსაკუთრებული წვლი-ლი შეიტანა სულხან-საბა თრპე-ლიანმა. მის მიერ შედგენილი სა-ყოველთაოდ ცნობილი ლექსიკო-ნი („სიტყვის კონა“) სასწავლო წიგნად იყო გამიზნული. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბას მიერვე დაწერილ წიგნს — „სიბრ-ძნე სიცრუისა“. იგი წარმოადგენს დიდაქტიკურ-მორალისტური ხა-სიათის ნაწარმოების ნიმუშს, რი-თაც ავტორმა „ახალი“, ორიგინა-ლური იდეები წამოაყენა მომავალ თაობათა აღზრდა-განათლების დარგში და პედაგოგიკური აზრ-ოვნება მეცნიერულ ნიადაგზე და-ამკიდრა.

განათლებისა და მეცნიერების ნარმატების საყრდენი გახდა თბილისში დაარსებული სტამბა. იგი მოეწყო რუმინეთის საეკლე-სიო-პოლიტიკური მოღვაწის — ნარმოშობით ქართველის — ანთი-მოზ ივერიელის აქტიური დახმა-რებით. ამისთვის ანთიმოზმა აქ მოავლინა თავისი მოწაფე უნგრო-ვლახელი მიხაილ იშტვანოვიჩი.



ქართული სტამბა 1708-1709 წლებში მოეწყო. სტამბისათვის მეფის სასახლესთან ააგეს „სახ-ლები“ ანჩისხატისა და სიონის ტაძრებს შორის.

1709-1712 წლებში თბილისის სტამბაში დაიბეჭდა 14 წიგნი, რო-მელთაგან 11 სასულიერო ხასია-თისა იყო, 2 — სასწავლო სახელ-მძღვანელო. 1712 წელს გამოიცა შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“. მი-სი პირველი მეცნიერული გამო-ცემა პირადად ვახტანგ მეფემ გა-ნახორციელა; ამისათვის მან დი-დი ფილოლოგიურ-რედაქციული სამუშაოები ჩაატარა.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას ვახტანგმა დაურთო ბოლოსიტყ-ვაობა, რომელსაც „თარგმანი“ (განმარტება) უწოდა; დაასაბუთა გამოცემის აუცილებლობა, დასა-ბამი დაუდო უკვდავი ძეგლის მეც-ნიერულ-კრიტიკულ შესწავლას და მეცნიერულ რუსთველოლოგი-ას. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქარ-თული ლიტერატურის მომავალი განვითარებისთვის.

XVIII საუკუნის პირველ მე-ოთხედში ფართოდ გაიშალა მეც-ნიერული მუშაობაც. ცენტრა-ლური ხელისუფლების ინიციატი-ვით გარკვეული გარდატესა მოხ-და საისტორიო მეცნიერებაში. შე-იქმნა ე. ნ. „სწავლულ კაცთა კო-მისია“ ბერი ეგნატაშვილის მეთა-ურობით, რომელსაც დაევალა

„ქართლის ცხოვრების“ რედაქტიონება-გამართვა და გაგრძელება.

საქართველოს ისტორიის მოთხოვნის გამგრძელებლებმა განიხილეს საქართველოს ისტორიის ზოგი არსებითი საკითხი (საქართველოს პოლიტიკური დაშლა, სათავადოები, რუსეთთან ურთიერთობა და სხვ.). ისინი ძირითადად მაინც ქართლის წარსულს გადმოსცემდნენ.

შშობლიური ისტორიის შესწავლაზე მუშაობდა, აგრეთვე, XVIII საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც თავისი კაპიტალური ნაშრომი „აღნერა სამეფო-სა საქართველოსა“, ანუ საქართველოს ისტორია, მოსკოვში დაასრულა 1745 წ. ახალგაზრდობის წლებში, როცა იგი თავის სახელოვან მამას მხარს უმაგრებდა ქვეყნის მმართველობაში (XVIII ს. 10-20-იან წლებში), როგორც ჩანს, საფუძვლიანად სწავლობდა საქართველოს გეოგრაფიას, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებსა და მისი წარსულის საკითხებს. ვახუშტიმ ისარგებლა არამარტოქართული დოკუმენტური წყაროებით, არამედ რუსეთში არსებული რუსული და უცხოური ლიტერატურითაც. ისტორიის გამართვისადმი მისი მიდგომა სრულიად ახლებური იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის. ამ მხრივ ვახუშტი იმდროინდელი ევროპისა

და რუსეთის დაწინაურებულ დონეს უტოლდებოდა.

ვახუშტიმ რუსულიდან თარგმნა მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომელსაც 21 ფერადი რუსა დაურთო და საქართველოს შესახებ ცნობებს თავისი შენიშვნები დაუმატა.

XVIII ს. პირველი მეოთხედის მეცნიერებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ სხვადისციპლინებიც. ვახტანგ VI-მ შეადგინა ასტრონომია-კოსმოგრაფიის მოკლეკურსი, რომელშიაც განმარტებულია სხვადასხვაგვარი ცნობები თუ ტერმინები.

ვახტანგ VI-ს შეუდგენია, აგრეთვე, „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“; იგი თვითონაც აწარმოებდა ქიმიურ ცდებს. ამავე სახელმძღვანელოზე უმუშავნია ვახუშტი ბატონიშვილსაც, რომელსაც მისთვის ფიზიკისა და ქიმიის დარგში ცდების სანარმოებლად მაშინ ხმარებულ ხელსაწყოთა ზოგიერთი ნახაზი დაურთავს.

განსახილველ პერიოდში გარკვეულად მოჩანს თბილისელთა დაინტერესება ფილოსოფიური აზრის საკითხებითაც. ეს გამოიხატა ბერძენ-რომაელ ფილოსოფოსთა გადმოქართულებასა და მათ გავრცელებაში. ქართულად ითარგმნება სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, არისტოფანეს, ეპიკურეს აფორიზმები და

სენტიუნციები, ადგენენ მათ შეხედულებათა კრებულებს. ლრმა ფილოსოფიური განსწავლულობა მოჩანს სულხან-საბას „ლექსიკონში“, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ფილოსოფიურ ცნებათა ახსნას და სხვ. ქართული ლიტერატურაც ამ დროს მრავალური განვითარდა და მაღალმხატვრული გახდა.

კულტურული ცხოვრების ბაირატარი მეფე ვახტანგი იყო „მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მნერალი-მნიგნობარი, მთარგმნელი, რედაქტორი, კომენტატორი, პოეტი“.

ვახტანგისა და საბას შრომის შედეგად ქართველ მკითხველთათვის ხელმისაწვდომი გახდა ძველ სპარსულ იგავ-არაკეთა კრებული „ქილილა და დამანა“.

მას შემდეგ, რაც 1724 წელს განათლებისა და მეცნიერების წამყვან მოღვაწეთა დიდი დასი სამშობლოს მოსწყდა და რუსეთს გაიიზნა, თბილისში დიდი ხნის განმავლობაში ჩაკვდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. თბილისი დიდხანს, თითქმის 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გმინავდა ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობისას. ქალაქში ცხოვრება ჭირდა და მეცნიერულ-საგანმანათლებლო საქმისთვის არავის ეცალა.

## განათლება და მეცნიერება

### თბილისში XVIII ს.

#### 40-90-იან წლებში

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა ქართლში თეიმურაზ II-ისა და კახეთში ერეკლე II-ის გამეფების (1744 წ.), უფრო ზუსტად, ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ (1747 წ.).

ქვეყნის კულტურული განვითარების მთავარი მზრუნველი და ხელშემწყობი ერეკლე II იყო, რომელსაც მხარში განათლებული ბატონიშვილი — ანტონ I ედგა. ერეკლესა და ანტონს მიაჩნდათ, რომ საქართველოს დაწინაურებისთვის საჭიროა „მამლსა შინაჩუენსა განმრავლდნენ მეცნიერე-





ბითნი ნათელნი”, ერეკლესა და ანტონის ასეთი საქმიანობა უკვე 40-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ მას საგარეოპოლიტიკური ვითარება დღიდანს აფერხებდა.

შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობები განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის 70-იან წლებში შეიქმნა. ეს პერიოდი დაახლოებით 1770-1785 წლებს მოიცავდა: „**ჟამსა ამას, ფრიად ბედნიერებასა შინა იყო წარმართებულ სამეფო ქართლისა და კახეთისა; რამეთუ განევლონ წელსა რაოდენსამე, რომელ არღარა მიეღო ოხრება არცა უცხო თესლთაგან, არცა სრვისა და არცა სიყმილისგან, ხოლო უმეტეს უაოდა შორის ყოველსა საქართველოსა ქალაქი ტფილისი ყოვლითა წარმართებითა**“. მაშინდელი საზოგადო მოღვაწენი დღიდად აფასებდნენ ერეკლე II-ს როლს „**საქართველოსა შინა მეცნიერებითისა ოქროსა საუკუნისა შემოყვანისათვის**“.

**XVIII საუკუნეში თბილისი კვლავ რჩებოდა ამიერკავკასიის მთავარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად. ტრადიციული ქართული ტოლერანტული პოლიტიკის წყალობით, თბილისში თავშესაფარს და უშიშარ სამყოფელს პოულობდნენ როგორც სომეხი, ისე აზერბაიჯანელი და აღმოსავლეთის სხვა ხალხების კულტურის მოღვაწეებიც.**

## განათლებისა და მეცნიერების ღონისძიებები

XV-XVIII საუკუნეებში ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარების სიმძიმის გამო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების დონე საგრძნობლად ჩამორჩებოდა მაშინდელი ევროპის მოწინავე ქვეყნების დონეს. კულტურულ ტრადიციებს იცავდნენ, მაგრამ შემოქმედებითი საქმიანობის წინსვლა-განვითარება შეფერხებული იყო. ოსმალეთი ევროპასთან კონტაქტების საშუალებას არ იძლეოდა. ამის საშუალება საქართველოს მხო-



ცალი ახვლებით — „ქველი თბილისის“

ლოდ XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან, რუსეთის გზით მიეცა. ამ დროიდან ქართველობა ევროპის მოღვაწეთა მხოლოდ იმ ნანილს ეცნობოდა, რომელსაც რუსეთი, მაგრამ ესეც კი საკმაო აღმოჩნდა, რომ პროგრესისაკენ ლტოლვა ჩვენში კვლავ ახალი ძალით განახლებულიყო. 60-იანი წლებიდან გაიზარდა კონტაქტები ევროპასთან, გაიზარდა კულტურულ-სამეცნიერო ინფორმაცია, გაფართოვდა ინტერესების სფერო. თუ აქამდე თბილისში ქალაქის მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სიჭრელის გამო საგრძნობი იყო აღმოსავლები კულტურულ-ყოფითი ელემენტები, XVIII საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს დედაქალაქი მტკიცედ დაადგა ევროპული ორიენტაციის გზას.

ეს ერეკლე II-ს პოლიტიკური ხაზის შედეგი იყო. **რუსი დიდმოხელე ს. ბურნაშვილი, რომელიც 1783-1787 წლებში დიპლომატიური მისით თბილისში იმყოფებოდა, ნერდა, რომ ერეკლე II „არაფრისაკენ ისე არ მიისწრაფვის, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“.**

განვლილ საუკუნეთა მსგავსად, XVIII საუკუნის მთელ სიგრძეზე განათლებისა და მეცნიერების

განვითარება ჩვენში ეკლესიის ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. ყურადღების ცენტრში თეოლოგია იდგა, მაგრამ ეპოქა უკვე „საქმითი“ (პრაქტიკული) მეცნიერების დარგების განვითარებას მოითხოვდა და მათი ცოდნაც ჩვენში ნელ-ნელა ვრცელდებოდა. თეოლოგია-ფილოსოფიის ცოდნის წყაროდ ჩვენში ანტიკური და შუასაუკუნეებრივი ლიტერატურა რჩებოდა, გამოყენებით მეცნიერებათა ცოდნას კი ქართველები ევროპიდან (რუსეთის გზით) იძნდნენ.

## სახალხო განათლება

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი თბილისის ისტორიაში განათლების წარმატების პერიოდია. დავით ბატონიშვილი არ აჭარბებდა, როცა ერეკლე II-ს დროინდელ საქართველოში სახალხო განათლების არსებობაზე წერდა. ერეკლე II-სა და ანტონ I-ს განათლების განვითარება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმედ მიაჩნდათ.

კათალიკოს ანტონ I-ს აზრით, განათლების შუქი თანაბრად უნდა ეფინებოდეს „მაღალთა და მდაბალთა“. განათლების განვი-

თარების თვალსაზრისით, მას იდეალურ ესახებოდა ის მდგომარეობა, რაც მაშინ „რუსთა..., ფრანცისთა..., ანგლიელთა, პრუსიელთა“ ქვეყანაში არსებობდა.

სწორედ ამ მოსაზრებით იყო გაპირობებული ერეკლე II-სა და ანტონ I-ის პოლიტიკა განათლების დარგში, რასაც სულ მოკლე ხანში საყურადღებო შედეგი მოჰყვა; ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ეს შედეგი სამეფოს დედაქალაქში გამოჩნდა.

**1755 წლის 1 იანვარს თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის ეზოში, გაიხსნა „სემინარია ფილოსოფიისა“ — უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი. სემინარია მეფის ხარჯზე არსებობდა. მას განაგებდა მეფის დანიშნული რექტორი. სემინარიაში ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, გრამატიკას, რიტორიკას, სქოლასტიკას, ისტორიას, ფილოსოფიას (საკუთრივ ფილოსოფიას, ფიზიკას, მეტაფიზიკას, მორალის ფილოსოფიას, ლოგიკას, თეოლოგიას, მღვდელთმსახურების წესებს, არითმეტიკას, მათემატიკის საფუძვლებს...); სემინარიის სახელმძღვანელოები (ორიგინალური ან კომპილაციური) შექმნა ანტონ I-მა. სემინარიის პროგრამა რუსეთის სემინარიების პროგრამათა მიხედვით იყო შედგენილი. სწავლება წარმოებდა ლექციური სისტემით, სწავლის დამთავრებისას**

ენყობოდა აქტი — საზეიმო შეკრება-გამოცდა, რომლის დროსაც იმართებოდა კურსდამთავრებულთა პაექრობა-შეჯიბრი. აქტს ზოგჯერ მეფე და კათალიკოსიც ესწრებოდნენ.

თბილისის სემინარიაში თავადაზნაურთა და სასულიერო პირთა შვილებს დებულობდნენ, მდაბიონი სემინარიაში იშვიათად ხვდებოდნენ.

1741-1755, 1763 წლებში თბილისში არსებობდა კათოლიკეთა სასწავლებელი, რომელშიაც, გარდა საღვთისმეტყველო საგნებისა, ასწავლიდნენ ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ და ქართულ ენებს, არითმეტიკას...

**არსებობს ცნობა, რომ 1780-1781 წლებში ი. რაინეგსი და კათოლიკე პატრები მეფის სასახლეში სამეფო ოჯახის წევრებს ასწავლიდნენ ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს. იმავე ცნობით, რაინეგსს თბილისში გაუსწია სამედიცინო სკოლა. ამ სკოლაში პატრებისგან მედიცინის საფუძვლები შეუსწავლიათ, სხვათა შორის, ცნობილ ქართველ ექიმებს — ანტონ და თათულა ყარაშვილებს და სოლომონ I-ის ექიმს ისარლოვს.**

XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში არსებობდა კერძო დაწყებითი სასწავლებლების ფართო ქსელი. ქართველთათვის ასეთი სკოლები იყო ნათლისმცემლის,


კალოუბნის, სიონის, ქაშვეთის, მეტეხისა და ანჩისხატის ეკლესიებთან. სკოლებში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, ქართულ წერა-კითხვას, არითმეტიკას, გალობას, უფრო დაწინაურებულ მოსწავლებს — გრამატიკას, ძველ ისტორიას და ფილოსოფიასაც. ამ სასწავლებლებში 400-მდე მოსწავლე იყო. **სკოლების მუშაობას ზოგჯერ თვით მეფე ამონმებდა.**

ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ცნობა იმის შესახებ, თუ რას სწავლიდნენ XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში ქართველ არისტოკრატთა შვილები. გიორგი ბატონიშვილს (შემდეგ გიორგი XII) შეუსწავლია: ქართული წერა-კითხვა და გრამატიკა, თურქული, ბერძნული და სომხური ენები, საქართველოს ისტორია („ქართლის ცხოვრება“), ფილოსოფია, ბიბლია, სახარება, გალობა... იოანე ქართველიშვილსაც თავისი დროისთვის კარგი განათლება მიუღია, შეუსწავლია სამეცნიერო წიგნები, იოანე დამასკელის ნაშრომები, ფილოსოფიური ტრაქტატი — პორფირი ტირელის „არისტოკრატელეს კატეგორიათა შესავალი“ და სხვ.

**თბილისში კერძო დაწყებითი სასწავლებლები ჰქონდათ სომხებს და მაპმადიანებსაც. ამ სკოლებში სწავლება მათს მშობლიურ ენებზე იყო.**

საგარეო ურთიერთობათა გაცხოველებამ საჭირო გახადა უცხოენების მცირებულება. **XVIII საუკუნეში თბილისელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეესწავლათ ფრანგული, იტალიური, ლათინური, გერმანული, რუსული და აღმოსავლური ენები.** 1788 წლის ახლო ხანებში თბილისში ქართველთათვის გაიხსნა კერძო სკოლა, რომელშიაც რუსულ ენას ასწავლიდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისში ქალთა განათლების განვითარება, რასაც ჩვენში უძველესი ტრადიცია ჰქონდა. თბილისელი ქალები საშინაო განათლებას ღებულობდნენ; მათ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ლოცვებს, არითმეტიკას, ხელსაქმეს... იოანე





ბატონიშვილს მიაჩნდა, რომ ქალს „ნამდვილად უნდა ასწავლონ ყოველი მეცნიერება, დეოლ-რაფია, ზეთსწავლულება, არითმეტიკა, ხელთსაქმეობა და იკონომია“.


განათლებაზე ზრუნვა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე რჩებოდა ცენტრალური ხელი-სუფლების ყურადღების ცენტრში. 1783 წ. ტრაქტატის დადების შემდეგ, რასაც, ქართველ პოლიტიკოსთა ვარაუდით, ქართლ-კახეთის სამეფოს აყვავება უნდა მოჰყოლოდა, ჩვენმა სახელმწიფო მოღვაწებმა საჭიროდ მიიჩნიეს ძირეული რეფორმების ჩატარება, მათ შორის განათლების დარგშიც. დავით და იოანე ბატონიშვილების რეფორმათა პროექტებით თბილისში სახელმწიფო ხარჯზე უნდა გახსნილიყო საერო და სასულიერო სკოლები: მაღალი კატეგორიისა — თავადაზნაურთა და წარჩინებულ მოქალაქეთათვის, დაბალი — მსახურთა და ვაჭართა შეილებისათვის.

1795 წლის სექტემბერში თბილისის აოხრებამ ქალაქის საგანმანათლებლო-კულტურულ ცხოვრებას მძიმე დაღი დაასვა. სემინარიამ და სკოლების უმეტესობამ არსებობა შეწყვიტა.

## ზიგნის ბეჭდვა

ვახტანგ VI-ის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაუქმებული სტამბა თბილისში მხოლოდ 1749 წელს აღსდგა. სტამბა თეიმურაზ II-ის დროს საპატრიარქო სასახლეში იყო გამართული, შემდეგ კი მეფის სასახლის ეზოში გადაიტანეს. 1782 წელს მოძველებული სასტამბო მეურნეობა განაახლეს. 1749-1790 წლებში ამ სტამბაში 60-მდე დასახელების წიგნი დაიბეჭდა, მათი დიდი უმრავლესობა სასწავლო დანიშნულების სასულიერო ხასიათისა იყო, მაგ. „დავითინი“, რომლითაც კითხვას ასწავლიდნენ.

თბილისის სტამბის გამოცემა-თა ტირაჟი 400, 800 და 1000 ცალს შეადგენდა. მარტო 1783-1793 წლებში 10 დასახელების 8000 ცა-



ლი წიგნი დაიბეჭდა. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები დასავლეთ საქართველოშიც იგზავნებოდა.

არსებობს ცნობა, რომ 1763-1769 წლებში თბილისის სტამბაში იბეჭდებოდა „ბრძანება და უწყება“ — მეფისა და პატრიარქის განცარგულებათა ფურცელი. მისი გამოცემა განახლებულა 1783 წელს „ლეპორტის“ სახელწოდებით.

ალა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს მესტამბებმა სტამბის მოწყობილობა, რაც მოასწრეს, მინაში ჩატლეს. მტერმა სტამბა დაარბია და გადაწყვა. თბილისში დაბრუნებისთანავე ერეკლემ სტამბის ნანგრევებიდან გადამალული მოწყობილობა მოაგროვებინა და სტამბის აღდგენას ფიქრობდა. სტამბის მოწყობილობის ნაწილი 1798 წელს ერთმა თბილისელმა ვაჭარმა განჯაში ნახა, გამოისყიდა და გიორგი XII-ს მიართვა. გიორგი XII სტამბის აღდგენას შეუდგა, მავრამ ვერ მოასწრო და მის შემდეგ ამ საქმეზე დავით ბატონიშვილი ზრუნავდა.

**დავითმა და კათალიკოსმა ანტონ II-მ სტამბის ახალი შენობაც ააგეს და 1799 წელს სტამბა ამუშავდა. 1800 წელს ამ სტამბაში დაიბეჭდა ორი წიგნი — „დაუჯდომელი“ და დავით ბატონიშვილის „ნარკვევი“ — საქართველოს ისტორია.**

## ზიგნის ბაღაზერა. ბიბლიოთეკა-ზიგნსაცავები

თბილისის სტამბა წიგნებზე გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, ამიტომ კვლავ გრძელდებოდა წიგნების ხელით გადაწერა-გამრავლების ტრადიცია. როცა წიგნზე დიდი მოთხოვნილება იყო, წიგნების გამრავლებას აჩქარებდნენ: ერთი მეტაველი (მოკარნახე) ერთდროულად 20-30 გადამწერს კარნახობდა. განთქმული გადამწერნი იყვნენ: იესე ოსეს ძე, ნიკოლოზ მაღალაძე, ტრიფილე, იოანე მოძღვრიშვილი და სხვანი. ზოგჯერ გადაწერით მთელი ოჯახები იყო დასაქმებული, მაგ. განთქმული იყო კალიგრაფ მესხიშვილთა ოჯახი.

განათლებისა და მეცნიერების განვითარებას დიდად უწყობდა ხელს თბილისში არსებული წიგნსაცავ-ბიბლიოთეკები. მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა სამეფო კარს. საპატრიარქოს წიგნსაცავში 76000 წიგნი იყო, წიგნსაცავი ჰქონდა თითქმის ყველა ეკლესიას. მრავალი წიგნი იყო განათლებულ საერო პირთა, მაგ. იესე ოსეს ძის, მზექაბუკ ორბელიანის, დავით ორბელიანის და სხვათა ბიბლიოთეკებში.

**„თბილისის ისტორია“, ტ. I გამომცემლობა „მერანი“, 1990**



# სიცილის რსტატი

საქართველოს სახალხო არტისტი იპოლიტე ხვიჩია 31 დეკემბერს, იმერეთში, ხონის რაიონში 1910 წელს დაიბადა. 1934 წელს დაამთავრა თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმი.

1932-1936 წლებში იყო ხონისა და მარტვილის რაიონული თეატრების მსახიობი. ასრულებდა ძირითადად კომედიურ როლებს. იპოლიტე ხვიჩიას სახელს უკავშირდება ცნობილი ქართული ფილმები: „საბუდარელი ჭაბუკი“, „მანანა“, „თოჯინები იცინიან“, „თხუნელა“, „პიერი მილიციის თანამშრომელი“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, „მე ვხედავ მზეს“, „შეხვედრა მთაში“, „მხიარული რომანი“ და ა. შ. გამოდიოდა ესტრადაზე. ხვიჩიას შემოქმედება მაყურებელს ხიბლავდა თავისი უბრალოებითა და ბუნებრიობით. იპოლიტე ხვიჩია დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



## დღევადები ნოარის სტეპარის ჩვენი იკოლიტე, ანუ ნააგობი კაცისა, რომელიც ისე იშინის

ჩვენი იპოლიტეც დაჭარმაგე-  
ბულა, ამ სუმრობა-სუმრობაში და  
სიცილ-სიცილში სამოცდაათი წე-  
ლი ჩამომარცვლილა. შეიძლება  
უცებ არც დაგვეჯერებინა, მაგ-  
რამ კალენდარს სად გაექცევი?!

— არც მაგ კალენდარშია მთლ-  
ად ზუსტად, — ელიმება იპოლი-

ტეს. — მე გეტყვით, როგორც  
იყო... ნამდვილად 1910 წლის 31  
დეკემბერს დავიბადე. ბაბუაჩემ  
კოსტა თოფურიას გამოუტანია  
ფილთა თოფი და მეზობლებს გა-  
უგიათ ალექსი ხვიჩიას ოჯახში  
მეოთხე ბიჭის დაბადება (ორი  
დაც მყავდა).

ძალიან სუსტი დავბადებულ-  
ვარ, ვკვდებოდი თურმე. მამინ  
ბავშვს მოუნათლავს არ დამარ-  
ხავდნენ და, რა თქმა უნდა,  
მღვდელი მოუყვანიათ. ღვთის  
მსახურს ჩავუსვივარ თბილი  
წყლით სავსე ტაშტში და მეც გა-  
მოვბრუნებულვარ.

დამარქევეს იპოლიტე, მაგრამ  
კარგა ხანს ქვეყანა კუშიას მეძახ-  
და. ეს მეტსახელიც ჩემი საცოდა-  
ობით შემერქვა. არ ვჭამდი, თურ-  
მე, არაფერს და ხან ქართულად  
მთხოვდნენ, ხან რუსულად —  
„კუში“, „კუშიო“.

სულ ავადმყოფსა და მილეულს  
დედაჩემი თურმე რაღაც წამალს  
მასმევდა, ერთხელაც შეშლია და  
წამლის მაგივრად სპირტი მოუ-  
ცია, დამიჯერეთ, იმის შემდეგ  
სიცეე არასოდეს მქონია და, დი-  
დობაში თუ ოდნავ შეუძლოდ გავ-  
ხდებოდი, ცოტაოდენი არაყი იყო  
ჩემი წამალი...

ვიცინით გულიანად, იქვე მო-  
ფუსფუსე მეუღლეც თავს ვერ  
იკავებს.

— აბა, 15 ივნისი რაღა შუაშია,  
ბატონონ იპოლიტე, ვინ გამოიგო-  
ნა...

— დამღუპეს საპასპორტოში,  
რამდენიმე თვითაც დამაბერეს  
და თან დავთარიც აგვირიეს მეც  
და თქვენც. ასე იყო ეს საქმე: ქუ-  
თაისის თეატრის დირექტორი  
თვის ხელფასით და მოსკოვში  
მივლინებით დამაჯილდოვა. პას-





პორტის მოწესრიგება იყო საჭირო. მივიტანე საპასპორტოში და გამგზავრების ნინა დღეს მივაკითხე. გაეძნათ თურმე ჩემი პასპორტი. რაღას იზამდნენ, დაბადების თარიღი გვითხარი, სასწაფოდ შეგიცებთო. მე გამგზავრების თარიღი გავიგონე და 15 ივნისი ვუკარნახე. ასე გაფორმდა ოფიციალურად ყოველივე... თუმცა ჩემი ხნის კაცისათვის ამას რაღა მნიშვნელობა აქვს, ნეტა ისე ვიყო კარგად...

#### — ახლა უკეთესობა გეტყობათ...

— თითქოს არა მიშავს, ისე ორი წელიწადი კი ჩამომაცილა ყველაფერს ამ ავადმყოფობამ...

რესპუბლიკის სახალხო არტისტი იპოლიტე ხვიჩია რომ საარაკოდ პოპულარული და მართლაც სახალხო მსახიობია, ეს თქვენზე უკეთ ვინ იცის, ძვირფასო მეითხველო. იგი, შეიძლება ითქვას, ერთი მოჰკუმანთაგანია — სიცილის ოსტატთა იმ უფროსი თაობისა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დააჩნიეს ქართულ თეატრსა და კინოხელოვნებას.

დაწყებული წულუკიძის სახელმწიფო თეატრიდან (ახლა რომ სახალხოა) ი. ხვიჩიამ 200-მდე როლი შეასრულა ქუთაისის ლადო მესხიშვილის და თბილი-

სის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრებში. და ყოველთვის უდუბლიოროდ. 62 მთავარი როლი — კინოში. ეპიზოდებზე აღარას ვამბობთ.

— გადასაღებ მოედანს თოკებს შემოავლებდნენ ხოლმე, ხალხი აწყდებოდა, დაგვანახვეთ, ერთი, ეს ლამაზი კაციო, — ეშმაქურად მეუბნება მეუღლე.

— ჰა დედასა, ვინ იყო ის, პოლონეთში რომ გადასარევი ქალები შემოეხვია, ავტოგრაფი მოგვეციო! — არ ტყდება იპოლიტე. —

მაგას არ დაუჯეროთ, ახლა დროებით ჩამომაშორა ავადმყოფობამ ჩემს საყვარელ ხალხს, თეატრს, კინოს, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ისევ არ შევხვდე მათ, ჩემი საოცნებო სანჩო და გვადი ბიგვა არ ვითამაშო.

— აბა როგორ, პატივცემულობილი იქნება, ასეც იქნება. მაგრამ უკვე ნათამაშევი როლებიდან ხომ არ გაიხსენებთ რომელიმეს?

— ოოო... დახუნდარა მიყვარს ძალიან „კოლხეთის ცისკარში“. კინოში უფრო მეტი — აი, თუნ-



დაც, „არ დაიდარდოში“, ანდა „მხიარულ რომანში“...

მასპინძელს საპატიო ადგილას გამოუერავს ფოტოები: პატი ლუი დე ფიუნესი, შემდეგ ევგენი მორგუნოვი, გიორგი ვიცინი, ვახტანგ კიკაბიძე, კადრები საყვარელი ფილმებიდან...

— ეს ფეხბურთელები რა ამბავია, პატივცემულო იპოლიტე... (დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, თამაზ კოსტავა, თბილისის „დინამო“ ვარჯიშის დროს...)

— ამათ ვენაცვალე, ახლა ტელევიზორი და ამათი გულშემატკიცვრობაა ჩემი მთავარი საქმე. ფეხბურთი, ლელობურთი თავიდან მიყვარდა. ქუთაისის თეატრში ფიზკულტურის კომიტეტს ვმეტაურობდი. დიდი ამბები გვქონდა, ფეხბურთის მატჩებიც კი მოვაწყვეთ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებთან.

რუსთაველის თეატრს რომ შევხვდით, ეტყობა მაგრად ვთამაშობდი და ეროსი მანჯგალაძემ და რამაზ ჩხიკვაძემ ძლივს შემაჩერეს, ბურთის მაგივრად მე მომახვედრეს ფეხი. მოედანზე გაშელართულს თავი უფრო მტკიოდა. მერე გავიგე, თურმე სანამ წავიქცეოდი, ბურთი თავზე დამცემია. კარში კი შესულა, მაგრამ მე ჩემი დამემართა... 4:4 დამთავრდა ეს



შეხვედრა. ბანკეტზე ემანუელ აფხაძემ ექსპრომტი მომიძღვნა: „მიტომ გახდა ნიჩიაო, თამაშობდა ხვიჩიაო“...

მარჯანიშვილებს რომ უნდა შევხედროდით, ერთი ჩემი მეგობარი ექიმი შემომიჩნდა თამაშის წინ, ისეთ ნემსს გაგიკეთებ, სირბილში ვერავინ გაჯობოსო. მართლაც ხუთი წუთით ადრე გამიკეთა ნემსი და გავედი სათამაშოდ. ვატყობ, ძილი მერევა. თურმე იმ ჩემი ცოდვით სავსეს მორფი გაუკეთებია. გამიტანეს საკაცით. ერ-

თი ტაიმი გამოვიძინე და მერე მაინც ვითამაშე...

... დედას გამოექცნენ ცეროდენები, მაინც შემოურიამულდნენ ჩვენთან, ცნობისმოყვარედ გვითვალთვალებენ.

— ჩემი ბადიშიშვილები არიან,

— სიამაყით ამბობს მსახიობი.

— ბედნიერი კაცი ბრძანდებით.

— კი, ბედს არ ვემდური.

მზე იჭრება ფანჯრებში, მომლიმარე მზე.

**3. მარდალეიშვილი, გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წ.**





# მარინე თბილელი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური  
თეატრის მსახიობი ბარბარე (ბაია) დვალიშვილი დედის,  
მსახიობ მარინე თბილელის ძეველ ფოტოალბომს  
დიდი სიყვარულით ფურცლავს..

მის საოჯახო ფოტოალბომში მრავალი საინტერესო და ცნობილი ადამიანის ფოტოს დაუდევს ბინა. უპირველესად კი საუბარს ქალბატონი ბაიას მშობლებით დავიწყებთ. მისი დედა ერთ-ერთი ცნობილი და ულამაზესი მსახიობი მარინე დამბროვესაია (თბილელი) გახლდათ. მას კარგად იცნობდნენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მთელი მაშინდელი საბჭოეთის მასშტაბით. ქალბატონ ბაიას მამაც ცნობილი ადამიანი გახლდათ — კაკი დვალიშვილი გიორგი ტოვსტონოვოვის მოსწავლე იყო. იგი ცოტა ხანს რეჟისორად მუშაობდა რუსთაველის აკადემიურ თეატრში. რამდენიმე საეჭაპო სპექტაკლიც დადგა, მაგრამ შემდგომში მას, როგორც რეჟისორს, თეატრიდან წასვლა მოუხდა და წლების მანძილზე აკაკი დვალიშვილი იყო მაშინდელი საქართველოს კულტურის მინისტრის — ოთარ თაქთაქიშვილის პირველი მოადგილე, შემდგომში კი — კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე. მიუხედავად კარიერული წარმატებისა, იგი მუდამ წუხდა, რომ ვერ მოახერხა, საკუთარ პროფესიას დაბრუნებოდა. ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ თავდაპირველად ქალბატონი მარინე რუსულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაბარებისთვის ემზადებოდა და პედაგოგობაზე ფიქრობდა, მაგრამ პედისწერა ერთმა ფოტომ შეცვალა. ვორონცოვზე ერთ ფოტოატელიეში 16 წლის მარინეს სურათი გადაუღია. ფოტოგრაფს მოსწონებია ეს სურათი და ვიტრინაში გამოუკრავს. მოგვიანებით ამ ფოტოატელიესთან აკაკი ფალავას ჩაუვლია. იმ პერიოდში ის თეატრალური სტუდიისთვის ლამაზ სახეებს ეძებდა. მისი ყურადღება მარინეს სურათს მიუჰყრია. შემ-

დეგ კი თავად ფოტოგრაფს მიუსწავლებია მარინეს საცხოვრებელი. ამის შემდეგ მარინემ ოჯახისგან ფარულად ჩააბარა თეატრალურ სტუდიაში. შემდგომ კი მისი საიდუმლო ცნობილი გახდა მისი და-ძმისა და დედისთვის.

— მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი მშობლების წყალობით ბეჭდინერი ბავშვობა მქონდა. მცირე ასაკი-დან ვურთიერთობდი და პირადად ვიცნობდი საქართველოს სახელვან და ნიჭიერ შვილებს. დედას უახლოეს მეგობართა შორის არ შეიძლება არ გამოვყო ქალბატონი ვერიკო და ქალბატონი სესილია, განსაკუთრებით კი ქალბატონი სესილია. ის ჩვენთან ძალიან ხშირად მოდიოდა ხოლმე. უმეტესად საღამო ხანს შემოივლიდა და შემდეგ იყო საუბრები, მხიარული ამბების მოყოლა...

ასევე ძალიან დიდ ხანს საუბრობდნენ დედა და სესილია ტელეფონით. დედა ამბობდა, მამაშენს რომ გაყვევი, სესილია მთელი წელი არ მელაპარაკებოდაო.



მარინე თბილელი 16 წლის ასაკში, ვარაცოვაზე ერთ-ერთ ფოტო ათელიეში გამოვანილი ფოტო

სულ მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა, მათ ერთმანეთისთვის ხმა არ გაეცათ. ეს ამბავი ასე იყო: დედა და მამა ძალიან დიდი ხანი იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ გვიან შეუდლდნენ. სესილიას შესანიშნავი მეუღლე გარდაცვლილი ჰყავდა. ერთ საღამოს დედაჩემთან დაურეკავს და ჩვეულებისამებრ ხანგრძლივი საუბარი გაუმართავთ. მერე სესილიას უთქვამს, — მე ხანში შესული ვარ და მარტო დავრჩი, მაგრამ შენ ჯერ



„ქალის ტვირთი“, მართას როლში მარინე თბილელი, 1958წ.



ახალგაზრდა ხარ და ვინმე მოძებნე, გათხოვდიო. ამ დროს დედაბეჭედის და მამაბეჭედის უკვე რომანი ჰქონიათ და სწორედ იმ საღამოს გადაუწყვეტიათ, საბოლოოდ დაეკავშირებინათ ბედი ერთმანეთისთვის. რამდენიმეჯერ რომ გაიმეორა თურმე სესილიამ ეს ფრაზა: „ცოდვა ხარ მარტო“, მარინეს უთქვამს: — არ ვარ მარტო, სესილია, კაკო დვალიშვილი მყავს სახლში და გადავწყვიტეთ, ერთად ვიყოთო. ამის თქმა და სესილიას ყურმისლის დახეთქება ერთი ყოფილა. გაბრაზებულა თბილელზე, ასეთი რამ როგორ დამიმაღლაო და ერთი წელი ემდუროდა.

კიდევ ერთ შემთხვევას იხსენებს ქალბატონი ბაია:

— როცა დედა თეატრალურის ბოლო კურსის სტუდენტი იყო, წაიყვანეს მთელი ჯგუფი ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძის გასაცნობად. კარირომ გააღეს, ვერიკო ამ დროს ფანჯრებს წმენდდა თურმე. დედასთვის ეს იმხელა შოკი იყო... მაშინ მას ვერ წარმოედგინა, რომ ვერიკოს, რომელიც ასეთ როლებს თამაშობდა და ასე-



მოგოლის „რევიზორში“ მარია ანტონოვნას როლი

თი შესანიშნავი და მიუწვდომელი იყო სცენაზე, შეეძლო ფანჯრები გაენმინდა, როგორც ჩვეულებრივ ქალს... ასეთი იყო მარინეს პირველი შეხვედრა ვერიკოსთან და მისი პირველი შთაბეჭდილება. შემდეგ ისინი დიდი მეგობრები გახ-

დნენ და ვერიკოც ჩვენი ხშირი სტუმარი გახლდათ.

ძალიან ხშირად დედა, ვერიკო და სესილია ერთად დადიოდნენ ბაზარში. მეც მივყვებოდი ხოლმე. მახსოვს, ხალხი როგორ შემოეხვეოდა მათ. ესენიც ყველას დიდი



მსახიობი 82 წლის ასაკში

გულისყურით უსმენდნენ და ესაუბრებოდნენ. ყოფილა შემთხვევები, როცა მე გადავავინყდებოდი დედას ამდენ ადამიანთან ურთიერთობისას და უკვე წასვლისას მეძებდნენ ხოლმე...

მინდა აღვნიშნო, რომ დედას არასოდეს უყვარდა თავის თავზე საუბარი. რაც უნდა შეექოთ და კარგი ეთქვათ მისთვის, ის მხოლოდ იტყვიდა: — ხო, კარგი გოგო ვიყავი.... და მორჩა. არასოდეს უყურებდა თავის ფილმებს. არასოდეს აგროვებდა ძველ აფიშებს. ის მიდიოდა მხოლოდ წინ და უკან არასდროს იყურებოდა. ასევე იყო მამაც. ბოლო დრომდე არ გამოთიშვია არც ერთ ღონისძიებას. ყოველთვის მიდიოდა, სადაც კი მიიწვევდნენ.

ჩემი მშობლები ჩემთვის, პირველ რიგში, სწორად ცხოვრებისა და სწორად დაბერების მაგალითები არიან. ასეთი ერთგული მეგობრობა და სიყვარული ქორწინებაში ძალიან იშვიათია.

ესაუბრა ეპა კახიანი



კაჭი ზილაბიძან  
„თოჯინები  
იცინიან“



თბილისი „აინდორ“, 1981 წ.



“**სამი თებერვალი**” — ინდენტის განვითარების აკადემია